619
1968

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 9 სექტემბერი 1968





პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 9 (382) სექტემბერი, 1968 წ

გამოცემის წელი 46-ე

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი



ასე მიმართავდა გენიოსი პოეტი თავის მკითხველებს, მიმართავდა მთელ ხალხს, მიმართავდა მომავალ თაობებს. მადლიერმა ქართველმა ხალხმა ხელთუქმნელი ძეგლი აუგო მას თავის ხსოვნაში. ბარათაშვილის სახელი განუყრელია ჩვენი ისტორიისაგან, ჩვენი ცხოვრებისაგან. მარად უკვდავია მისი ნათელი და სიცოცხლის სიყვარულით აღსავსე პოეზია — ნაზი, ვაჟკაცური, იმედიანი, მგზნებარე.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა ღირსეულად გააგრძელა ძველი ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია და მანვე დაიწყო ახალი ეპოქა. მისი ყოველი ლექსი, მთელი მისი შემოქმედება გვხიბლავს და გვატყვევებს თავისი დიდი ჰუმანურობითა და მოქალაქეობრივი შემართებით.

მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა
გარსამოვავლო,
სალამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო
ვაცხოვლო.
მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა
მორბედი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა
ფრინველნი და ვარდი.

ამ სიტყვებში გამოხატულია ნ. ბარათაშვილის პოეტური მრწამსი, მისი უწმინდესი ოცნება.

კაცობრიობის ისტორია ეს არის მთლიანი პროცესი განვითარებისა და წინსვლითი მოძრაობისა დაბალი ფორმებიდან მაღალი და სრულყოფილი ფორმებისაკენ. პოეტის დანიშნულებაც სწორედ ის არის, რომ ხელი შეუწყოს ამ დიად მსვლელობას პროგრესისათვის, იბრძოლოს მისი დამკვიდრებისა და გამარჯვებისათვის, და რაც უფრო სწორად გამოხატავს იგი თავისი ხალხის როლს ამ ბრძოლაში, რაც უფრო ღრმად სწვდება მისი სულის მოძრაობასა და მისწრაფებებს, მით უფრო დიდად ეროვნულია მისი პოეზიის ჟღერადობა, მით უფრო დიდად ზოგადსაკაცობრიოა მისი იდეალები.

ნ. ბარათაშვილის პოეზია ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის მუდამ წინსვლის უძლიერესი სტიმული იყო. იმ ბნელ დროს, ნიკოლოზ პირველის მეფობის პერიოდში, როცა დესპოტიზმი განსაკუთრებით მახინჯ ფორმებს იღებდა, როცა მთელი იმპერიის ტერიტორიაზე ისმოდა ხალხთა კვნესა და გმინვა, პოეტი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ადამიანებს. ის იმედის თვალით შესცქეროდა მომავალს, მას ღრმად სწამდა, რომ „გათენდება დილა მზიანი და ყოველ ბინდსა ის განანათლებს“.

ბარათაშვილის პოეზია ჩვენი ხალხის სიბრძნე და სიჭაბუკეა, მისი სულის სიმხნევე და სინაზეა, მისი მოქალაქეობრივი სინდისია. მისი უბადლო ლექსები — ეს მზიური საგალობელია სიცოცხლისა და თავისუფლებისადმი; ამიტომ არის, რომ ბარათაშვილი ესოდენ ახლობელია საბჭოთა ადამიანებისათვის, ჩვენი დიადი ეპოქისათვის.

საბჭოთა საქართველო, ყველა მოძმე ხალხი, მთელი მოწინავე კაცობრიობა განუზომელი სიყვარულის გრძნობით იხსენებს გენიოსი პოეტის სახელს. ბარათაშვილის იუბილე — მთელი ჩვენი საბჭოთა კულტურის დიდი დღესასწაულია.






10706

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლ ე ნ ი ნ ი  დ ა  პ ა რ ტ ი ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფ. ვლ. სიჭრაშვილი

მიმდინარე წლის აგვისტოში ჩვენს გაზეთებში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ". დადგენილებაში მკაფიოდ გაშუქებულია ლენინის სიდიადე და მისი მოძღვრების დაუშრეტელი ცხოვრებისეული ძალა, განსაზღვრულია იდეოლოგიური და ორგანიზაციული მუშაობის ვრცელი პროგრამა მომავალ იუბილესთან დაკავშირებით. ამ პოლიტიკურ დოკუმენტს დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის მასების დასარაზმავად კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისათვის და იდეური სიმტკიცის, ლენინიზმისადმი ურყევი ერთგულების სულისკვეთებით მათი აღზრდისათვის ბრძოლაში.

ლენინის სახელი უსაზღვროდ ძვირფასია თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის; ამ დიად სახელთან, ლენინიზმთან განუყრელად დაკავშირებულია ჩვენი საუკუნის ყველაზე თვალსაჩინო რევოლუციური მიღწევები — ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ცხოვრებაში, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა, მუშათა კლასის, მშრომელთა ყველა ძლევამოსილი ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

ლენინი — მარქსისა და ენგელსის რევოლუციური მოძღვრების უდიდესი განმგრძობი — ისტორიაში შევიდა, როგორც პროლეტარული რევოლუციისა და საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის გენიალური თეორეტიკოსი, სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი და ხელმძღვანელი, როგორც მსოფლიო პროლეტარიატის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ბრძენი ბელადი.

ვ. ი. ლენინის მთელი ცხოვრება და ტიტანური მოღვაწეობა განუყრელია მუშათა კლასის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობისაგან. ლენინმა გააშუქა და დაასაბუთა მარქსისტულ-ლენინური პარტიის ხელმძღვანელი როლი მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების მოპოვებაში, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში, განსაზღვრა მისი ისტორიული მოწოდება — „გაუძღვეს მთელ ხალხს სოციალიზმისაკენ, წარმართოს და მოაწყოს ახალი წყობილება, იყოს ყველა მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მასწავლებელი, ხელმძღვანელი, ბელადი, უბურჟუაზიოდ და ბურჟუაზიის წინააღმდეგ თავისი საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობის საქმეში".

ვ. ი. ლენინის გამოსვლა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლების ასპარეზზე წარმოადგენდა უდიდეს მოვლენას კაცობრიობის აზროვნების განვითარების ისტორიაში; ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა მეცნიერული მოძღვრება ახალი ტიპის პარტიაზე, როგორც შეგნებული, დისციპლინირებული, ცენტრალიზებული პროლეტარული ორგანიზაციის უმაღლეს ფორმაზე. და ლენინის დიადმა პარტიამ ერთადერთი სწორი გზით წარმართა ჩვენი ხალხის ბრძოლისა და გამარჯვების ისტორია, კომუნიზმის აშენებისათვის შემოქმედებითი შრომის ისტორია.

ვ. ი. ლენინმა ახალი ტიპის პარტიის შექმნისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის პერიოდში გენიალურად დაასაბუთა კოლექტიური ხელმძღვანელობის მეცნიერული პრინციპები. იგი პარტიის კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების შემუშავებისას, ბელადების, პოლიტიკური ორგანიზატორების ნებისყოფას უქვემდებარებდა პარტიისა და მისი მებრძოლი შტაბის — ცენტრალური კომიტეტის სიბრძნესა და ნებისყოფას.

ვ. ი. ლენინი კაცობრიობის ისტორიაში ბელადების, პოლიტიკური ორგანიზატორების ცოდნას, გამოცდილებას, ხელმძღვანელობის უნარს და მათ პირად დამსახურებას ხალხის წინაშე განიხილავდა არა იზოლირებულად, როგორც ეს სუბიექტური იდეალისტებისათვის, ვოლუნტარისტებისათვისაა დამახასიათებელი, არამედ იმ საზოგადოებასთან, ხალხთან, კლასებთან დიალექტიკურ კავშირურთიერთობაში, რომელთაც ისინი წამოაყენეს და რომლების სასიცოცხლო ინტერესებსაც მათი მოღვაწეობა ემსახურება.

ვ. ი. ლენინი დიდად აფასებდა მასების იმ ხელმძღვანელებსა და ორგანიზატორებს, რომელთა ჩანაფიქრი, იდეები, დებულებები და დასკვნები გამომდინარეობდნენ ისტორიის მატერიალისტური გაგებიდან, მეცნიერულად ასახავდნენ საზოგადოების განვითარების პირობებს; ასეთი ხელმძღვანელები მთელ თავიანთ ცოდნას, გამოცდილებას, ხელმძღვანელობის უნარს და შემოქმედებით მოღვაწეობას ორგანულად უკავშირებდნენ ხალხის, კლასების, პარტიის სასიცოცხლო ინტერესებისათვის ბრძოლის ამოცანებს.

ასე ზრდიდა დიდი ლენინი ახალი ტიპის ხელმძღვანელებს, თავის მოწაფეებსა და თანამებრძოლებს, რომლებიც მასთან ერთად განამტკიცებდნენ ლენინიზმის დიად პარტიას.

ლენინის განსაზღვრით, ახალი ტიპის პარტია უნდა ამაღლებულიყო თეორიულად, შემჭიდროებულიყო ორგანიზაციულად, განმტკიცებულიყო პოლიტიკურად და გადაქცეულიყო მუშათა კლასის მოწინავე, შეგნებულ, ორგანიზებულ, დისციპლინირებულ რაზმად, პროლეტარული ორგანიზაციის უმაღლეს ფორმად, მშრომელთა მრავალ მილიონიანი მასების დამრაზმავ ხელმძღვანელ ძალად. ახალი ტიპის პარტიის ასეთ მაორგანიზებელ, წარმმართავ ხელმძღვანელ ძალად გადაქცევისათვის უდიდესი თეორიული და ტიტანური პრაქტიკულ-რევოლუციური ბრძოლები ჩაატარეს ლენინმა, მისმა მოწაფეებმა და თანამებრძოლებმა საერთაშორისო ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, ყველა სახის ანტიხალხურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ.

ვ. ი. ლენინის, მისი მოწაფეებისა და თანამებრძოლების თეორიულ ბრძოლებსა და პრაქტიკულ-რევოლუციურ მუშაობას ის მოჰყვა, რომ ახალი ისტორიის განთიადზე, სოციალისტური რევოლუციისათვის გმირული ბრძოლების პერიოდში, იმ დროს, როცა მეორე ინტერნაციონალის პარტიები გადავიდნენ იმპერიალიზმის მხარეზე — ამ მკაცრი გამოცდის პირობებში, მხოლოდ ლენინიზმის პარტია აღმოჩნდა სოციალიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთგული და ეს ერთგულება მან საქმით დაამტკიცა იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ლენინიზმის დიადი პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, გენიალური ლენინის ორგანიზატორობით ჩვენი დიდი ქვეყნის გმირმა ხალხმა პირველმა გაარღვია იმპერიალიზმის ფრონტი 1917 წლის ოქტომბერში, დაამხო ექსპლოატატორთა ბატონობა და დაამყარა პირველი სოციალისტური სახელმწიფო, რითაც დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში.

ლენინის მიერ შექმნილი, განმტკიცებული და გამობრძმედილი მშობლიური კომუნისტური პარტიის უძლეველი ძალა და უბადლო მეცნიერული ხელმძღვანელობის უნარი განპირობებულია მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმომცველობით; ეს დიადი მოძღვრება სავსებით შეესაბამება არა მხოლოდ სსრ კავშირის კომუნიზმის მშენებელი მრავალეროვანი ხალხების სასიცოცხლო ინტერესებს, არამედ მთელი პროგრესული კაცობრიობის სასიცოცხლო ინტერესებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, ჩვენმა სოციალისტურმა სახელმწიფომ თავისი სიცოცხლისუნარიანობა, უძლეველობა კიდევ ერთხელ ნათელყო დიდი სამამულო ომის წლებში, როცა ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ ჩაშალეს ფაშისტური გერმანიისა და მისი მოკავშირეების მესვეურთა ყველა ვარაუდი, ფოლადის კედლად შეადუღეს ფრონტი და ზურგი, ფეხზე დააყენეს არმია და ხალხი, ქვეყანა გარდაქმნეს სამხედრო ყაიდაზე, ყველაფერი დაუმორჩილეს მტრის განადგურებისათვის ბრძოლის ინტერესებს და ძლევამოსილი გამარჯვება მოიპოვეს მტერზე, რითაც იხსნეს კაცობრიობის კულტურა განადგურებისა და ფაშისტური უღლისაგან.

მეორე მსოფლიო ომის ბოლოს და მომდევნო წლებში მთელი რიგი ქვეყნების მოძმე პარტიებმა, ლენინის დიადი პარტიის დახმარებით, მისი ისტორიული გამოცდილების საფუძველზე სწორად წარმართეს მშრომელი ხალხის რევოლუციური ბრძოლები, დაამხეს ექსპლოატატორთა ბატონობა და დაამყარეს სახალხო დემოკრატიული წყობილება, დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ პარტიის, კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების ძლიერების წყარო — ესაა მათი იდეურ-პოლიტიკური ერთიანობა, რევიზიონისტულ და დოგმატიკურ მიმდინარეობათა სისტემატური მხილება და დაგმობა. ვ. ი. ლენინის ამ პრინციპულ მოთხოვნებს წმიდათაწმიდათ იცავენ და ცხოვრებაში ატარებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მოძმე პარტიების უმრავლესობა; ამ გზით ისინი უდიდეს წარმატებებს აღწევენ თავიანთ მუშაობაში. „მსოფლიო კომუნიზმის შემდგომი წინსვლის უმნიშვნელოვანესი პირობაა მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე იმ ახალი პრობლემების შემოქმედებითი დამუშავება, — ნათქვამია ლენინის პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში, — რომლებსაც მსოფლიო მოვლენათა მსვლელობა და რევოლუციური მოძრაობის პრაქტიკა აყენებს“.

ლენინის პარტიის XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითად განვითარების ბრწყინვალე ნიმუშია. ყრილობის გადაწყვეტილებებში განვითარებული ლენინური იდეები გზის მაჩვენებელი ჩაუქრობელი ჩირაღდნებია კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განვითარებისათვის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოებისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის წარმატებით მოღვაწეობისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის მთელ მსოფლიოში.

მარქსის, ენგელსის, ლენინის დიადი იდეები სულ უფრო და უფრო ეუფლება ჩვენი პლანეტის მოსახლეობის უმრავლესობას — მუშათა კლასს, მშრომელ გლეხობას, პროგრესულ ინტელიგენციას. ამიერიდან მთელი მსოფლიოს პროგრესული მოსახლეობა განუხრელად რწმუნდება იმაში, რომ კაცობრიობის ჩაგვრისა და ექსპლოატაციიდანაც განთავისუფლების ერთადერთ გზას წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის შთამაგონებელი იდეებით გაშუქებული გზა, კაპიტალის ბატონობის დამხობისა და სოციალიზმის გამარჯვების გზა.

ვ. ი. ლენინის დაბადების მეასე წლისთავისათვის მზადება საერთო პარტიული, საერთოსახალხო საქმეა. დიდი ამოცანებია დასახული ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის, ლიტერატურისა და ხელოვნების, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკების წინაშე, ბევრი რამ უნდა გააკეთონ საბჭოთა ორგანოებმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

პოლიტიკურ მუშაობაში მთავარია ყოველმხრივ ვუჩვენოთ პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ბრძოლა ლენინის ანდერძის განხორციელებისათვის, ცხადვყოთ მარქსიზმ-ლენინიზმის მნიშვნელობა რევოლუციური გარდაქმნებისათვის, ვ. ი. ლენინის — დიდი მოაზროვნის, რევოლუციონერის, კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ბელადის ისტორიული როლი; განვმარტოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს მარქსისტულ-ლენინურ მოძრაობას ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის, მსოფლიო სოციალისტური სისტემის, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების მეასე წლისთავი დიდი მოვლენაა პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ხალხთა ცხოვრებაში. იუბილესათვის მზადება მასებში იწვევს ახალ პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდების პასუხად მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, საბჭოთა მეომრები ძალღონეს არ დაიშურებენ, რათა ღირსშესანიშნავი თარიღი აღნიშნონ ახალი გამარჯვებებით კომუნისტური მშენებლობის იმ გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომლებიც დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამით, პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით და ოქტომბრის 50 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტებით.

საბჭოთა ადამიანებს აღაფრთოვანებს მშობლიური პარტიის მგზნებარე სიტყვები.

— შემდგომშიც ვიმუშაოთ და ვიცხოვროთ ლენინურად, შევქმნათ ვლადიმერ ილიას-ძის შესანიშნავი ძეგლი — კომუნიზმის შენობა, მისი უკვდავი იდეების დიადი და ღირსეული განსახიერება.

# დიდი იდეური საგანძური

მთელი საბჭოთა ქვეყანა გატაცებით ემზადება, რათა ღირსეულად შეხვდეს დიად თარიღს — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. მოსკოვის გამომცემლობებმა ადრევე დასახეს ფართო გეგმები და ამჟამად წარმატებით მუშაობენ იმ დიდი იდეური საუნჯის გასამდიდრებლად, რომელსაც ლენინიანა ეწოდება. 1968-1970 წლების მანძილზე 175 მილიონიანი ტირაჟით გამოვა ექვსასზე მეტი წიგნი, მიძღვნილი ამ იუბილესადმი.

სულ ახლო ხანში, დამატებითი ტირაჟით გამოიცემა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებული 55 ტომად, ლენინის რჩეული თხზულებანი სამ ტომად, კრებულები „ვ. ი. ლენინი იდეოლოგიური მუშაობის შესახებ“, „პარტია — სოციალისტური სახელმწიფოს და კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა“, „ლენინი ახალგაზრდობის შესახებ“, „კომუნისტური მორალის საკითხები“. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი და სახელმწიფო პოლიტიკური გამომცემლობა დასაბეჭდად ამზადებენ ლენინის მოწაფეთა და თანამებრძოლთა მოგონებების ვრცელ კრებულს, რომელიც ხუთ ტომად გამოვა. ამას გარდა, პირველად გამოქვეყნდება ერთად შეკრებილი მთელი მიმოწერა ულიანოვების ოჯახისა.

მზადდება რამდენიმე გამოცემა ვლადიმერ ილიას-ძის ბიოგრაფიისა. სახელმწიფო პოლიტიკური გამომცემლობა ორ ტომად გამოაქვეყნებს ვ. ი. ლენინის ვრცელ ბიოგრაფიას და „მოკლე ბიოგრაფიულ ნარკვევს“.

განსაკუთრებით საინტერესო იქნება ფოტოდოკუმენტური და მხატვრულ-პუბლიცისტური ალბომი: „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“.

მკითხველთა უაღრესად ფართო ფენებისათვის არის გამიზნული დოკუმენტურ-მხატვრული წიგნების სერია — „ულიანოვების ოჯახი“.

საიუბილეოდ გამოვა უაღრესად საინტერესო მონოგრაფიები „ლენინიზმი და ჩვენი ეპოქის ფილოსოფია“, „ლენინიზმი და თანამედროვე ბუნებისმეტყველება“, „ლენინი და ისტორიის მეცნიერება“ და სხვ.

ფართოდ არის გაჩაღებული მუშაობა ყველა მოძმე რესპუბლიკაში, კერძოდ საქართველოშიც.

საბჭოთა ადამიანები წარმატებით ემზადებიან ამ დიადი იუბილესათვის; ჩვენი მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები ჰქმნიან ახალ ნაწარმოებებს, რომლებშიც ასახული იქნება ლენინის პარტიის სასახელო მოღვაწეობა მთელი მოწინავე კაცობრიობის ნათელი მომავლის დასამკვიდრებლად.

## ბარათაშვილის თანამედროვენი



ალექსანდრე ჭავჭავაძე
(1786—1846)

დიდი ქართველი პოეტი; ნ. ბარათაშვილი ხშირი სტუმარი იყო ალ. ჭავჭავაძის სახელგანთქმული ოჯახისა, სადაც თავს იყრიდნენ იმ დროის მოწინავე ადამიანები.

ნ. ბარათაშვილი ალ. ჭავჭავაძეს იხსენიებს გრ. ორბელიანისადმი მიწერილ წერილში. იგი მოუთხრობს ბიძას მარტყოფში გადახდილ დღეობაზე, რომელსაც ალ. ჭავჭავაძე დასწრებია თავისი ოჯახით და მეგობრებით.



გრიგოლ ორბელიანი
(1800—1883)

დიდი ქართველი პოეტი, ნ. ბარათაშვილის ბიძა (დედის ძმა); ნიკოლოზი მუდამ ულრმესი სიყვარულით წარმოსთქვამდა მის სახელს, დიდად შეხუმრებული იყო მასთან.

ნ. ბარათაშვილის წერილიდან:

„საყვარელო ძმაო გრიგოლ! შევიტყვე, რომ ფურმე ფრანციცულს სწავლობ. ერთმა ქალმა შემოგითვალა: „სპარსულად ნათქვამიაო: ოცდაათ წელიწადს უკან რომ კაცი ჩონგურს ისწავლის, საიქიოს დაუკრავსო“... ამ ხელად ეს იყოს. ნუ კი შემომწყრები. შენი მარად და მარად და მარადის იქითაც ნ ი კ ო ლ ა ი“.



# ბარათაშვილის პოეზია და ფილოსოფია

აკად. გიორგი ჯიბლაძე

ბარათაშვილის პოეზია მხატვრული ფენომენებით იმდენად ღრმა აზრების შემცველია, რომ საკმარისი არ არის ვილაპარაკოთ მარტოოდენ ოსტატობის, სილამაზის, რაფინირებული განცდების ან ფორმათა ორიგინალობის შესახებ. აზრობრივი ჩაღრმავება მისი შემოქმედების ერთი უძლიერესი მხარეა, რაც თავისთავად განეკუთვნება ფილოსოფიურ მიდრეკილებას, და ქართველ პოეტთაგან, რუსთაველის შემდეგ, ისე არავის ახასიათებს, როგორც ბარათაშვილს. თუ რომელიმე პოეტზე შეიძლება ითქვას, მისი შედევრები ფილოსოფიური განზოგადების შესაძლებლობას იძლევაო, „მერანის“ ავტორი მათ შორის ერთ-ერთ პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ. დიდ მხატვრულ ნიჭთან ერთად, ბარათაშვილს ჰქონდა ღრმა ფილოსოფიური აზროვნების უნარი, რასაც მისი ლირიკული შედევრები გვიდასტურებენ. თითქმის ყველა ლექსში პოეტი ფილოსოფიურად ამაღლებული ჩანს. თითქმის ყველგან ჩვენ ვგრძნობთ მხატვრული სახის ლოგიკურ დატვირთულობას. ესაა ბარათაშვილის როგორც ლირიკის, ისე ეპისტოლარული მემკვიდრეობის ერთი უძირითადესი ნიშან-თვისება.

დიდ პოეტურ ნიჭთან ერთად, ბარათაშვილი არა მარტო ღრმა მოაზროვნის ტალანტით იყო დაჯილდოებული, არამედ, ბედმა ჭაბუკობიდანვე დაუკავშირა ისეთ მასწავლებელს, რომელიც თავისი დროის ულრესად განათლებულ ფილოსოფოსს წარმოადგენდა. ეს მასწავლებელი გახლდათ სოლომონ დოდაშვილი, ავტორი წიგნისა — „ლოგიკა“, რომელიც პეტერბურგში 1827 წელს დაიბეჭდა. შეუძლებელია ეს წიგნი ბარათაშვილს წაკითხული არ ჰქონოდა, მით უფრო, რომ იგი ახე დიდი პატივისცემით ეკიდებოდა თავის სახელოვან მასწავლებელს, რომლის ერთგულიც ბოლომდე დარჩა.

ბარათაშვილი ერთგან ისე სწერს ზაქარია ორბელიანს, თითქოს დოდაშვილის წიგნიდან ამოეწერის სიტყვები: „ღრმად ჩაიხედე შენს თავშიო“; რომ დოდაშვილი და ბარათაშვილი სიბრძნეს სავსებით ერთნაირად განმარტავენ, სრულიად უეჭველია. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ერთი საკუთრივ ფილოსოფიაზე წერს, მეორე კი ადამიანის ცხოვრების გზას არკვევს. დოდაშვილი მწყობრად გადმოსცემს იდეალისტურ გაგებას, რომლის მიხედვითაც ფილოსოფიის შესწავლა ნიშნავს ფილოსოფიურ აზროვნებას, ეს უკანასკნელი კი მოითხოვს ყურადღება მიაპყრო საკუთარ თავს, ჩასწვდე მას, რათა გავიგოთ და შევიგნოთ ჩვენივე თავი, ხოლო ამ გზით დავამყაროთ თანხმობა ჩვენს თავში და ჩვენს თავთან. მაგრამ ეს ნიშნავს ჩვენივე თავი განვარიდოთ ყოველივე იმას, რაც არ გვეკუთვნის. ეს ხდება მაშინ, როცა აზრობრივად განზე ვტოვებთ ყველაფერს, რაც ჩვენს გარეთაა, და მარტოოდენ შინაგან არსებას მივსდევთ. ამით ადამიანი თვითონვე ხდება გამოკვლევის უშუალო საგანი. აქედან ბუნებრივად კეთდება დასკვნა, რომ საკუთარი თავის შეცნობა სხვა არაფერია, თუ არ ცოდნა სწორად განსაჯო მთელი ჩვენი ქმედითი ძალა. ეს კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ჩვენთვის ცნობილი ხდება ჩვენივე არსების მოქმედების კანონები, მისი საზღვრები და მიზანი. შევიგნებთ ჩვენს თავს, თუ შევიძლებთ მოვიტანოთ ჩვენივე აზრების, შემეცნებათა და ქცევათა საკმარისი მიზეზები. ხოლო ვამყარებთ თანხმობას ჩვენს თავში და ჩვენს თავთან მაშინ, როცა ვაწყობთ ჩვენს თავში ჰარმონიულ ქმედებას და წარვმართავთ მას ჩვენივე დანიშნულებისაკენ.

ეს ძირითადი აზრი თითქმის უცვლელად გვხვდება ბარათაშვილის წერილში ზაქარია ორბელიანისადმი. წერილი დათარიღებულია 1844 წლის 15 აპრილით. ახალგაზრდა პოეტს მხოლოდ წელიწადნახევრის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი. მისი აზრები ჩვეულებრივად გამოირჩევა სიბრძნით. თავის ბიძას, ზაქარიას, რომელსაც პოეტისათვის სევდითა და დაღლილობის გამომხატველი სიტყვებით ალსავსე წერილი გამოუგზავნია, ბარათაშვილი ამშვიდებს და ფილოსოფიური დეფინიციით ურჩევს როგორ მოიქცეს, რათა ამ მტანჯველ განწყობილებას თავი დააღწიოს. ასწავლის, რომ ადამიანის სული, რომელმაც თავის სრულ განვითარებას მიაღწია, განსვენებას მოითხოვს. ზაქარია ორბელიანს კი იმ დროს ბრწყინვალე სამხედრო კარიერა ჰქონდა მოპოვებული ოცი წლის მანძილზე გმირული ბრძოლით თურქებისა და შამილის წინააღმდეგ (1824 წლიდან 1844 წლამდე, როცა ხსენებული მიმოწერა გაიმართა ბიძა-დისწულს შორის). მაგრამ მისი სული, ეტყობა, დაღლილობის გამო, სევდას მოეცვა, და ბარათაშვილი, აღზრდილი დოდაშვილის ფილოსოფიურ მრწამსზე, ურჩევს თავის ბიძას: სრულ განვითარებას მიღწეული ადამიანის სული განსვენებას მოითხოვს. მთავარია გაიგო და შეიგნო შენივე თავი. განერიდე გარეგან ფენომენებს და ჩაიხედე საკუთარ თავში, რათა შემეცნების უშუალო საგნად თვითონვე იქცე. საკუთარი თავის შეცნობა კი სხვა არაფერია, თუ არ იმის გაგება, რომ სწორად განსაჯო შენივე ქმედითი ძალა, შენი არსების მოქმედების კანონები, საზღვრები და მიზნები. განა აქ საკუთარი თავის შეგნება არ ნიშნავს საკუთარი აზრების, შემეცნებათა და ქცევათა საკმარისი მიზეზების მოტანას? განა არ კეთდება დასკვნა, რომ საკუთარ თავში ჰარმონიული ქმედება უნდა წარიმართოს საკუთარი დანიშნულებისაკენ?

ბარათაშვილს რომ ფილოსოფიური ტრაქტატები დაეწერა, მისი სახით, უეჭველია, ერთი უბრწყინვალესი და უმნიშვნელოვანესი ფილოსოფოსი გვეყოლებოდა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მაგრამ პოეზიასა და პირად წერილებში იმდენი გვითხრა ხსენებულ საგანზე, რომ ბარათაშვილი უნდა მივიჩნიოთ არა მარტო პოეტად, არამედ ფილოსოფოსადაც. სტანკევიჩმა ფილოსოფიაზე ვერაფრის დაწერა ვერ მოასწრო, მაგრამ რუსეთის ისტორიაში ცნობილ ფილოსოფოსად და ფილოსოფიური სკოლის აღიარებულ მეთაურად დარჩა. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ სადაც ჭეშმარიტი, მაღალი პოეზიაა, იქ ფილოსოფიაც დამკვიდრებულია, როგორც მისი თეორიულ-მეცნიერული საფუძველი.

ბარათაშვილმა შესანიშნავად იცის, მაგალითად, რომ ადამიანი ნაწილია ბუნებისა და სამყარო მისი მოქმედების უსასრულო ველი. არსად იგი არ გვეუბნება „მე“ განაპირობებს ყველაფერს, აზრი არსის დამოუკიდებლად არსებობსო. პირიქით, მას ბოლომდე სწამს, რომ არსი მეტია აზრზე, პირველი უსასრულოა, ხოლო მეორე ბოლოვადი. ეს უკანასკნელი პოსტულატი მის ფილოსოფიაში ზოგადი სახითაც უცვლელი რჩება და კონკრეტული ადამიანის მიმართაც დაურღვეველი. აქ ედავება მას, სავსებით სამართლიანად, ჩვენი გაგება აზრის ბოლოვადობისა, რომ ადამიანის შემეცნება სუვერენულიც არის და არა სუვერენულიც. მაგრამ პოეტს ვერავინ დასდებს ბრალს, რატომ ასე არ ფიქრობდა. არც შეეძლო ეს გაეკეთებინა, როგორც თავისი დროის შვილს, თუმცა ის კი ზედმიწევნით იცოდა, რომ ყველაფერი, რაც არსებობს, მარადიული არ არის, არსებობა მოსპობასაც ნიშნავს, როგორც კანტი ამბობდა, ხოლო პოეტმა შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოელოს, მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადა იყოს?“

მაგრამ პოეტმა კარგად იცის, რომ მომავალზე ორიენტაცია ფუჭი ოცნებაა, თუ აწმყოს არ ემსახურება იმავე მომავლის ინტერესების დასაცავად. ამიტომ კონფლიქტი იდეალსა და სინამდვილეს შორის, რაც ასე დამახასიათებელია ბარათაშვილის როგორც შემოქმედების, ისე ეპისტოლარული მემკვიდრეობისათვის, მართალია, კონფლიქტად რჩება, მაგრამ სათავეცაა მოქმედების ფილოსოფიისა. ეს ფილოსოფია სამ ძირითად ფენომენს ემყარება: იდეალურ წარსულს, მწარე აწმყოს და მშვენიერ მომავალს. პირველი სანიმუშოდ მიაჩნია, მაგრამ, როგორც დაკარგული, მხოლოდ ოცნებაში არსებობს ტკბობისა, მაგალითად მიჩნევისა და ოხვრისათვის; მეორე თვალწინაა, როგორც ფიზიკურად ცოცხალი სინამდვილე, თუმცა მკვდარი და უსიცოცხლო მღელვარე სულისათვის — ის მხოლოდ უარყოფითი საყრდენია, რათა იმოქმედო მისივე ნეგაციის მისაღწევად; მესამე შორეულია, მაგრამ ერთადერთი რეალური გზაა ჭეშმარიტებით გაცისკროვნებული, რასაც მთელი არსებით უნდა ემსახურო.

აქედან მოდის მეორე ძლიერი ნაკადიც — განდიდება თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა, ურომლისოდ პოეტს ვერ წარმოუდგენია ვერც ადამიანის არსებობა, ვერც პიროვნების ღირსება. მსოფლიო რომანტიზმის ეს ერთი ძირითადი ტენდენცია ბარათაშვილმა ქართულ რომანტიზმში დიდ მხატვრულსა და ფილოსოფიურ განზოგადებამდე აიყვანა. საკმარისია გავიხსენოთ „სუმბული და მწირი“ — თავისუფლების ეს ულრესად ძლიერი ალეგორიული ჰიმნი, „მერანის“ შინაგანი მაჟორი თავისუფლებისა, „ჩჩვილის“ ოდა — „ვიდრემდის ხარ, ყრმაო, თავისუფალი“, „სულო ბოროტოში“ გლოვა აღთქმული თავისუფლების დაკარგვისა, ხოლო „ბედი ქართლისას“ ის ადგილები, სადაც პოეტი თავის გმირებს ათქმევინებს: „ჭერ სამაგიერო რა გვემართება, რომ განვეშორდეთ თავისუფლებას?“; „ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს არად მიაჩნიათ უბედურება, თუ აქვთ თვისთ ჰქონდეთ თავისუფლება“. „მისდევდე შენსა გულისკვეთებას და უთრგუნველ თავისუფლებას?“ „არ მოგაკლდება თავისუფლება, განცხრომილება, ფუფუნეულება“, (ცანცლერი ლეონიძე); „რა ხელ-მყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული?..“ „ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება, თუ მოაკლდება თავისუფლება?“ (სოფიო). ბარათაშვილამდე არცერთ ქართველ პოეტს ასეთი ძლიერი ჰიმნებით არ უმღერია თავისუფლებისათვის და მისი ტახტრევანი ასე ძლიერი გრძნობით არ დაუმშვენებია. თუ ერთ შემთხვევაში თავისუფლება ბარათაშვილთან ზოგადი სახითაა გააზრებული, როგორც იდეალური, მაგრამ აუცილებელი ფენომენი, მეორე შემთხვევაში იგი ღებულობს კონკრეტულ სახეს, გვევლინება ქვეყნის ან პიროვნების თავისუფლებად. აქ შემოდის ის აბოლიციონიზმი, რომელიც მსოფლიო რომანტიზმმა თავის დროშაზე წააწერა და ძნელი არ არის იგი გამოვიცნოთ სუმბულის ნატვრაში, სოფიოს სიტყვებსა და „მერანის“ ლირიკული გმირის თავაწყვეტილ ჭენებაში. მონური ხუნდების მსხვრევა ბარათაშვილის პოეზიიდან ისევე გვესმის, როგორც აბოლიციონიზმის ქადაგება მსოფლიოს პროგრესული რომანტიკოსების შემოქმედებაში. ეს უეჭველად არის მსოფლიო რომანტიზმისათვის დამახასიათებელი აბოლიციონიზმი და ბარათაშვილი ამ მხრივაც გვერდით უდგას პროგრესულ რომანტიკოსებს.

მაგრამ რა უნდა ვიგულისხმოთ რეალისტურ მსოფლმხედველობაში, რომელიც ასე დავუკავშირეთ ბარათაშვილის მოქმედების ფილოსოფიას?

აქ უნდა ვიგულისხმოთ არა ქრისტიანული ანუ სქოლასტიკური რეალიზმი შუასაუკუნეებისა, არამედ ის რეალისტური მსოფლმხედველობა, რომელიც იდეალიზმისა და მატერიალიზმის თავისებურად გაგებულ პოზიტიურ ელემენტებს იყენებს, ამ საფუძველზე თავის საკუთარ კონცეფციას აშენებს, ვ... შავებს სინამდვილის ახსნის და საზოგადოების სამსახურისათვის. ეს რეალისტური მსოფლმხედველობა არც იდეალიზმით იხაზღვრება, არც მატერიალიზმით, მაგრამ ორივეს იერთებს მისი გაგებით პოზიტიურ ასპექტის მისაღწევად. ამიტომ მას არ ახასიათებს მკაფიოდ გამოკვეთილი დუალიზმი, როგორც, მაგალითად, კარტეზიულ ფილოსოფიას, სადაც გნოსეოლოგია მთლიანად იდეალისტურია, ხოლო ბუნების მოვლენების ახსნა (ფიზიკის დარგში) მექანისტური მატერიალიზმის პრინციპებს ემყარება. ეს არ ესმოდა მალბრანშს, რომელმაც დეკარტე მარტოოდენ იდეალისტად მიიჩნია. დავსძენთ, რომ ჩვენ ვლაპარაკობთ მკაფიოდ გამოკვეთილ დუალისტურ თვალსაზრისზე, ვამბობთ, ეს არ არის, ხოლო თუ ანალიტიკურად დავშლით, ცხადია, დუალისტურ თვალსაზრისს ხსენებული რეალისტური მსოფლმხედველობაც ვერ ასცდა და ვერც ასცდებოდა, ვინაიდან ცდა ორი დაპირისპირებული თვალსაზრისის გაერთიანებისა, როგორი ბუნებრივი ფორმაც არ უნდა მიიღოს, დუალისტური დანაშრევების გარეშე წარმოუდგენელია. მაგრამ, თუ ჩვენ დუალისტური არ ვუწოდეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის რეალისტურ მსოფლმხედველობას, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი კონცეფცია, მხატვრული სახეებით ესოდენ მდიდარი, უფრო მთლიანი გვეჩვენება, ვიდრე თვით დუალისტებისა, მიუხედავად იმისა, რომ იქაც „დუალიზმთან“ გვაქვს საქმე, რაკი იდეალისტურსა და მატერიალისტურ ელემენტებს შეიცავს.

სწორედ ამგვარი რეალიზმი გამოარჩევს მსოფლმხედველობას ისეთი გენიოსებისა, როგორიც არიან გოეთე და ბაირონი, პუშკინი და ლერმონტოვი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. რაც შეეხება ბარათაშვილს, მისი მსოფლმხედველობაც სწორედ ამ რეალისტურ ნაკადს განეკუთვნება, რასაც საუკეთესოდ გვიდასტურებენ მისივე ფილოსოფიური პრედიკატები: ერთის მხრივ, იდეალისტური გაგება ადამიანური აზრის სუვერენულობისა („შემოლამება მთაწმინდაზედ“ — „შენამდინ ვერ მოაღწევენ და მაერშივე განიბნევიან!“), მეორეს მხრივ, სავსებით მატერიალისტური დეფინიცია („ფიქრნი მტკვრის პირას“ — „და აღიძვრიან იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!..“). ეს ზოგადი, მაგრამ ძირითადი პოსტულატები ბარათაშვილის შემოქმედებაში ყველგან იჩენენ ხოლმე თავს და კონკრეტულ სახეს ღებულობენ ყველა კონკრეტული შემთხვევის მიმართ, სულ ერთია, საზოგადოებრივ (სოციალურ-პოლიტიკურ), თუ პიროვნულ (მორალურ-სუბიექტურ) პრობლემებთან გვექნება საქმე.

მაგრამ იქ, სადაც ბარათაშვილი მიხეილ თუმანიშვილისადმი 1838 წლის 6 აგვისტოს გაგზავნილ წერილში ლაპარაკობს „სამარადისო სიცალიერისა“ და „ზეციურ-მიწიური სანახაობის“ შესახებ, რაც

## ბარათაშვილის თანამედროვენი



დიმიტრი ყიფიანი
(1814—1887)

ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანი; ბარათაშვილის სიყრმის მეგობარი იყო.

ნ. ბარათაშვილის წერილიდან:

„ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: ყიფიანმა გადმოთარგმნა „რომეო და ჯულიეტა“, შექსპირის ტრაგედია, და მე ვთარგმნე „ოულ ტარენტელი“, ტრაგედია ლეიზევიცისა. თუ წაგიკითხავს, ბიბლიოთეკაში იყო დაბეჭდილი, მე ძალიან მომეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმა, ასე გასინჯე, იტირეს“.



სოლომონ დოდაშვილი
(1805—1836)

გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი; დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი, იქვე გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი „ლოგიკა“, რომელიც პირველი ნაწილი იყო ფილოსოფიის მთელი კურსისა. 1832 წელს დააპატიმრეს, როგორც თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო შეთქმულების მონაწილე და გადაასახლეს ვიატკაში, სადაც გარდაიცვალა. სიცოცხლის ბოლო დღეებში იგი გაეცნო გერცენს.

სოლომონ დოდაშვილი ნ. ბარათაშვილის მასწავლებელი იყო თბილისის გიმნაზიაში; გენიოსი პოეტის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე მან დიდი ზეგავლენა მოახდინა.

# ბარათაშვილის თანამედროვენი



*გიორგი ერისთავი*
*(1811—1864)*

ნ. ბარათაშვილის ახლო მეგობარი, ცნობილი პოეტი, დრამატურგი, ახალი ქართული თეატრის ფუძემდებელი.

ნ. ბარათაშვილის წერილიდან:

„შენს გაზდას, მაიკო, თუ გლუხარიჩი (გიორგი ერისთავი — რედ.) ნახო, ჩემს მაგიერ მოიკითხე და უთხარ, რა ღმერთი გაგიწყრა, რომ აგრე ფეხი აიკვეთე ქალაქისაკენა-თქო. როგორ აღარა აგონდება რა სასიამოვნო შენს პოეტურ სულსა-თქო“.



*სოფიო სუმბათაშვილი*
*(1841—1916)*

ნ. ბარათაშვილის ყველაზე უმცროსი და. პოეტი მას მოფერებით ალიპუტილას ეძახოდა.

ნ. ბარათაშვილის წერილიდან გრ. ორბელიანისადმი:

„მამამ, ფეფომ, კატომ, ბაბალემ, ნინუცამ და ა ლ ი პ უ ტ ი ლ ა მ მოგიკითხეს“.

ამ წერილის დაწერის დროს ალიპუტილა ორი წლისა იყო.



დაგვირგვინებულია ლოგიკური დეფინიციით: „უბედურის ნუგეში, ბედნიერების დასასრულიაო“, სხვას არაფერს ნიშნავს, გარდა ყოფნა-არყოფნის ფილოსოფიური განჭვრეტისა. აქ უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: ეს აზრი ბარათაშვილს შემთხვევით არ წარმოუთქვამს. თითქმის იგივეა განმეორებული მაიკო ორბელიანისადმი 1842 წლის 31 ოქტომბერს გაგზავნილ წერილშიც. ბარათაშვილი შემდეგი სიტყვებით ანუგეშებს ერთგულ მეგობარს: „თუ ფიქრობ, ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს. ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მადრიელი იყოს ამ წუთის სოფლისა. — დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა, აი ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან!“

ძნელია უკეთესი დახასიათება წარმავლობის ფილოსოფიისა, თუმცა, როცა ამას ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს არა რომელიმე დოქტრინა, არამედ, ჩვეულებრივი წუთისოფლის მდინარება და მისი გრძნობიერი აღქმა, რაც გონებას თავისი ხსოვებით გაუნათებია. ადამიანები სტოვებენ ამ ქვეყანას, მაგრამ რჩებიან საქმეები, რომლებიც არსებობას განაგრძობენ.

მაგრამ რა არის იქ, ზეციერში, რაც ასე აწუხებდა ჰამლეტის დაეჭვებულ გონებასაც? მართლაც ხვდებიან ერთმანეთს გარდაცვლილთა სულები, როგორც რელიგიები და იდეალისტური სისტემები თავაზობდნენ ადამიანებს?

ბარათაშვილს არსად ეს არ უთქვამს. მაგრამ ორი სულის შეხვედრა იმ ქვეყნად, რასაც პატრისტიკა დოგმატებით განამტკიცებდა, ბარათაშვილის „ქეთევანში“ (1885) გვევლინება არა ავტორისეულ, არამედ გმირისეულ ფილოსოფიად. სიყვარულში ბედგანწირულ ქეთევანს სწამს, რომ სიკვდილის შემდეგ დამტკიცდება მისი უდანაშაულობა, ჭეშმარიტება გაიმარჯვებს, რაც უზენაესის სამეფოში სატრფოს შეახვედრებს. მას სხვაგვარად არც შეეძლო წარმოედგინა ამქვეყნიური ყოფნა-არყოფნის იმქვეყნიური გარდასახვა, როგორც ქრისტიანულ დოგმატებზე აღზრდილსა და იმავე დოგმატების ერთგულს. ქეთევანის ეს თეოსოფიური რწმენა აზროვნული კოლორიტის შემცველია, ხოლო, მეორეს მხრივ, იმის გამომხატველი, რომ ბარათაშვილს დიდი უნარი ჰქონდა ადამიანების — პოეზიის მოქმედი პირების ცოცხლად, მთელი მათი არსების სრული სახით დახატვისა, როგორც ჩვენ ამას ვხედავთ პოემაში „ბედი ქართლისა“, სადაც ასე საოცარი ბუნებრიობით წარმოისახენ ერეკლე და მისი კანცლერი, სოფიო და თვით ლირიკული გმირი პოეტისა.

გარდა ამისა, თუ დავაკვირდებით, ორი ძირითადი ფილოსოფიური დეფინიცია გამომდინარეობს ბარათაშვილის „შემოღამებიდან მთაწმინდაზედ“, უფრო სწორად, იმ ადგილიდან, სადაც პოეტი ადამიანური აზრის შესაძლებლობას სუვერენულ ფორმაში გვიხატავს, ხოლო ზეციური განგების ანუ უმაღლესის ნების შეცნობას მარტოოდენ განვითარებულ სულს მიაწერს. პირველ შემთხვევაში დოდაშვილის გზით კანტთან მივდივართ, მეორე კი შექსპირის „ჰამლეტის“ იმ ცნობილ სცენას მოგვაგონებს, როცა დანიის პრინცი თავის დედას ჰერტრუდას ესაუბრება და მოულოდნელად მამის აჩრდილი მოევლინება. თავისთავად იმის რწმენა, რომ ადამიანის ფიქრს (აზრს), რომელიც ზეცისაკენ (მიღმური ქვეყნისაკენ) არის მიპყრობილი, არ შეუძლია მისი წვდენა („შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!..“), თითქმის იგივეა, რაც კანტის ცნობილი თეზისი ტრანსცენდენტურობისა, რომლის მიხედვითაც ადამიანურ შემეცნებას არ ძალუძს მისწვდეს „საგანს თავისთავად“. ადამიანი რჩება მარტოოდენ ფენომენების ქვეყანაში, ხოლო ნოუმენების სამყარო მისი აზრის შესაძლებლობისათვის გამორიცხულია. ამ დასკვნისაკენ ბარათაშვილს უთუოდ წაუბიძგებდა კანტის ცოდნა, თუნდაც დოდაშვილის გზით, ან ქართული ფილოსოფიური აზრის მდგომარეობა იმ დროს როცა ჩვენი გენიოსი პოეტი ცხოვრობდა.



ფოტო
რ. აკოფოვისა

ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადასვენება დიდუბიდან მთაწმინდაზე.

ბარათაშვილის პოეზიაში შემეცნების ეს პრობლემა შემთხვევით არ გაჩენილა. დოდაშვილის ფილოსოფიური შტუდიები მას უეჭველად ღრმად დააფიქრებდნენ ტრანსცენდენტალური ესთეტიკის საკითხებზე და ლოგიკის პარალელურად მთელ მოძღვრებას დააწაფებდნენ. ამიტომაა ბარათაშვილის როგორც პოეზიაში, ისე ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში ასე ხშირი შეხვედრები ლოგიკურსა და ზოგადფილოსოფიურ დეფინიციებს შორის. ერთგან პოეტი სწერს ზაქარია ორბელიანს: „ჩვენი დანიშნულების მიზნის მიუწვდომლობამ, ადამიანის სურვილთა უსაზღვროებამ და ყოველივე ამქვეყნიურის ამაოებამ ჩემი სული საშინელი სიცალიერით აღავსესო“. ამ სიტყვებს ფილოსოფიურად განუსწავლელი კაცი ვერ დასწერდა. კიდევაც რომ ეგრძნო, სხვანაირად მოაბრუნებდა, სულ სხვა ფორმაში ჩამოაყალიბებდა. აქ კი გველაპარაკება ადამიანი, რომელსაც არა მარტო მიზნის მიუწვდომლობა (ფილოსოფიის ენაზე შემეცნების სუვერენულობა) გაგებული აქვს, არა მარტო ხედავს ადამიანის სურვილთა წრეშეუწერელობას (მაშასადამე, შემეცნების იმანენტურ მისწრაფებას), არამედ ეკლეზიასტეს დეფინიციას უერთებს სუბიექტის შინაგან სამყაროს, რაკი ესმის, შესაძლოა კანტის მსგავსად, რომ მოვლენა (ფენომენი) წარმავალია და ამის შეგნება ადამიანის სულს აცალიერებს. აქედან გამოსავალი ბევრმა ვერ პოვა, ხოლო ბარათაშვილის გენიამ შეიძლო მისი საზღვრების გადალახვა და სკეპტიციზმამდე კი არ მიგვიყვანა, ამ სოფლისათვის ზრუნვის თეზისს გვაზიარა, რათა ჩვენთვის ოპტიმიზმი შთაენერგა. ბარათაშვილი შუაგზაზე არ შეჩერებულა, პირიქით, წინ წავიდა, რომ ადამიანური აზრი, გონება, კეთილშობილი მისწრაფებანი განედიდებინა.

მეორე შემთხვევას, რომელიც საწუთროების იქითა სადგურის ძიებას გამოხატავს, მაგრამ თავდება პოეტური დეფინიციით — „ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს“, უნებლიეთ გადავყავართ, როგორც მოვიხსენიეთ, შექსპირის გაგებასთან, რაც ტრაგედიის მესამე მოქმედების მთელ მეოთხე სურათშია განსახიერებული — ჰამლეტის ცნობილ დიალოგში ჰერტრუდასთან.

გავიხსენოთ შექსპირის გამოთქმები — მაჩაბლისეული თარგმანი: „გონების თვალით“ (ჰორაციო ამბობს), „მე ვხედავ მას (აჩრდილს — გ. ჭ.) გონების თვალით“ (ჰამლეტი). ეს გონება ახალ ფილოსოფიაში, რომლის დამწყებად შექსპირსაც თვლიან, გულისხმობს განვითარებული სულის ანალოგიას. ერთსაც და მეორესაც ენიჭება უნარი იმას მიწვდეს, რაც შეუძლებელია ჩვეულებრივი ადამიანის, როგორც მარტოოდენ სისხლ-ხორცით სავსე არსებისათვის. მამის აჩრდილი ხომ ჰამლეტს პირდაპირ ეუბნება: „მაგრამ სისხლხორცით ქმნილნი ყურნი ვერ მიჰხვდებიან, რაც ამბავია საუკუნო განსასვენებელსო“. ადამიანი, რომელიც მხოლოდ ამქვეყნიური ვნებათა-ღელვით არის შეპყრობილი და არც სული, არც გონება განვითარებული არა აქვს, მას არ შეუძლია უზენაეს საიდუმლოებას მისწვდეს — ასეა შექსპირთან. ამ თეზისს დიდი ტრაგიკოსი ჰამლეტსაც ათქმევინებს ტირახზე მამის აჩრდილთან პირველ დიალოგში: „სულს და გონებას რათ გვირყევ ჩვენ, ბუნების გლახაკთ, ისეთ ფიქრებით, რასაც ჭკუა ვერ მისწვდომიაო“. ჰამლეტს ისიც სწამს, რომ სამყაროს ბევრ საიდუმლოებას განვითარებული ვერც სული მისწვდება, ვერც გონება. ამიტომ ეუბნება თავის ერთგულ მეგობარს: „ბევრი რამ ჰხდება, ჰორაციო, ზეცად და ქვეყნად, რაც ფილოსოფოსთ სიზმრად არც კი მოლანდებიათო“.

ყოველივე ამის შემდეგ სავსებით გასაგები ხდება ჰერტრუდასთან ჰამლეტის დიალოგში ის ადგილი, როცა მამის აჩრდილი გამოჩნდება. შვილის სასტიკი მამხილებელი სიტყვების შემდეგ ჰერტრუდა სასოწარკვეთილებაშია, მიხვდა თავის დანაშაულს. სწორედ ამ სასოწარკვეთილების დროს მამა — ჰამლეტის აჩრდილი, რომელიც მარტოოდენ სულია, შვილს — ჰამლეტს სთხოვს: „...შეხედე დედა-შენს, როგორ თრთის შიშით, ჩადექ შენ იმის შემკრთალ სულსა და იმას შორის, თორემ ოცნება სუსტზედ უფრო ძლიერ მოქმედებსო“. ჰამლეტი ხედავს მამის აჩრდილს, როგორც „მეფეს მჩვრებში გამოხვეულს“, ესაუბრება კიდეც, ხოლო ჰერტრუდას თვალიც და სმენაც დახშული აქვს — ვერც ხედავს, ვერც ისმენს! მისთვის ის, რასაც ჰამლეტი ხედავს და ისმენს — „ცალიერი სივრცეა“, როგორც თვითონვე ამბობს. არსებითად ეს არის ჰერტრუდას გონებისა და სულის სიცალიერე, იმის შედეგი, რომ იგი მარტოოდენ „სისხლ-ხორცით ქმნილი“ არსებაა, რომელსაც სული ან გონება არ განუვითარებია, მარტოოდენ ამქვეყნიურ ვნებათა მორევს მისცემია, მაშასადამე, უზენაესი საიდუმლოების შეცნობას მოკლებულია, რაკი „გლახ მოკვდავთა“ კასტის წარმომადგენელია. ჰამლეტი — პირიქით! მისი გონებაც და სულიც იმდენად განვითარებულია, რომ „ციურ განგებას“ სცნობს, თუმცა იმ საზღვრებში, რაც შექსპირის რწმენით ამგვარი ადამიანებისათვის თვით განგების მიერ დაშვებულია, ეს კი ჰერტრუდას მიაჩნია მხოლოდ „წარმოდგენის ნაყოფად“, რაკი სწამს, რომ „ბნელით მოცულს ჭკუას (ჰამლეტის განვითარებული გონება მისთვის „ბნელი ჭკუაა“, „[illegible] შეცდენა“ — გ. ჭ.) მოჩვენება [illegible] ხშირად“. მაშასადამე, ის, რაც ჰამლეტისათვის რეალობად ქცეულა, ჰერტრუდას „ცალიერ სივრცედ“ ეჩვენება, ვინაიდან „გლახ მოკვდავთა“ და „ციური განგების“ წვდენის უნარი, განვითარებული სულის ადამიანთათვის დამახასიათებელი, მას არ გააჩნია.

განვითარებული სულის ეს ფილოსოფია ბარათაშვილთანაც გვხვდება „გლახ მოკვდავნის“ პოეტური თქმით, ხოლო ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში პირდაპირ არის მოხსენებული, თუმცა რომანტიკულ შუქზე. ეს რომანტიკული იერი დაჰკრავს ხსენებული სულის მოღლილობას თავისი ძიების გზაზე და ბარათაშვილი რჩევას აძლევს ზაქარია ორბელიანს: „ადამიანის სული, რომელმაც მიაღწია თავის სრულ განვითარებას, და შეასრულა ზეცით მისთვის მიჩნეული საქმე, მოქანცული ბოლოს ეძებს განსვენებას“... იდეალი კი პოეტისა სწორედ განვითარებული სულია, რომელსაც უნარი აქვს შეიცნოს „ციური განგება“, ცხადია, ადამიანური შესაძლებლობის ფარგლებში. მაგრამ ბარათაშვილის ეს „განვითარებული სული“ არ არის და არც შეიძლება იყოს ლაიბნიცის განთქმული მონადა. რა საერთოც არ უნდა ვიპოვოთ მათ შორის (საკმარისია მარტო შემეცნების უნარზე მითითება), ისინი სულ სხვადასხვა კატეგორიებია.

როგორც ვხედავთ, ბარათაშვილის პოეტურ დეფინიციაში ვგრძნობთ არა მარტო კანტის ტრანსცენდენტს, შექსპირის „გონების თვალსაც“, მაშასადამე, განვითარებული სულისა და გონების ფილოსოფიურ პრედიკატს.

ბარათაშვილის ფილოსოფიის არსებით მხარეს განსაზღვრავს მოქმედება და არა განჭვრეტა, სამყაროს მატერიალურობის პრინციპი და არა ქრისტიანული დოგმატიკა სულის უკვდავებისა. თვით სული მისთვის მატერიის პრედიკატია, ხოლო განვითარებული სული — შემეცნების უმაღლესი ნიჭით დაჯილდოებული. თუ ყველგან ეს პრინციპები ბოლომდე არ არის დაცული, მიზეზი უნდა ვეძიოთ არა თვით ბარათაშვილის პიროვნებაში, რამდენადაც იმ ეპოქის თავისებურებაში, რომელშიაც გენიოს პოეტს ცხოვრება მოუხდა.

რაც ითქვა, ცხადად გვიჩვენებს, თუ რა დიდი იყო ბარათაშვილი, როგორც პოეტი-ხელოვანი, პატრიოტი-მოქალაქე და ფილოსოფოსი-მოაზროვნე.

ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობა დიდი მხატვრული სულის ქართული რელიქტია, რომელმაც მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ელვასავით გამოანათა, რათა უკვდავად გადასცემოდა მომდევნო საუკუნეებს. მისი პოეზიაც და ფილოსოფიაც არა მარტო გვაზიარებს მშვენიერებას, არამედ, მუდამ წინ გვეწევა, მოქმედებისა და ბრძოლისაკენ გვიხმობს, მტკიცედ გვამკვიდრებს ამქვეყნად მაღალი ადამიანური შეგნებით. პოეტურ შემოქმედებას მეტი არც შეუძლია. აქ მისი საზღვრებია. რაკი ამ საზღვრებს მიაღწია, ბარათაშვილის პოეზიამ თვით უკვდავების საზღვრები შეიერთა და გვირგვინად მარადისობა დაიდგა.

# საქართველოს დიდი წინაპარი

### ვლადიმერ ზამბახიძე

ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართველ სამოციანელთა მარტო ლიტერატურული წინამორბედი არ ყოფილა. „მერანი" იყო და რჩება მოწინავე კაცობრიობის მაღალ ჰუმანისტურ მისწრაფებათა საუკეთესო გამომხატველად, ხოლო „ბედი ქართლისა", თავის დროის მოწინავე პოლიტიკური აზროვნების ღირსშესანიშნავი დოკუმენტია. სიმონ ჩიქოვანმა კარგად თქვა ერთხელ: „მხოლოდ ნ. ბარათაშვილმა გახადა ბედი ქართლისა მხატვრული აზროვნების მთავარ საგნად და „მერანის" ავტორმა არა მარტო ჩამღერა ქართველი ხალხის ახალი ისტორიული გზა, არამედ იგი პოეტური მსჯელობის საგნად აქცია და ეროვნულ საკითხებზე ფიქრი სამოციანი წლების პოეტებს უანდერძა". რა თქმა უნდა, „ეროვნულ საკითხებზე ფიქრი" ნ. ბარათაშვილმა მარტო პოეტებს კი არ უანდერძა, არამედ ყველა იმ ქართველ „სამოციანელს", რომელიც მეტ-ნაკლებად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან იყო დაკავშირებული.

როგორც ვიცით, ამ მოძრაობის ერთ-ერთი სათავე 1832 წლის შეთქმულებასა და ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში უნდა ვეძიოთ საერთოდ, კერძოდ და განსაკუთრებით კი, დიდი მგოსნის იმ დიდებულ ეპიკურ ქმნილებაში, რომელშიაც მე-19 საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეოლოგია პოულობს თავისებურ დასაყრდენს.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედება, როგორც დიდი მემკვიდრეობა, 60-იანი წლების ჩვენმა ტიტანებმა აიტაცეს და ახალი სიცოცხლე მიანიჭეს მას. ამ მხრივ განსაკუთრებული იყო როლი ჭაბუკი ილია ჭავჭავაძისა, რომელმაც, პ. ინგოროყვას შესანიშნავი გამოთქმით, „მეორედ გააცოცხლა ნიკო ბარათაშვილის სახელი", თვით იქცა უკვდავი მგოსნის „დიდ მოძმედ და შემცვლელად", „შემსრულებლად ნ. ბარათაშვილის მიერ დაწყებული დიდი საქმისა", ერის მესაიდუმლედ და მის „აშკარა თუ ფარულ ზრახვათა გამომსახველად".

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ნ. ბარათაშვილისა და ილიას შემოქმედებითს კავშირზე, პირველის შემოქმედებაზე მეორის მიმართ, ჩვენ ვგულისხმობთ გენიალური ყმაწვილის არა მარტო ისეთ ლექსებს, როგორიცაა, მაგ., „ფიქრნი მტკვრის პირას", „ჩემო ტაძარი", „სული ბოროტო" და სხვ. არამედ, უმთავრესად ისეთ ქმნილებებს, როგორიცაა პოემა „ბედი ქართლისა", ლექსები — „სუმბული და მწირი", „მერანი", „საფლავი მეფის ირაკლისა" და სხვ., რომელთა მეშვეობითაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა პოლიტიკური რადიკალიზმის სულით აღბეჭდილი ილიას მსოფლმხედველობა.

ამის შესაბამისად, ილიას მეთაურობით მომქმედი ახალგაზრდობა 60-იანი წლებისა, მთელი მონდომებით იბრძოდა ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის და იგი ედო საფუძვლად ერის დიდი წინამძღოლის მსოფლმხედველობასაც.

როგორც ბარათაშვილის მიერ „დაწყებული დიადი საქმის შემსრულებელი" და „ერის ზრახვათა გამომსახველი", ილია იყო ჩვენი ხალხის ცხოვრების დიდი მესაჭე, მისი თავისუფლების უშიშარი ბაირახტარი, სამშობლოს „დიდი დედა-ბოძი", ის, ვისაც ურყევად სწამდა მუდამ, რომ „დიდი არს ღვთის წინაშე იგი ცხოვრება, რომელიც ქვეყნის წვითა დამწვარი, ქვეყანასავე შეეწირება". ქართველი ხალხის გასული საუკუნის დიდ წინამძღოლთა შორის ყველაზე მეტად „ქვეყნის წვით დამწვარი" და „ქვეყანასვე შეწირული" იყვნენ ბარათაშვილი და ილია, ქვეყნის თავდადებულნი, რომელთა განუმეორებელი პიროვნებანი ერთი მიზნის განხორციელებისადმი მიმართულ და თავისებურად კონდენსირებულ იდეასა და ნებისყოფას წარმოადგენდნენ.

მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისშივე, იმ დღეებიდანვე, როცა ჯერ კიდევ „ცისკრის" ფურცლებზე დაბეჭდილ ილიას წერილებიდან დაჰბერა ცხოვრების განახლების პირველმა სიომ, დიდი მწერალი სათავეში ჩაუდგა ერის ყველა ცოცხალ ძალას, ყოველივე ახალს, აღმოცენებადს. როგორც ნ. ნიკოლაძე წერდა, იმ დროს, „რაც კი რამ იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესისა და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს", ადამიანს, ნ. ბარათაშვილის დიდი პატრიოტული იდეებით გამხნევებულს.

ისტორიამ მეტად მძიმე ტვირთი წამოჰკიდა ილიას, როგორც გასული საუკუნის 60-იანი წლების საქართველოს რევოლუციურ დემოკრატიული მოძრაობის ბელადსაც: ამ მხრივ მისი ბედი მოგვაგონებს ალ. გერცენისას, რომელიც ერთხელ წერდა, რომ „ჩვენ ვცხოვრობდით ყველა მიმართულებითო"; ხოლო როგორც „ყველა მიმართულებით მცხოვრები", ილია არასდროს არ ყოფილა მარტო ბელეტრისტი ან პოეტი. მოუსვენარი და დაუღალავი, იგი ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა უბანს, პრაქტიკულს თუ თეორიულს, უნდა გადასწვდომოდა ერთნაირად და თვალი მიედევნებინა ყველგან, სადაც ამას ცხოვრება, სინამდვილე მოითხოვდა.

გასული საუკუნის სამოციანი წლები ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ძირეული ცვლილებებისა და გარდატეხის ხანა იყო. იმ დროს აღმავლობით აზვირთდა ჩვენში დიდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და გაიფურჩქნა ის ახალი, მოწინავე პოლიტიკური, ფილოსოფიური, სოციოლოგიური, ლიტერატურული, ესთეტიკური და პედაგოგიკური მოძღვრებანი, რომელთა იდეური მესვეური მხოლოდ ისეთი უნივერსალურად მრავალფეროვანი ნიჭისა და შემოქმედების გიგანტი შეიძლებოდა ყოფილიყო, როგორიც ილია ჭავჭავაძეა.

ქვეყნის, ხალხის პოლიტიკური თავისუფლება, ბარათაშვილის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი მხარე იყო და დიდი წინაპრის ნაკვალევზე მოსიარულე ილიაც „საქართველოს მოამბეში" იმას წერდა, რომ „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილიაო".

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში დაბადებული ამ დიდი ამოცანისათვის იღვწოდა ილიას მთავარსარდლობით ქართველი ხალხი, ჩვენი ქვეყნის შიგნით არსებული ყოველგვარი უკუღმართობის, ცარიზმის იმ დიდმპყრობელური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის დაუძინებელი მტერი, რევოლუციურ რუსეთთან ერთად, მაშინდელი საქართველოც იყო. ილიასაც, ბარათაშვილის მსგავსად, სწამდა, რომ რუსეთის მოწინავე მოძრაობასთან ჩვენი ხალხის კავშირს შეეძლო მოეტანა საქართველოსათვის მისთვის ასე სანეტარო თავისუფლება. მხარში ედგნენ რა ჩერნიშევსკის რუსეთს, ქართველი სამოციანელნი, ილიას მეთაურობით, თავდაუზოგავად და უდიდესი გამბედაობით ებრძოდნენ ყველა იმ კატკოვებს, იანოვსკებს, მეშჩერსკებს, მუხრანსკებს, რომელთა „ბინძურ მოღვაწეობას", ილიასავე სიტყვებით, „სამჭედლურად ჰქონდა ყოვლად გახრწნილი, ამყაყებული გული ჩირქიან კაცთა", და თითქოს საკუთარი გულის სისხლში ამოვლებული კალმით წერდა მაშინ ჩვენი ერის წინამძღოლი ქართველთმოძულეთა მისამართით, რომ ისინი, მტრობის გრძნობით გონებადაკარგულნი, კადრულობენ იმას, რასაც სხვა შემთხვევაში „ბარბაროსობაც კი არ იკადრებდა და ითაკილებდაო".

დიდი გასაჭირი ადგა გასულ საუკუნეში ჩვენს ენას, ქართულ კულტურას, რომელსაც მუდამ დიდი თავგანწირულობით იცავდა ქართველი ხალხი გარეშე მტერთა თვალსხმისაგან და შინაურ ორგულთა მუხანათობისაგან.

ამ გასაჭირის გამო ამოიოხრა მაშინ ილიამ გულსდამწველად: „ჩვენს ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი... ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ლაღადებს. ის „სხვა რამეა" ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველი მოსალოდნელი ფათერაკისაგან. რომ ეს ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდან არ აგვცდენია — ყველასათვის ცხადზე ცხადია".

თქმა არ უნდა, ჩვენი ქვეყნის „დაცემული ვინაობის აღდგენა" იმ დროისათვის საგრძნობლად შელახული ქართული „ენის ვინაობის" აღდგენასაც გულისხმობდა თავისთავად. ამასთან იყო დაკავშირებული ქართველი ხალხის შეუნელებელი ბრძოლა ილიას მეთაურობით ჩვენი ენის უფლებრივი გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის, ეროვნული სკოლის აღდგენისათვის, ქართველი ახალგაზრდობის შეიარაღებისათვის ეპოქის მაღალი, პროგრესული, ჰუმანური ზნეობრივი იდეალებით, პატრიოტიზმისა და ხალხის მსახურების შეგნებით.

ჩვენი „ვინაობის დაცემისათვის" ხელისშეწყობა საქართველოში დიდმპყრობელი ძალის შემოსვლისთანავე დაიწყო და ამის საწინააღმდეგოდ გაიშალა გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ჩვენში ის საზოგადოებრივ-პატრიოტული მუშაობა, რომელსაც თავის დროზე ნ. ბარათაშვილი მეთაურობდა. ამას უნდა დახმარებოდა, კერძოდ, ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის შემსწავლელი წრეების საქმიანობა, რომელსაც საბოლოოდ ქართველი ხალხის ეროვნული გათვითცნობიერება უნდა უზრუნველეყო ნაწილობრივ მაინც. ეს კი თავის მხრივ გააძლიერებდა ხალხის იმ თვითმოქმედებას, რომელსაც ერის უეჭვო უიმედობისა და განწირულების ჟამსაც შეეძლო დახმარებოდა ხალხის მხსნელ ერთსულოვნებასა და დარაზმულობას. ამიტომ წერდა ილია: „რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ჟამიანობა, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზე", მაგრამ საჭირო შემთხვევაში ერთსულოვნების, დარაზმულობის, თვითმოქმედების შეგნებით „ყველას გაუძლით, ყველას დავუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი დედაენაო".

ეს ერთსულოვნება და დარაზმულობა გვიჩვენა ჩვენმა ხალხმა მწარე გლოვის იმ დღესაც, როდესაც ბარათაშვილის ნეშტი უცხო მხარიდან თბილისს ჩამოასვენეს. ქვეყნის ლიდერებმა და, პირველ რიგში, ილიამ დაუვიწყარი სიტყვებით მიმართეს მას. ილიამ შემთხვევით არ უწოდა მაშინ ამ შეხვედრას „დიდებული წამი, რომელმაც შეკრიბა წარმომადგენლობა მთელი საქართველოსი და მოგვცა მაგალითი იმისა, რომ ჩვენი ერი ამაღლებულა სულითა და გულითა". მართლაც დიდებული იყო იგი, თუ გავიხსენებთ, რომ გენიოსი მგოსნის კუბოს გარშემო ჩვენი ხალხის შემოკრება, მისი, ამ ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური ერთიანობის ნამდვილ დემონსტრაციას წარმოადგენდა.

ერთიანობის ამ მომენტს გაუსვა ხაზი აკაკი წერეთლის გამოსათხოვარ სიტყვამიც, რომელიც ქართული პოეზიის ქურუმმა დაიწყო ციტატით ლექსიდან „არ უკიჟინო, სატრფოო". აკაკი ამ გამოსვლაში სავსებით სწორად აღნიშნავდა, რომ დიდი წინაპრის მიერ ამ თავის ლექსში გამოთქმული ნატვრა წინასწარმეტყველებად იქცა და ნ. ბარათაშვილი „გახდა წინამორბედი ჩვენი ახალის ცხოვრების განთიადისა და იქ, შორს, სამშობლოდან უცხო მხარეს, მზესავით ჩაესვენა, რომ დღეს აქ უფრო მეტის ძლიერებით აღმობრწყინებულიყო". დასაწყისი კი იმ „ახალი ცხოვრების განთიადისა", რომლის წინამორბედად უკვდავი აკაკი ნ. ბარათაშვილს რაცხდა, გასული საუკუნის 60-იანი წლები იყო, რომელსაც ორგანულად უკავშირდებოდა განვითარების ახალ საფეხურზე ასული საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მგოსნის ნეშტის სამშობლოში ჩამოსვენებისას, იგი, ეს მოძრაობა, ხალხის საიმედოდ კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე იყო ასული და ამიტომო, ამბობდა აკაკი, „დღევანდელი ჩვენი მიგებება, გლოვა და ზარი კი არ არის, ლიტანიობაა და მზე-შინა. დიახ, არავის გეგონოსთ აქ ეს ნამდვილი სამარე და კუბო ბარათაშვილისა, იმისი კუბოა ყველა ქართველის გული და ისე ხშირი, როგორც თვით მგოსნის მთელ საქართველოსადმი სიყვარულით ავსებული გულისძგერა. ეს ადგილი (გულისხმობს დიდუბის სასაფლაოს — ვ. ზ.) არის მხოლოდ ნიშანი, სადაც ამიერიდან უნდა დაესვენოს ჩვენი მნათობი, რომ მთელ საქართველოს სხივი ჰფინოს... და ნიშნად ჩვენი სამარადისო ძმობისა და განუყრელი ერთობისა, დავადგეთ გვირგვინი ბარათაშვილის საფლავს, გვირგვინი შეკონილი პურის თავთავისაგან, საგულისხმოდ მისა, რომ მგოსანი იყო უპირველესი მთესველი გონებრივის ნაყოფისა, არა მარტო ერთი კუთხისა, — მთელი საქართველოსი". ასე იქადაგა დიდმა აკაკიმ იმ დიდსახსოვარ დღეს ქართველი ხალხის ერთიანობისა და მთლიანობის იდეა ნ. ბარათაშვილის სახელით, ბარათაშვილისა, რომელიც იყო ამ აზრის დიდი მთესველი და გამავრცობელი საქართველოს მიწა-წყალზე.

## ბარათაშვილის თანამედროვენი



მაიკო ორბელიანი
(1818—1849)

ნ. ბარათაშვილის ბიძაშვილის შვილი დედის მხრით. პოეტის უახლოესი მეგობარი, ულამაზესი და ჭკვიანი ქალი; მაიკოს ახლოს იცნობდა მ. ლერმონტოვი. „მაიკო ორბელიანი... თბილისის უნაზესი მარგალიტია", წერდა ლერმონტოვის ნათესავი მონგო სტოლიპინი.

ნ. ბარათაშვილმა მას უძღვნა თავისი ლექსების კრებული შემდეგი წარწერით:

„დაო მაიკო! ეს ლექსები იქონიე ჩემეულად. ვიცი, რომ წამკითხველი მათი მოიგონებ ბევრთა საამოთა დღეთა ყმაწვილობისათა და შეიბრალებ შენსა ყარიბსა ძმასა".



ლევან მელიქიშვილი
(1816—1892)

ნ. ბარათაშვილის ნათესავი, ახლო მეგობარი და სკოლის ამხანაგი. 1844 წლის ნოემბრიდან 1845 წლის მარტამდე ლევან მელიქიშვილი ნახჭევნის მაზრის უფროსი იყო, ხოლო ნ. ბარათაშვილი — მისი მოადგილე.

ნ. ბარათაშვილის წერილიდან მაიკო ორბელიანისადმი:

„...ახლა ჩვენ ვილას მოვაგონდებით, ვიღაც ორი ტლუ ბიჭი გდია ნახჭევანში. ახლა ცა ახალია, ქვეყანა ახალია და მოდაში ოთხმოცი წლის კაცები არიან".

## ბარათაშვილის თანამედროვენი



მანანა ორბელიანი
(1807—1870)

ნ. ბარათაშვილის ახლო ნათესავი და მეგობარი.

ნ. ბარათაშვილის წერილებიდან: „ძალიან მხიარულობა იყო. ცოტა წამოსვლის დროს მანანა ავად გახდა და იმან ცოტა დაგვიშალა მხიარულობა".

„ეს მაკვირვებს, არ ვიცი რა მიზეზია, რომ მანანა მოკითხვითაც არა მკითხულობს?"

მანანას ოჯახი იმ დროის კულტურული ცხოვრების კერა იყო. აქ მიეცა დასაწყისი ჟურნალ „ცისკრის" გამოცემას და ქართული თეატრის განახლებას.



ილია ორბელიანი
(1816—1853)

ნ. ბარათაშვილის ბიძა (დედის ძმა) და მოხუცებული სკოლის ამხანაგი, გამოჩენილი მხედარი, 1842 წელს ტყვედ ჩავარდა შამილს.

ნ. ბარათაშვილის წერილიდან: „შამილს ოცდაესთვის (ლაპარაკია ილიას მხლებლებზე, დაღესტნელ ჭაბუკებზე — რედ.) ილიას თვალწინ თავები დაუჭრევინებია... აი ილიკოს რა უთქვამს შამილისთვის: „შამილ! როგორ ეკადრება შენს სახელს მაგისთანა უწყალოება! თუ გინდა მაგით შეაშინო ვინმე, ვინ უნდა შეაშინო? ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ჭეშმარიტად, მეც სიკვდილი მირჩევნია შენს ხელში ყოფნასა!" მახლას! ილიკო უჩრდილოდ ყოფილა. ზოგჯერ ამისთანა შემთხვევაც კარგია კაცის სიცოცხლეში!"

ქართველი ხალხისათვის ნ. ბარათაშვილის შემოქმედების პოლიტიკურ მნიშვნელობაზე მიუთითებდა თავის გამოსამშვიდობებელ სიტყვაში გ. წერეთელიც. მისთვის დიდი მგოსანი იყო ერის დიდი წინასწარმეტყველიც, იგი ამბობდა, რომ „ეს არის ნიჭი, რომელიც პოეტებს შორის უმაღლესსა და უწარჩინებულესს დაჰყვება და მაშინ ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მოვლენილია თავის ქვეყნის საწინამძღვროდ“. ისეთი წინამძღვარი კი ერისა,— ვიტყოდით ჩვენ, — როგორიც ნ. ბარათაშვილი იყო, მისი, ამ ერის, გამაერთიანებელი, პატრიოტული იდეის გარშემო ხალხის დამრაზმველი უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც.

მაღალპატრიოტული იყო ის სიტყვაც, რომელიც გ. წერეთელმა მგოსნის მიცვალების 50 წლისთავის პანაშვიდზე წარმოთქვა და იქვე გამოთქვამდა რწმენას, რომ ქართველი ხალხი თავის გულში სამუდამოდ ატარებდა პატრიოტული გამარჯვების ჩაუქრობელ ცეცხლს. იმ დღეს მწერალი ამბობდა, რომ ნ. ბარათაშვილის სახელის გარშემო ქართველი ხალხის შემოკრების ფაქტი თავისთავად წარმოადგენდა ზეიმს იმ ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეისა, რომლის გამომხატველი იყო მებრძოლი სულით ანთებული „მერანიც“ და პოეტის ერთადერთი პოემაც.

სხვადასხვა დროს, თითქმის ყველა ქართველმა სამოციანელმა მიუძღვნა ნ. ბარათაშვილის ხსოვნას საკუთარი სიტყვა ან სტატია, მაგრამ მათ შორის ყველაზე ადრინდელი და სრული მაინც ნ. ნიკოლაძის ის კრიტიკული წერილი იყო, რომელიც 1876 წლის 22 იანვარს გამოაქვეყნა გაზეთმა „ტიფლისკი ვესტნიკმა“; როგორც ჩანს, სასტიკი საცენზურო პირობების გამო, ავტორმა თავისი წერილის პირველი ნაწილის დაბეჭდვა შეძლო მხოლოდ, მაგრამ კრიტიკოსს ამ პირობებშიც მოუხერხებია მგოსნის შემოქმედების ყოველმხრივი შეფასება, როგორც იდეური, ისე ფორმალურ-პოეტიკურიც.

თავის ამ წერილში ნ. ნიკოლაძე სწორად აღნიშნავს ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ნოვატორულ ბუნებას, მასში სამოქალაქო მოტივების გაძლიერებას, წინაალმდეგ, წმინდა აღმოსავლურ სატრფიალოსი, რომელიც გაბატონებული იყო ბარათაშვილამდელ ქართულ პოეზიაში. ნ. ნიკოლაძის აზრით, ნ. ბარათაშვილის შემოქმედება ახალ ერას ამკვიდრებდა ქართულ ლიტერატურაში და გასულ საუკუნეში თვით მგოსანი იყო ჩვენი პირველი ევროპელი პოეტი.

ნ. ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების დახასიათებისას, კრიტიკოსი დიდი პოეტის მთავარ ღირსებად იმას თვლიდა, რომ მან თავის უკიდეგანო პოეზიაში მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველო, მის მოწინავე ადამიანთა პოლიტიკური აზროვნება და მისწრაფებანი ასახა. ამიტომაც იყო სრულიად შეუმცდარი ჩვენი „სამოციანელი“, როდესაც მან პირველმა თქვა, რომ „დ. გურამიშვილის გამოკლებით ჩვენ არ ვიცნობთ არც ერთ სხვა ადრინდელ ქართველ პოეტს, რომელიც ისე მძაფრად შეხებოდეს სინამდვილის ცოცხალ, საარსებო საკითხებს, როგორც ეს ბარათაშვილმა შეძლო. ნ. ბარათაშვილი იყო პოეზიის ბუმბერაზი, რომელმაც თავის ქმნილებებში ასახა თავისი დროის ცხოვრების მოტივები და თავის საუკუნის საუკეთესო ადამიანთა ფიქრები და მისწრაფებანი“. და თითქოს იმის ნათელსაყოფად, თუ ვის გულისხმობდა საუკუნის „საუკეთესო ადამიანებად“, რომელთა „ფიქრი და მისწრაფებანი“ აამეტყველა უკვდავმა პოეტმა ასეთი გენიალური ოსტატობით თავის პოეზიაში, ნ. ნიკოლაძე იმავე წერილში ხაზგასმით და კატეგორიულად აცხადებდა: „ჩვენ საბუთებით შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ნ. ბარათაშვილი ახლო და ინტიმურ ურთიერთობაში იმყოფებოდა 30-იანი და 40-იანი წლების საუკეთესო ქართველ ადამიანებთან. იგი მეგობრობდა მთელ იმდროინდელ პლეადას, ხოლო ყველაზე ახლო კავშირი ჰქონდა გრ. ორბელიანთან, ლ. მელიქიშვილთან და სხვებთან“. ნ. ნიკოლაძის ამ სტრიქონებში ორი რამ იქცევს ყურადღებას. ერთია დ. გურამიშვილის დახასიათება, როგორც ნ. ბარათაშვილის ისეთი წინამორბედისა, რომელმაც პირველმა აქცია ჩვენი ხალხის ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული პერიოდი თავისი პოეზიის მთავარ მოტივად; მეორე კი — აშკარა და გაბედული სიმპათიები 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა და, აგრეთვე, მგოსან ნ. ბარათაშვილისადმი, რომელმაც პუბლიცისტის დახასიათებით თავის შემოქმედებაში ასახა, მისი „საუკუნის საუკეთესო ადამიანთა ფიქრები და მისწრაფებანი“, ე. ი. ეპოქის რესპუბლიკური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები.

ცნობილია, რომ ნ. ნიკოლაძე ამ იდეებისადმი მხოლოდ სიმპათიური დამოკიდებულებით არასოდეს დაკმაყოფილებულა, და ახალ ისტორიულ ვითარებაში წამოჭრილ ახალ სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით იგი თვით გახდა მათი აქტიური მქადაგებელი სიტყვით თუ საქმით.

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ ნ. ბარათაშვილმა „ეროვნულ საკითხებზე ფიქრი სამოციანელებს უანდერძაო“. მგოსნის ამ ანდერძს პირველი ზნეობრივი ხარკი ნ. ნიკოლაძემ ჯერ კიდევ მოწაფეობისას გადაუხადა; ქუთაისის გიმნაზიის უკანასკნელი კლასის მოსწავლე იყო იგი, როდესაც „ცისკრის“ 1860 წლის ოქტომბრის ნომერში გამოაქვეყნა წერილი სათაურით „ქუთაისის ჰორიკანობა“. ლიტერატურული ბრწყინვალებით აღბეჭდილ ამ სტატიაში, თექვსმეტი წლის ნ. ნიკოლაძე გაბედულად, გონიერად და დასაბუთებულად ილაშქრებდა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკისა და მისი „შინაურ ხელისშემწყობ“ რენეგატთა წინაალმდეგ, რომლებიც ახალგაზრდა პუბლიცისტის დახასიათებით ერთხმად გაიძახოდნენ: „რა საჭიროა ქართული ენა, ჩინს მომცემენ, თუ ჯამაგირს მომიმატებენ ქართული ენის ცოდნისათვისო?“

ეს სტატია ერთგვარი კონტრიერიში იყო იმ თავდასხმაზე, რომელსაც თავის დროზე ცარიზმი ახდენდა ქართულ ენაზე და, რა თქმა უნდა, ეროვნულად გამამხნევებელი და პოლიტიკურად გამომაფხიზლებელი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ჩვენი ხალხისათვის.

როგორც ნიკოლაძე ამბობს, სამოციანი წლების გარიჟრაჟზე ჩამოყალიბდა მისი მსოფლმხედველობა და, ჩვენი აზრით, ამაში გარკვეული წილი უდევს ნ. ბარათაშვილის არა მარტო პოემას და „მერანს“, არამედ, როგორც ადრეც ვთქვით, პოეტის ისეთ ლექსს, როგორიცაა „საფლავი მეფის ირაკლისა“. უნდა ვიფიქროთ, რომ ნაწილობრივ ამ გზით უნდა შემუშავებულიყო ნ. ნიკოლაძის აზრი საქართველოს კავშირის საჭიროებაზე პროგრესულ რუსეთთან, თუმც ქართველი სამოციანელი ამ კავშირს განიხილავდა სულ სხვა სოციალურ ასპექტში, ვიდრე მისგან განსხვავებული სოციალური იდეალების მომხრე პოეტი.

ცნობილია, რომ მე-19 საუკუნესთან ერთად გაჩნდა „ახალი ქართლი“, მომავლისაკენ მიმართული ახალი გზებით, რომლის გამო ილია ამბობდა:

მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი,
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი.

„წარსულ დროებზე დარდის მოკვლის“ სურვილით წერდა ნ. ნიკოლაძე ერთგვარი ქარაგმით: „არასოდეს არ ვიფიქრებდი და არ ვიტყოდი, ნეტავ იმ დროს მოვესწრო, რომ ჩვენს ქვეყანას ფარნავაზ მეფის დროინდელი წესები მიეღო მეთქი“.

სხვადასხვა დროს დაიწერა ილიასა და ნ. ნიკოლაძის ეს სტრიქონები, მაგრამ მათში ერთნაირადაა გამჟღავნებული ერთი და იგივე ეპოქის იდეური მისწრაფებანი.

მომავლისაკენ გონებამიპყრობილ ქართველ სამოციანელთ და მათ შორის ნ. ნიკოლაძეს იმთავითვე სწამდათ, რომ ამ „მყობადის“ მშობელი, ახალი „ძალა იმ მომავალი განვითარებისა“, რომლისთვისაც, ნ. ნიკოლაძის აზრით, „ადამიანები უნდა იყენებდნენ არქეოლოგიასაც კი“, უნდა ყოფილიყო ხალხი ანუ გლეხობა, როგორც ამას ამბობდნენ მაშინ. ეს კი ნიშნავდა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაკავშირებას ეპოქის მიერ წამოყენებული სოციალური თავისუფლების იმ მოწინავე პრობლემასთან, რომლის გადაჭრის გარეშე გადაუჭრელი აღმოჩნდებოდა ერის, ხალხის სრულიად განთავისუფლების საკითხიც.

აი ეს ეწერა ილია ჭავჭავაძის იმ „პატიოსან დროშაზე“, და „იმთავითვე იგი სცნო უყოყმანოდ“ ახალგაზრდა ნ. ნიკოლაძემ, რომელმაც, ზემოთქმულის თანახმად, თავიდანვე „მამულის, საზოგადოების სიკეთე და ღირსება“ გაიხადა მოღვაწეობის საბრძოლო მიზნად.

ეს ამოცანა იდგა გასული საუკუნის ჩვენი ახალგაზრდობის წინაშე რუსეთში მისი ყოფნის დროსაც. როგორც ნ. ნიკოლაძე ამბობდა, „მაშინდელი ჩვენი (ე. ი. სტუდენტების — ვ. ზ.)) მუსაიფის ან მსჯელობის საგანი, მაშინდელი ჩვენი შრომის მიზანი ის იყო, თუ რა მოვალეობა გვაწევს კისერზე ხალხისადმი, ან რა სახით უფრო უმჯობესია მომზადება ამ მოვალეობის ასასრულებლად... ჩვენს ახალგაზრდობას აგონდებოდა, რომ ერთი თვის სავალზე, მთებს გადაღმა, სამშობლოში ცხოვრობს მისი ხალხი, რომ ამ ხალხს ცხოვრება უჭირს მის სამშობლოში, მის საკუთარ მიმართულებას ბევრი მტერი და მუხანათი ჰყავს, რომ ამ მტერს და მუხანათს მან ოდესმე ანგარიში უნდა გაუსწოროს“.

იგივე აზრი გასდევს ოცდაერთი წლის ნ. ნიკოლაძის მიერ „კოლოკოლში“ გამოქვეყნებულ სტატიას „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“, რომელშიაც ახალგაზრდა ავტორს ხაზგასმული აქვს ჩვენი ხალხის მიერ ეროვნული და სოციალური თავისუფლების მოსაპოვებლად ბრძოლის შემდგომი გაძლიერების აუცილებლობა. საქართველოს, ქართველი ხალხის ცხოვრებით შთაგონებული ნ. ნიკოლაძე ამ სტატიაში აღნიშნავდა, რომ ჩვენი ხალხი დღითი დღე უფრო იმსჭვალება თავისუფლების იდეით, იმ იდეით, რომლის შესახებ პირველი სიტყვა მე-19 საუკუნეში გენიალურმა ნ. ბარათაშვილმა თქვა, ხოლო განვითარების ახალ საფეხურზე იგი ქართველმა სამოციანელებმა აიყვანეს.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ფოტო
ოთარ თურქიანი

ხალხი არ ივიწყებს თავის სათაყვანებელ შვილებს, ცდილობს უკვდავყოს ისინი, მუდამ თვალწინ ედგას მათი სახე, მუდამ ესმოდეს მათი სახელი.

ამ ხიდს თბილისელებმა ბარათაშვილის სახელი უწოდეს; ეს თანამედროვე უნიკალური ნაგებობა, რომლის მსგავსი საქართველოში არ მოიპოვება, თითქოს აცოცხლებს და ჩვენს გვერდით აყენებს საყვარელ პოეტს, უდროოდ რომ დაიფერფლა თავისი ხალხის ნათელ მომავალზე ოცნებით.

თბილისი იზრდება, მშვენდება და ლამაზდება, და ეს ფართო ხიდიც საიმედოდ აკავშირებს მისი გულის ორ მფეთქავ ნაწილს, რომლებსაც არასოდეს დაცხრომა და დაქანცვა არ უწერიათ.

# ბარათაშვილის ხიდი





# გიმნაზიის ჟურნალი ყვავილი

ნიკოლოზ ბარათაშვილმა ჯერ ისევ გიმნაზიის კედლებში ყოფნის დროს მიიქცია საერთო ყურადღება: მასწავლებლებიც და ახლო მეგობრებიც კარგად ამჩნევდნენ, რომ ეს იყო არაჩვეულებრივი ნიჭის ჭაბუკი, რომელიც ბუნებას უხვად დაეჯილდოვებინა ყოველგვარი სიკეთით; მოუსვენარი და დაუცხრომელი ტატო უკვე ამ წლებში სათავეში უდგება არაერთ საზოგადოებრივ წამოწყებას, რომლებიც მიმართული იყო ქართული კულტურის უფრო ღრმად შესწავლისა და წინ წაწევისაკენ. ტატო ბევრს კითხულობდა, ამასთან კითხულობდა დიდი გატაცებით, ის ღრმა ინტერესით ადევნებდა თვალს, თუ რა ხდებოდა იმ დროის საზოგადოებრივ ყოფასა და ლიტერატურულ ცხოვრებაში როგორც ჩვენში, ისე რუსეთსა და ევროპაში.

გასული საუკუნის 20-იან და განსაკუთრებით 30-იან წლებში მთელ რუსეთში გავრცელებული იყო ლიტერატურული სალონები. საქართველოში ლიტერატურული სალონი პირველად ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლში შეიქმნა, შემდეგ ახეთი სალონი მანანა ორბელიანმაც მოაწყო. ქართველებს გარდა, აქ თავს იყრიდნენ რუსი დეკაბრისტები და პოლონეთის 1830 წლის აჯანყების მონაწილენი, რომლებიც კავკასიაში იყვნენ გადმოსახლებულნი სასჯელის მოსახდელად; მათ თან ჩამოიტანეს თავიანთი მოწინავე იდეები, თავიანთი სიძულვილი თვითმპყრობელობის დამპალი რეჟიმისადმი. თავისთავად ცხადია, ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა ამ იდეების მიმართ გულგრილი ვერ დარჩებოდა. მთავარი კი ის არის, რომ თვითონ გიმნაზიაშივე ახალგაზრდებს ჰყავდათ შესანიშნავი მასწავლებელი, მოწინავე მოაზროვნე და ფილოსოფოსი სოლომონ დოდაშვილი, რომელმაც მთელი მათი თაობის სულიერ ფორმირებაზე უძლიერესი ზეგავლენა მოახდინა. დოდაშვილი სულ იმის ცდაში იყო, თავის მოწაფეებში დამოუკიდებელი აზროვნების უნარი განევითარებინა.

მაგრამ დოდაშვილი მალე დააპატიმრეს და გადაასახლეს. მის მიერ დათესილმა კეთილმა თესლმა მაინც გამოიღო თავისი ნაყოფი, მოწაფეთა შორის პროტესტანტული სულისკვეთება გაალვიძა.

გრიგოლ გურიელი, რომელიც ტატოსთან ერთად სწავლობდა გიმნაზიაში, თავის მოგონებაში აღნიშნავს: დოდაშვილის დაპატიმრებისა და გადასახლების შემდეგ, ე. ი. 1833 წელს, კლასში ვრცელდებოდა ტატოს ეპიგრამები, რომლებმაც დიდად შეაშფოთეს პოლიციის მესვეურნი.

ერთხელ ტატოს აცნობეს, რომ პოლიცია მისი სახლის გაჩხრეკას აპირებდა. ამ ამბის გაგებისთანავე ტატო სწრაფად გაიქცა შინ და, იმავე გრ. გურიელის დახმარებით, ყველა „საეჭვო" ლექსი ანთებულ ბუხარში შეყარა. ის იყო პოლიციაც მოვიდა, და ყველაფერი ყირაზე დააყენეს. როცა ვერაფერი იპოვნეს, თითონ უჩვენებდნენ ბარათაშვილს სხვადასხვა ლექსებს, თან ჰკითხავდნენ — შენი დაწერილია თუ არაო? ბარათაშვილი მტკიცე უარზე იდგა.

ჩხრეკა გათავდა და ბარათაშვილს გამოუცხადეს — დაპატიმრებული ხარ, როგორც სოლომონ დოდაშვილის მეგობარიო; ჭაბუკი პოლიციაში წაიყვანეს. დაკითხვის დროს ბარათაშვილმა მიუგო: მე სოლომონ დოდაშვილის მეგობარი კი არა, მისი მოწაფე ვიყავი, ის მაკითხებდა მხოლოდ სახელმძღვანელო წიგნებს, ამას სხვებიც დაადასტურებენო.

ტატოს საქმის გამო პოლიციამ სკოლაშიც დაიწყო გამოკითხვა. ორი კვირის შემდეგ, როცა ხელმოსაჭიდი ვერაფერი იპოვეს, ნ. ბარათაშვილი გაათავისუფლეს.

მაგრამ ტატოსა და მის ამხანაგებს აღარ აკმაყოფილებდა ეპიგრამები და სახუმარო ლექსები; ისინი უფრო ფართო გეგმებს ისახავდნენ მომავალი ლიტერატურული მუშაობისათვის.

1833-34 წლებში გიმნაზიის მოსწავლეებმა შეადგინეს ხელნაწერი ანთოლოგია. მასში, ცნობილი პოეტების ნაწარმოებთა გვერდით, ჩვენ ვხედავთ ჭაბუკი ტატოს და მისი მეგობრის, მიხეილ თუმანიშვილის, ადრინდელ ლექსებს. ამ ხელნაწერი ანთოლოგიის გამოსვლის შემდეგ დაიბადა აზრი, გამოეცათ პერიოდული ხელნაწერი ჟურნალი. და აი, შეუდგნენ მუშაობას. შეურჩიეს სახელი — „თბილისის გიმნაზიის ყვავილი". და 1835 წლის მაისში პირველი ნომერი უკვე მზად იყო. ლიტერატურის მოყვარულთა წრე, რომელმაც წამოიწყო „ყვავილის" გამოცემა, უფროსი კლასების ყველა ეროვნების გიმნაზიელებისაგან შედგებოდა; თვით ჟურნალი რუსულ ენაზე გამოდიოდა. არც ამ წრეს და არც ამ ჟურნალს გიმნაზიის ადმინისტრაცია თანაგრძნობით არ შეხვედრია. ის გარემოება, რომ „ყვავილში" გამოჩნდა 1832 წლის შეთქმულების იდეური ბელადისა და გიმნაზიის ყოფილი მასწავლებლის, უკვე გადასახლებული სოლომონ დოდაშვილის წერილები, იმას მოწმობს, რომ წრის წევრები დაინტერესებული იყვნენ არა მარტო „სიტყვიერებით". ჟურნალის მესვეურებმა რუსულ ენაზე თარგმნეს და გამოაქვეყნეს დოდაშვილის ორი წერილი: „ერეკლე მეორის მეფობა" და „ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა". ეს სტატიები ადრე დაბეჭდილი იყო „თბილისის უწყების" ქართული ლიტერატურის განყოფილებაში, რომელიც თვით დოდაშვილის რედაქციით გამოდიოდა.

თავისთავად დოდაშვილის წერილის თარგმნა და ჟურნალში მისი მოთავსება წრის წევრების სულიერი განწყობილების მაჩვენებელი იყო. მიუხედავად ამისა, გიმნაზიის ადმინისტრაცია, თბილისის სამხედრო გუბერნატორთან შეთანხმებით, თვალებს ხუჭავდა, რომ გიმნაზიელები უფრო მეტად არ გაელიზიანებინა.

გამოურკვეველია, ჰქონდათ თუ არა ჟურნალის მესვეურებს გიმნაზიის ადმინისტრაციის სანქცია პირველი ნომრისათვის, მეორე ნომრიდან კი ჟურნალის ყდაზე ვხედავთ ნებართვას: „წერა ნებადართულია, ოღონდ იმ პირობით, რომ „ყვავილში" გამოქვეყნებამდე, ყოველი ნაწარმოები განსახილველად უნდა წარედგინოს თბილისის გიმნაზიის ბ-ნ ინსპექტორს".

ამ ჟურნალის ირგვლივ გაერთიანებულნი იყვნენ: ნ. ბარათაშვილი, მ. თუმანიშვილი, ი. ანდრონიკაშვილი, ე. ვილემსი, ა. მონასტირსკი, მ. ჭყონია და სხვები. პირველ ნომერში ახალგაზრდა ლიტერატორები აუწყებდნენ მკითხველს, რომ „ამ ჟურნალში მონაწილეობას ღებულობს თბილისის გიმნაზიის თითქმის ყველა ის მოწაფე, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი ნიჭითა და ნაწარმოებებით, ლექსად თუ პროზად. ჟურნალს საგნად აქვს ერთი ზოგადი სარგებლობა: განავითაროს მოწაფის გონებრივი ნიჭი და ამით მიაღწიოს მასწავლებლის მიერ დანიშნულ მიზანს".

„ყვავილმა" მოკლე ხანს — მხოლოდ ათი თვე იარსება. ჟურნალის პირველი ნომერი აერთიანებდა 1835 წლის მაის-ივნისს, უკანასკნელი № 5 კი — 1836 წლის იანვარ-თებერვალს.

ჟურნალის მასალათა შორის თვალსაჩინო ადგილი ეჭირა თუმანიშვილის, ვარლამოვისა და ვილემსის ლექსებს. ნ. ბარათაშვილს „ყვავილისათვის" მარტო პროზაული ნაწარმოებები გადაუცია. თემების ამორჩევა გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდად იყო დაინტერესებული ტატო ისტორიის საკითხებით. ეს ინტერესი მას ოჯახში აღეძრა, აქ კი, კეთილშობილთა სასწავლებელსა და გიმნაზიაში მისი გონებრივი ჰორიზონტი უფრო გაფართოვდა, იგი წერს მსოფლიო ისტორიის საკითხებზეც. საგულისხმოა, რომ მას აურჩევია თემა — „პაპიზმის ამაღლებისა და მისი დაცემის საკითხები". ჟურნალის ის ნომერი, სადაც ბარათაშვილის ეს წერილი იყო მოთავსებული, არ გადარჩენილა, მაგრამ განა ნათელი არ არის, ევროპის ისტორიის რაოდენ დიდად საკვანძო საკითხისათვის მოუკიდია ხელი ახალგაზრდა პოეტს! გარდა ამ წერილისა, ბარათაშვილმა ჟურნალს გადასცა „ვისრამიანის" ერთი თავის თარგმანი და „წერილი სოფლიდან".

„ყვავილის" ფურცლებზე გამოქვეყნებული ნაწარმოებები ნათლად გამოხატავენ სულიერ განწყობილებას იმ მოწინავე ახალგაზრდობისას, რომელიც მთელი არსებით პროტესტანტულად იყო განწყობილი თვითმპყრობელური რეჟიმისადმი, და აი, ახალგაზრდები ეძებენ ბრძოლის გზას. ეს ხელნაწერი ჟურნალი, მართლაც, ყვავილივით იყო, რომელსაც შესანიშნავი ნაყოფი უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც. მომავალმა დიდმა პოეტმა, გენიალურმა ყრმამ პირველად აქ სცადა თავისი კალმის ძალა.

ჟურნალის მეხუთე ნომერში მისმა მესვეურებმა გამოაცხადეს, რომ „წერილების უქონლობის გამო" ჟურნალი ამიერიდან გამოვა სამ თვეში ერთხელ. ნამდვილად კი „ყვავილის" მე-5 ნომერი უკანასკნელი იყო. ბარათაშვილსა და ჟურნალის ზოგიერთ სხვა თანამშრომელს გიმნაზიის კურსი 1835 წელს უკვე დამთავრებული ჰქონდათ; ახლოვდებოდა გამოსაშვები გამოცდები; უნდა შეეჯამებინათ განვლილი კურსი, და გასაგებია, რომ ჟურნალის გამოსაცემად დრო აღარა რჩებოდათ.

ტატოს სკოლის ამხანაგი ისარლიშვილი იგონებს, რომ ბარათაშვილს ბევრი ლექსი წაუკითხავს სკოლაში მეგობრებისათვის. გიმნაზიაში ყოფნის დროსვეა დაწერილი მისი შესანიშნავი ლექსი „ბულბული ვარდზე". მოწაფეობის წლებშივე დაუწერია მას პოემა „ივერიელნი", რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია.

ასე გამოვიდა ბარათაშვილი საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე; იგი თავიდანვე გრძნობდა თავის მაღალ მოწოდებას. „ახლა მე იმას ვამბობ, — წერდა იგი გრ. ორბელიანს, — რომ შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესო ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს და დავდგე გაშლილ ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა!"

ასპარეზი მაშინ არ იყო მისთვის, პოეტის სული ეხუთებოდა იმ დროის მძიმე ატმოსფეროში. მაგრამ ის მაინც არ დაემორჩილა უკუღმართ ბედს და შეძლო გაეკაფა გზა მომავალ თაობათათვის.

ალ. ხიბუა



ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთაველი

ფრაგმენტი ლადო გუდიაშვილის სურათიდან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოეტის დიდი პაპა

ნ. ბარათაშვილის დედა — ეფემია ორბელიანი იყო ერეკლე მეფის შვილიშვილის შვილი.

მოვიდრეკ მუხლთა შენს საფლავს წინ, გმირო მხცოვანო,
და ცრემლთ დავანთხევ შენს სახელზე, მეფევ ხმოვანო!
ახ, რად არ ძალუძს განცოცხლება წმიდას აჩრდილსა,
რომ გარდმოხედო ახალ ქართლსა. შენს პირმშოს შვილსა!

(ლექსიდან „საფლავი მეფის ირაკლისა").

თბილისი. პირველი გიმნაზიის შენობა. აქ სწავლობდა ნიკოლოზ ბარათაშვილი







ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულთათქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიული წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა“

ილია ჭავჭავაძე

„შინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი“ ეს ინატრა ახალგაზრდა მგოსანმა ამ ნახევარი საუკუნის წინათ და ეს ნატვრა წინასწარმეტყველებად გადაექცა: გახდა წინამორბედად ჩვენი ახალი ცხოვრების განთიადისა“

აკაკი წერეთელი



შენი მერანი კვლავაც რბის,
მისი ნავალიც შთენილა;
უმადლოდ არ დაკარგულა,
თუ ოდეს ცრემლი დენილა.
მიილე ჩემი სალამიც,
გამოგზავნილი მთიდამა.
ჩვენი არაგვიც მუხლს გიყრის,
გადმომქუხარი კლდიდამა.

ვაჟა-ფშაველა

(ლექსიდან „ნ. ბარათაშვილის ნეშტს“)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქართული ვარდი იაპონიაში

ფოტო ნ. კოჭლაშვილისა



საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ქღენტი და იპეი ფუკურო იაპონელ და ქართველ მთამსვლელთა კლუბის შენობასთან. ქ. ტოკიოში

— ქართულმა ვარდმა გაიხარა იაპონიის მიწაზე და მისმა სურნელებამ ჩემს პატარა სახლს სიხარული შემატა. შევცქერი მას და თავი კვლავ თქვენთან, ჩემს საყვარელ საქართველოში მგონია, — აღტაცებით იწერება იპეი ფუკურო.

თუ აქამდე მრავალ მილიონობით იაპონელმა თითქმის არაფერი იცოდა საქართველოზე, დღეს ისინი თავიანთ ენაზე კითხულობენ არა მარტო „ვეფხისტყაოსანს", არამედ ქართულ ზღაპრებსა და ლეგენდებს, მე-19 საუკუნის ქართული კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებს, უამრავ სტატიებს და ნარკვევებს ჩვენს რესპუბლიკაზე, ხოლო რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით ისმენენ ქართულ მუსიკას და ყოველივე ამისათვის ჩვენ, პირველ რიგში უნდა ვუმადლოდეთ მთარგმნელსა და მწერალს იპეი ფუკუროს.

რუსთაველის საიუბილეო დღეებში, როდესაც ჩვენს ხალხს დიდი ზეიმი და ლხენა ჰქონდა, იპეი ფუკუროც ჩვენთან იყო და იზიარებდა ჩვენს სიხარულს.

იპეი ფუკურო, ეს თავმდაბალი და უმწიკვლო კაცი, ბუნების დიდი მოტრფიალეა, განსაკუთრებით კი კავკასიონის ჭაღარა მწვერვალებისა (ეს მან დააარსა იაპონიაში „იაპონელ და ქართველ მთამსვლელთა მეგობრობის კლუბი"). საქართველოში ყოფნისას ის აღტაცებული შეჰხაროდა ჩვენს მთებსა და ჭალებს. ხოლო მისი მეუღლე ქალბატონი ჰანაკო ბავშვივით ეალერსებოდა ყვავილებს.

უცხოელი, თუ მას ის ქვეყანა უყვარს, სადაც მოგზაურობს, ყოველთვის იძენს რაიმე სუვენირს იმ ქვეყნის სახსოვრად. და აი ფუკუროსაც უნდოდა წაეღო საქართველოდან ისეთი რამ, რაც მას ყოველდღიურად ჩვენს ქვეყანას გაახსენებდა.

მან ერთადერთი რამ გვთხოვა და ისიც დიდი მორიდებითა და მოწიწებით — ქართული ვარდის ბუჩქი.

აი, სწორედ საქართველოდან წაღებული ეს ორი ვარდის ბუჩქია, რომელმაც ფუკუროს ოჯახში, იაპონიაში გაიხარა და რომელსაც ნაზად თავს ევლება ჩვენი ხალხის გულწრფელი მოყვასი და მეგობარი იპეი ფუკურო.

ნოდარ კოჭლაშვილი



# პოეტის სიყვარული

პოეტის პირველ სიყვარულზე მოგვითხრობს მისივე ლექსი „ღამე ყაბახზე“.

როგორი სიცოცხლით არის აქ სავსე თბილისური მაისის ღამე; ლექსში გადმოცემულია მთელი მისი ეშხი და მომხიბვლელობა. მიდამო გაბრუებულია ყვავილების ნაზი სურნელით, შრიალებენ ჭადრები და მიჯნურივით მოოხრავს მტკვარი, მთვარიანი ღამეა და მთელი თბილისი ყაბახზეა გამოფენილი; ბარათაშვილი ცხრამეტი წლის ჭაბუკია მაშინ და ფიქრით მოცული დადის ყაბახზე. უეცრად ქალთა შორის ზმანებასავით გამოჩნდება თეთრკაბიანი ქალწული, პოეტი მოჰკრავს თუ არა თვალს ნაცნობ სახეს, უმალ მისკენ გაუწევს გული. ლექსშივე გვეუბნება, რომ ეს ქალი ადრე მარტო ერთხელ უნახავს და მას აქეთ ალარსად შეხვედრია. ჩანს, არც აქ ელოდა, ქალიშვილი კი დგას კრძალვით; უცებ ისიც დაინახავს ჭაბუკ პოეტს და შორიდან გაუცინებს. გამხნევებული ჭაბუკი გულისძგერით უახლოვდება და ეუბნება: „ნეტავ მე, რომ ამიხდა ეს სანატრელი, მხიარულად გნახეთო“. „გმადლობთ, — უპასუხებს ქალი, — რომ თქვენ მაინც გახსოვართ, ახლა მოდაა, რომ ვინც ვის იცნობს, ჩქარა ივიწყებს“. „თქვენს ხსოვნას. — პასუხობს ჭაბუკი, — ვერც მოდა დამშლის და ვერც დრონი წაშლიან“.

და ლექსში შემდეგ ვკითხულობთ:

**ამა სიტყვაზე ვარდი ლაწვზე მყის აეფურცლა,**
**ამ დროს ნიავმაც თეთრი კაბა მიმოუქროლა**
**და ბუდეშური მის ფეფები ლამაზად მოჩნდა,**
**რომელი სიამით ცნობა ჩემი წარიღეს თვისდა,**

და ამ დროს ვიღაცამ განზე გაიხმო სანატრელი ახული. ასე თავდება ეს ლექსი.

აქ ნახულ ქალწულს პოეტი „სატრფოსა“ და „თვალის ნათელს“ უწოდებს. და ეს რომ ფანტაზია არ არის და პოეტი არა ოცნებით წარმოსახულ, არამედ სავსებით რეალურ ქალზე ლაპარაკობს, ამას ადასტურებს პოეტის პირადი წერილი გრ. ორბელიანისადმი, რომელშიაც მაისის იგივე ღამეა აღწერილი. პოეტი სწერს თავის ბიძას:

„ამ წარსულს ზაფხულში, ერთ მშვენიერ მთვარიან ღამეში, ყაბახზე დავიარებოდი, სადაც მისმან მშვენებამ, სატრფოთ მარაქამ, მათმა უწინდელთ კიდევ დარდიმანდობამ სრულიად განატკბეს სახედველი, აღმიტაცეს ფიქრნი, წამიღეს გონება... მაშინვე განვიზრახე, რომ ამ ღამეს აღვწერ და გავუგზავნი ძია გიიგოლს მეთქი, და კიდეც აღვასრულე; მით უფრო ჩქარად, რომ ერთმა საგანმა პირველ დამასო გულს კაეშანი“.

როგორც ვხედავთ, ჭაბუკმა პოეტმა არც ლექსში და არც პირად წერილში არ გაამხილა სატრფოს სახელი და გვარი.

ჩვენი ლიტერატურის მკვლევარებს იმ დროის ადამიანთა მოგონებებსა და ბარათაშვილის ნაცნობთა წერილებში გაფანტული ცნობების საფუძველზე ნავარაუდევი აქვთ, რომ ეს ქალი ნინო ორბელიანი იყო, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენი ცოდნა ამას არ სცილდება.

ვინ იყო ეს ნინო ორბელიანი, ვისი შვილი, ვისი ნათესავი, სადაურია, თუ თბილისელია, მაშინ რატომ გაძნელებულა პოეტთან მისი შეხვედრა, თუ არა, მაშ სადაურია?

და საერთოდ რა მოხდა ახალგაზრდა ქალის ამ მთვარიან ღამეში წუთიერი, სიზმარივით მოლანდების და უცებ გაქრობის შემდეგ?

ამ კითხვებზე პასუხი ჯერჯერობით არა ჩანს.

* * *

ასევე იდუმალებით არის მოცული ბარათაშვილის სიყვარული ახალგაზრდა ფრანგი ქალიშვილის — დელფინა ლაბიელისადმი.

არ ვიცი, სწორი იქნება თუ არა ეს, მაგრამ ბარათაშვილს თითქოს უხდება კიდეც, მის სიყვარულს ასე რომანტიკული ბურუსი რომ ახლავს; ისეთი გრძნობა ებადება კაცს, რომ თითქოს ეს ასე უნდა იყოს.

წარსულის დიდი ადამიანების ბიოგრაფიაში ყოველივე ამას მათი წერილები მოჰფენენ ხოლმე შუქს. მაგრამ ბარათაშვილის პირად წერილებში ყველაფერი ისე ოდნავ მინიშნებით არის ნათქვამი, რომ მას თვით მისი თანამედროვენი, თვით უახლოესი მეგობრები ვერ იგებენ. ეს აიხსნება იმ ლამაზი ვაჟკაცური თავდაჭერილობით და შინაგანი სიამაყით, იმ კდემით და სულიერი სიფაქიზით, რომელიც ნებას არ აძლევს ადამიანს თვით უახლოეს მეგობარსაც კი გაუმხილოს ყველა საიდუმლო თავისი გულისა.

ცხადია, ასეთ წუთებში პოეტი ვერ იფიქრებდა თავის მომავალ ბიოგრაფებსა და კომენტატორებზე, რომელთათვისაც თავსატეხ გამოცანად დარჩებოდა ამ სიყვარულის ისტორია, მაგრამ საქმე ისაა, რომ თუმცა სიყვარულსა მალვა უნდა, და ეს პოეტმა ძალიან კარგად იცის, მაინც ისე სავსეა მისი გული სიხარულითა და აღტაცებით დელფინას მშვენიერების გამო, რომ ეს სიყვარული ვეღარ დატეულა გულში, პოეტი წერს ლექსს, რომელსაც დელფინას უგზავნის.

ამას გარდა, ამავე ლექსს უგზავნის თავის უახლოეს მეგობარს და სკოლის ამხანაგს, მიხეილ თუმანიშვილს, რომელიც იმჟამად კახეთში იმყოფებოდა.

ბარათაშვილის ეს ლექსი დაიკარგა, და მასზე ერთგვარი წარმოდგენა შეიძლება მოგვცეს მხოლოდ თუმანიშვილის საპასუხო ლექსმა; ამ პასუხიდან ნათელი ხდება, რომ თვით უახლოეს მეგობარსაც ვერ აუხსნია ლექსის საიდუმლოებანი. იგი ეკითხება პოეტს თუ ვინ არის უცნობი ასტრა, ვისადმია მიძღვნილი ლექსი?

და აი ბარათაშვილის პასუხიც:

„შენ ვერ გაიგებ, ვინაა ეს უცნობი ასტრა. ეს ავტორის საიდუმლოებაა. იმას არც შენთვის უწერია, არც ქვეყნისათვის, მხოლოდ იმისთვის, ერთისთვის უწერია; იმას ესმის მისი და ავტორი ამით კმაყოფილია. მეტი რაღა უნდა მას? საჭირო არაა, შენ გაიგე თუ არა მისი. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ საგანი ლექსებს ამშვენებს და თუ გინდა იცოდე მნიშვნელობა სიტყვისა „ასტრა“, ეს სულ ადვილია: ესაა ფრანგული astre, რაც ჩვენებურად, ძმაო, თავყანა, ნიშნავს „მთიებს“. ასე, ჩემო ბატონო!

ერთ ახალ ამბავს გეტყვი, თუ არ გაჯავრდები. მე ამ საღამოს მივდივარ წყნეთში. რისთვის? იმიტომ, რომ ის იქ არის. დედამისმა მითხრა, გავატარო მათთან რამდენიმე დღე. როგორი უნდა იყოს ეს დღეები? ოხ! მაშ მოკვდი, ბზზ!“

არც ამ პასუხში ახსენა პოეტმა სატრფოს სახელი, თუმცა ერთგვარად შუქი მოჰფინა მთელ ამბავს. მაინც ბევრი რამ დარჩა აუხსნელი, გამოუცნობი. და ამ საიდუმლოებათაგან ყველაზე დასანანია თვითონ ლექსის დაკარგვა.

ვინ იყო ეს ქალი? როგორც ირკვევა, დედამისი, „კეთილი ფრანგი ქალი პროვანსიდან“ იმ ხანებში თბილისში ჩამოუყვანია ფრანგ მოიჯარადრე კასტელას, როგორც აბრეშუმხვევის სპეციალისტი; აბრეშუმსახვევი ფაბრიკის დახურვის შემდეგ მადამ ლაბიელს თბილისში გაუხსნია საკონდიტრო მაღაზია.

ერთი იმდროინდელი მემუარისტი წერს:



ეკატერინე ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი.
ნახატი ა. გიგოლაშვილისა.

„ლაბიელმა გაათხოვა თავისი ქალიშვილები რუს ოფიცრებსა და მოხელეებზე და ცხოვრობს თავისთვის არხეინად“.

ასე დამთავრდა პოეტის ეს ტრფიალიც ფრანგი ქალისადმი.

* * *

მაგრამ ყველაფერი ეს ხანმოკლე გატაცებებია, მხოლოდ ამის შემდეგ იწყება დიდი სიყვარული პოეტისა, რომელმაც წარუშლელი კვალი დააჩნია მთელ მის შემოქმედებას.

ეკატერინე ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე, ანუ როგორც შინაურობაში ეძახდნენ კატინა, განსაცვიფრებელი და მომხიბვლელი ქალი იყო. ეკატერინეს ერთი ახლო ნაცნობისა და უიმედო ტრფიალის, იმ დროის თვალსაჩინო პოეტის სიტყვით, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილებზე „პეტერბურგიდან ისპაჰანამდე გაგიჟებული იყო ხალხი“

ნინო და ეკატერინე თავისი დროის პოეზიისათვის იყვნენ შთაგონების წყარო, თითქოს საგანგებოდ მოვლენილნი, რომ გაეღვიძებინათ პოეზიაში სევდა და ტრფიალი იმ სილამაზისადმი, მარად ქალურის იმ წარმტაცი და მიუწვდომელი იდეალისადმი, რომელშიც რომანტიზმმა თავისი მრწამსი გამოხატა.

ერთად რომ შევკრიბოთ ყველა ლექსი, რაც ნინოსა და ეკატერინეზე დაუწერიათ იმ დროის პოეტებს, საკმაოდ დიდი და კარგი კრებული შედგება. ეს იქნება წიგნი სილამაზეზე, მისდამი ადამიანის ლტოლვაზე. ამქვეყნიურ სიხარულსა და სევდაზე.

მაგრამ არავის ისე არ გადმოუცია ეკატერინე ჭავჭავაძის მომხიბვლელობა, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილს, პოეტმა მას უძღვნა თავისი ლექსი „საყურე“, ეს უებრო შედევრი მსოფლიო სატრფიალო ლირიკისა.

ამას გარდა, პოეტმა ეკატერინეს მიუძღვნა ლექსები „თავადის ჭ...ძის ასულს“ და „...ნა ფორტეპიანოზე მომღერალი“.

ამ სიყვარულისვე შედეგი უნდა იყოს მშვენიერი ლექსი „არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ“.

ბარათაშვილის ამ ლექსებში გადმოცემულია ამაღლებული სიყვარულის უწმინდესი გრძნობა.

მაგრამ არც ამ სიყვარულს უწერია კეთილი ბოლო.

სულ მალე ეკატერინე ჯვარს იწერს ქაშვეთის ტაძარში, იგი სამეგრელოს სამთავროს დედოფალი ხდება.

შემონახულია ცნობა, რომ პატარძალს საკურთხეველთან გული შეუწუხდა.

ამით დამთავრდა ბარათაშვილის სიყვარულის ისტორია.

**გიორგი ნატროშვილი**

# წინამორბედი განთიადის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ასათიანი

ნიკოლოზ ბარათაშვილი აღიარებული მამამთავარია მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურისა; მან პირველმა უკუაგდო ტრადიციული აღმოსავლური ფორმები და მოტივები ძველი ქართული პოეზიისა და მშობლიურ მწერლობას უჩვენა ახალი გზები და პერსპექტივები შემდგომი განვითარებისათვის; მან პირველმა გასული საუკუნის პოეტებს შორის პოეზიის ძირითად თემად დასახა პრობლემა ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობისა; მან ახლებურად დასვა და გადაჭრა პატრიოტიზმის საკითხი. მან სამშობლოს სიყვარულის ზოგადსა და აბსტრაქტულ გაგებას მისცა კონკრეტულ-ისტორიული შინაარსი და უპასუხა თავის დროის მწვავე პოლიტიკურ დისკუსიას მაღალ პოეტურ ფორმებში ჩამოსხმული შედევრებით, რომლებიც მომდევნო თაობებს აკვირვებენ თავისი სიბრძნითა და ფხიზელი რეალისტის ალღოთი. ბოლოს, პოეზიის მარადიულ თემებს — სიყვარულს, ბუნებას, ადამიანის ვნებათა-ღელვას, სიკვდილ-სიცოცხლის მწვავე განცდას მან ახალი პოეტური განათება მისცა და აიყვანა ისინი მაღალი ფილოსოფიური განზოგადების მწვერვალებზე.

საკვირველი არ არის ამის შემდეგ, თუ მეცხრამეტე საუკუნის დიდი ქართველი მგოსნები ამ უდროოდ დაღუპულ ჭაბუკში ხედავდნენ თავიანთ გენიოს წინამორბედს, რომელმაც თავის ეპოქას და ხალხს უკარნახა ძირითადი გეზი ცხოვრებისა და იდეური მოძრაობისათვის. „მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადის მორბედიო“, წერდა ნ. ბარათაშვილი თავის ლექსში „არ უკიჟინო, სატრფოო“. თერგდალეულთა თაობამ აკაკი წერეთლის პირით აღიარა ნ. ბარათაშვილი „წინამორბედად ჩვენის ახალის ცხოვრების განთიადისა“. ილია ჭავჭავაძემ მას უწოდა ჩვენი ხალხის „განმადიდებელი“ პოეტის სახელი, ხოლო ვაჟა-ფშაველამ მოწიწებით მოიხადა ქუდი „ქართლისა წყლულთა მოზარე“ მგოსნის წინაშე.

დიდი პოეტების შემოქმედება ღრმად იდგამს ფესვებს ხალხის გულში. ის მარადი თანამგზავრი და თანაზიარი ხდება მისი ბედის ტრიალისა, მისი დაღხინებისა და ვარამისა დიდი სოციალური კატაკლიზმების დროს. ისტორიული ქარტეხილების ამოტყდომის ჟამს, როდესაც ხალხის მღელვარე ცხოვრება ირხევა მის ულრმეს ფსკერამდე, ხალხი განსაკუთრებული იმედითა და სასოებით აპყრობს თვალს თავის დიდ ადამიანებს, როგორც თანამედროვეთ, ისე ისტორიულ წარსულში გარდასულთ, ვისაც კი რაიმე შესამჩნევი დაღი დაუჩენია ხალხის გრძნობებსა და იდეურ სამყაროზე. ამ შემთხვევაში დიდი პოეტების შემოქმედებითი მემკვიდრეობა იქცევა ხოლმე დაულეველ წყაროდ ხალხის შთაგონებისა და სულიერი მხნეობისათვის.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედება განსაკუთრებული სიძლიერით ჟღერს დღევანდელ ისტორიულ ვითარებაში. დღეს უფრო მეტი პოეტური მომხიბვლელობით, უფრო მეტი შთამბეჭდველი ძალით მოქმედებენ ჩვენს გრძნობებსა და შეგნებაზე მისი უკვდავი სტრიქონები, გამსჭვალულნი მშობლიური ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგულებით:

დღეს ეჭირება მამულს მხნეობა!
დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული,
ვის უფრო გიყვარს, ძმანო, მამული!

პოემა „ბედი ქართლისა“, რომელიც ქართული პატრიოტული პოეზიის მონუმენტურ ძეგლს წარმოადგენს, დღეს თითქოს ახალი იდეური და მხატვრული გაგებით შემოდის ჩვენს შემეცნებაში.

ნ. ბარათაშვილმა მოგვცა მაღალპოეტური ასახვა ქართველი ხალხის შეუდრეკელი გმირობისა თავდამსხმელ მტრებთან ბრძოლაში.

მან შესანიშნავი ოსტატობით გამოაქანდაკა დაუვიწყარი სახე „ივერიის სიმტკიცის სულის“ — მეფისა და გმირის, პატარა კახის ერეკლესი; დაგვიხატა სახეები მისი ლეგენდარული თანამებრძოლებისა, რომელთაც კრწანისის ბრძოლაში ვაჟკაცურად შესწირეს თავისი სიცოცხლე სამშობლოს ბედნიერებასა და თავისუფლებას.

დიდი სულიერი მღელვარებით და პათოსით არის გადმოცემული ეს მომენტი და პოეტის მიმართვა დაღუპულ გმირებისადმი ისმის, როგორც სამშობლო ქვეყნის საზეიმო ფიცი მათი ხსოვნის წინაშე:

რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,
საშვილიშვილოდ გადაეცემის;
ქართლი თქვენს ლვაწლსაც ვერ დაიდუმებს,
ალა-მაჰმად-ხანს ვიდრე ახსენებს!

ნ. ბარათაშვილის პატრიოტული შეგნებისაგან განუშორებელი იყო ღრმა და ურყევი რწმენა სამართლიანი ომის გამარჯვებით დაგვირგვინებისა. პოემის დასასრულში იგი გვიჩვენებს მოხუც ერეკლეს, დაბრუნებულს მტერთაგან აოხრებულ თბილისში, სადაც „პალატნი მისნი გარდმონგრეულან, სახლი — სამშობლო დანაცრებულან, მიდამო ჰხედავს უპატრონობას, აღოხრებასა და ნატამლობას!“ მაგრამ გადის ცოტა ხანი. ქართველი ხალხი ერეკლეს მეთაურობით თავის ძალებს ისევ რაზმავს და სასტიკად ამარცხებს მუხანათურად შემოსეულ მტრებს.

ნ. ბარათაშვილი პირველი იყო მე-19 საუკუნის ქართველ პოეტთა შორის, რომელმაც მთელი თავისი სიღრმით და სერიოზულობით დასვა ქართულ ლიტერატურაში იმ დროისათვის მეტად მწვავე პოლიტიკური პრობლემა რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობისა.

ცნობილ დიალოგში ერეკლესა და მის მსაჯულ ლეონიძეს შორის ნ. ბარათაშვილმა მკაფიოდ გამოხატა თავისი დროის საზოგადოების გარკვეული ფენების განწყობილებანი. პოემაში მოხუცი პატარა კახი რეალური პოლიტიკის თვალსაზრისით უდგება საკითხს ფხიზელი გონებით ზომავს თავის ქვეყნის ვითარებას „იმ უბედურობის და დარღვევის დროს“ და დაასკვნის:

ახლა კი დროა, სოლომონ, რომა
მშვიდობა ნახოს საქართველომა.

თავისი დამოკიდებულება პოემაში დასმული პოლიტიკური პრობლემისადმი ნ. ბარათაშვილმა მკაფიოდ გამოხატა ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ (1842 წ.). ახალი საქართველო, — „ახალი ქართლი“, როგორც თვითონ უწოდებდა, — ნ. ბარათაშვილს მიაჩნდა ერეკლეს პირმშო შვილად, რომელმაც გარეშე ბარბაროს მტერთა თარეშისაგან დაისვენა და მოიპოვა ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისა და კულტურული აღორძინების საშუალება:

სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი!

ქართველი ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნების ევოლუციის თვალსაზრისით საინტერესო იყო ის გარემოება, რომ ოთხმოცდაათიან წლებში ილია ჭავჭავაძე, — ქართველი ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი, — ანალოგიურ პოლიტიკურ შეფასებას აძლევდა ნ. ბარათაშვილის მიერ დასმულ პრობლემას და სავსებით იზიარებდა ჭაბუკი პოეტის შეხედულებებს.

ნ. ბარათაშვილი ხედავდა თავისი მშობელი ხალხის ნაციონალური და კულტურული აღორძინების უეჭველ სიმპტომებს და სიხარულით აღნიშნავდა, რომ „ქართველთ არა სძინავთ გონებით“.

მის ოპტიმიზმს საზოგადოებრივი შეგნება ასაზრდოებდა, მტკიცე და ურყევი პატრიოტული გრძნობა აძლევდა შინაარსს. ის ოცნებობდა, გაეგლიჯა პირადი ბედის საზღვარი, მისი შეჭიდება ბედისწერასთან ჭეშმარიტად ტიტანური იყო და წააგავდა იაკობის შეჭიდებას ღმერთთან, მაგრამ მას, როგორც ადამიანს, როგორც პოეტს და მოქალაქეს, არასოდეს არ სტოვებდა შეგნება დიდი მორალური ვალდებულებისა თავისი ხალხისა და ერის წინაშე, შეგნება იმისა, რომ ცუდად არ ჩაივლიდა მისი განწირული სულისკვეთება, მისგან გათელილი გზა დარჩებოდა და სავალი გაუადვილდებოდა მის შემდგომ მომავალ მოძმეს. ამ კონტექსტში ჩვენთვის ახლა სავსებით გასაგებია მისი საოცარი განცდა ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავლისა, გამოთქმული ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზე“:

მწუხრი გულისა — სევდა გულისა
— ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი
და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!

ნ. ბარათაშვილი ქართველი ხალხის პოეტური გენიის უბრწყინვალესი გამოხატულებაა, ისე როგორც რუსთაველი და გურამიშვილი. ის უკვდავია, როგორც ამბობდა მის შესახებ ილია ჭავჭავაძე; მისი პოეტური და ადამიანური ბუნების დასახასიათებლად შეიძლება ვიხმაროთ მხოლოდ მისივე სიტყვები:

დამქრალი ცეცხლი და ზღვის ღელვა წარმოგვიდგინებს
მისს ცეცხლსა სულსა და ზღვა-გულსა განსაკვირველებს.

---

* ქართული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარისა და კრიტიკოსის ლევან ასათიანის ეს წერილი დაწერილია სამამულო ომის წლებში. რედაქციას იგი გადმოსცა მწერლის მეუღლემ თინა ასათიანმა.

# ნიკოლოზ ბარათაშვილი და თანამედროვეობა

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების მნიშვნელობა კარგა ხანია შორს გასცდა ეროვნული ლიტერატურის ფარგლებს. ბარათაშვილი ეკუთვნის მსოფლიოს იმ რჩეულ პოეტთა წყებას, რომელთა უკვდავი ნაწარმოებები არა მარტო თავიანთი მშობელი ხალხის ეროვნული კულტურის საუნჯეს ამშვენებენ, არამედ მსოფლიო კულტურის საგანძურსაც ამდიდრებენ.

ჩვენი სახელოვანი პოეტის ესოდენ დიდი პოპულარობა იმით აიხსნება, რომ ბარათაშვილმა რუსთაველის შემდეგ, ყველაზე უკეთ გამოხატა თავისი მშობელი ხალხის ბუნება, მისი უწმინდესი ზნეობრივი იდეალები, ნათელი ჰუმანიზმი, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება, მხურვალე პატრიოტიზმი. მან ქართული ლექსი არა მარტო გაათავისუფლა აღმოსავლური პოეზიის დრომოჭმული ტრადიციების გავლენისაგან, არამედ აამაღლა იმდროინდელი მსოფლიოს მოწინავე აზროვნების დონემდე. როგორც დიდი ილია ამბობდა, ნ. ბარათაშვილმა „ჩვენს აზრს, ჩვენს გულთა თქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა“.

ნ. ბარათაშვილმა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე გადაჭრით უარყო იმ დროს გავრცელებული ე. წ. მუხამბაზური კილო და ქართული პოეზია მთლიანად შემოაბრუნა საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებისაკენ. ჩვენი ქვეყნის ისტორიის იმ მძიმე პერიოდში, როცა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული გლეხთა აჯანყებებისა და მოწინავე ინტელიგენციის შეთქმულების დამარცხების შემდეგ ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი უიმედობის განწყობილებამ მოიცვა, ბარათაშვილი სასოწარკვეთილებას კი არ ეძლევა, ქედს კი არ იხრის უფერული და უმოქმედო ცხოვრების წინაშე, არამედ გამსჭვალულია ბოროტების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისა და მოქმედების სულისკვეთებით, განამტკიცებს რწმენას ადამიანის მაღალი მოქალაქეობრივი დანიშნულებისადმი. პოეტი მხნედ გასძახის თანამოძმეთ:

**... რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა,**
**უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.**
**არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,**
**იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!**

ნიკოლოზ ბარათაშვილს კარგად ესმის ისტორიული პროგრესის უძლეველი ძალა და იმედი აქვს, რომ „გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“. როგორც დიდ ჰუმანისტს, მას ადამიანის უმაღლეს დანიშნულებად მიაჩნია დაუცხრომელი შრომა და ზრუნვა უკეთესი მომავლისათვის; ამიტომ ნატრობს იგი გახდეს განთიადის წინამორბედი:

**მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსამოვავლო,**
**საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო.**
**მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,**
**რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი.**

ბარათაშვილის პოეტურმა გენიამ ყველაზე სრულყოფილი გამოვლენა „მერანში“ პოვა. „მერანი“ განსაკუთრებით მკაფიოდ გამოხატავს ბარათაშვილის რომანტიკული პოეზიის აქტიურ, ქმედით ხასიათს; ამ ლექსის უკვდავ სტროფებში გადმოცემულია სინამდვილის ბნელ ძალებთან შეუპოვარი ბრძოლის, კაცობრიობის კეთილდღეობისათვის თავგანწირვის სულისკვეთება. „მერანი“ შეუდარებელი სიმღერაა თავისუფლებისადმი უძლეველ სიყვარულზე; აქ გადმოცემულია ადამიანის სულის ტიტანური ამბოხება თვით ბედისწერის წინააღმდეგ. პოეტის ეს შეურყეველი ნებისყოფა, მისი რაინდული ქედუხრელობა და მოძმეთათვის თავგანწირვა მიმზიდველი და გასაგებია თანამედროვე საბჭოთა ადამიანისთვის, რომელსაც ახასიათებს ვაჟკაცური, გმირული შემართება, პატრიოტული თავდადება, შეუპოვრობა სიძნელეების გადალახვის გზაზე. „მერანი“ ნამდვილი ჰიმნია ადამიანის შეუნელებელი წინსწრაფვისა; მის მძაფრ რომანტიკულ პათოსში გამოხატულია ცხოვრების, სიცოცხლის ნამდვილი აზრი და მიზანი:

**ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,**
**ნუ შემიბრალებ დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა.**

ამ შესანიშნავ სიმღერას, რომელიც ადიდებს ადამიანის შემოქმედებით ძალას, მის პატრიოტულ სულისკვეთებას, საკაცობრიო იდეალებისათვის თავგანწირულ ბრძოლას, პოეტი ამთავრებს პიროვნების უმაღლესი საზოგადოებრივი დანიშნულების გამომხატველი სიტყვებით:

**ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება,**
**და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;**
**და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,**
**და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!**

როგორც ვხედავთ, აქ მოცემულია ბარათაშვილის ჰუმანისტური იდეალი, მისი კეთილშობილური ოპტიმიზმი, ჯანსაღი რწმენა ცხოვრების განახლებასა და მომავალ საერთო ბედნიერებაზე, მისი მზადყოფნა თავი შესწიროს მოძმეთათვის გზის გაკაფვას.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში საპატიო ადგილი უჭირავს სამშობლოს სიყვარულის მოტივს. „სუმბული და მწირი“ ალეგორიულ ფორმებში გამოხატავს ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მარწუხებში მოქცეული საქართველოს მძიმე მდგომარეობას და პოეტის ოცნებას სამშობლოს თავისუფლებაზე, ხოლო პოემა „ბედი ქართლისა“ უდიდესი იდეური სიღრმითა და მხატვრული სიმართლით აშუქებს მე-18 საუკუნის დასასრულის საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემას, რომელიც კარგა ხანს იყო ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა.

როგორც ცნობილია, ირან-ოსმალეთთან მრავალსაუკუნოვანი უთანასწორო ბრძოლებით დაღლილ-დაქანცულმა საქართველომ მე-18 საუკუნის მიწურულში საბოლოოდ გაარღვია აღმოსავლეთის გარემოცვა და თავისი ბედი მტკიცედ დაუკავშირა რუსეთს. ეს იყო ისტორიული აუცილებლობა, რომელმაც ქართველ ხალხს ფიზიკური მოსპობის საფრთხე ააცილა და მშვიდობიანი განვითარების გზა გაუხსნა, ამასთანავე, ხელი შეუწყო რუსი და ქართველი ხალხის ეკონომიურ-კულტურული ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას. მაგრამ ქართველი ხალხი, რომელიც საუკუნეების მანძილზე სისხლით იცავდა თავის სუვერენობასა და თავისუფლებას მრავალრიცხოვან მტრებთან გაუთავებელ ბრძოლაში, ცხადია, მწვავედ განიცდიდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვას და უცხო რეჟიმის დამყარებას, რასაც თან მოჰყვა მმართველობის ახალი ბიუროკრატული ფორმები და თვითმპყრობელობის მხრივ მძიმე კოლონიური ჩაგვრა.

ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“, პოეტი ასე მიმართავს მხცოვანი გმირის აჩრდილს:

**ჟამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო**
**მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო;**
**მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული**
**უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული.**
**და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,**
**მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად!**
**სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,**
**მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი!**

ცხოვრების მსვლელობამ სავსებით დაადასტურა პოეტის უდიდესი ისტორიული ალღო და წინასწარხედვა. ქართლის ბედის რუსეთთან დაკავშირებამ ქართველი ხალხი გადაარჩინა ისტორიულ კატასტროფას და საშუალება მისცა განვითარების ახალ პროგრესულ გზაზე გამოსვლისა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება ყოველთვის იყო, არის და იქნება ქართული მწერლობის შთამაგონებელი და მასწავლებელი. ბარათაშვილის პოეზიის შინაგანი მთლიანობა, მისი ფორმისა და შინაარსის ჰარმონიულობა, ფილოსოფიური სიღრმე და ენობრივი სისადავე, ხალხურობა და საზოგადოებრივი აქტუალობა მუდამ დარჩება, როგორც პოეტური შთაგონებისა და ოსტატობის მისაბაძი ნიმუში.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის სიცოცხლის დამამკვიდრებელი პათოსი, მისი ნათელი ჰუმანიზმი, კეთილშობილი და მაღალი ზნეობრივი იდეალები, პატრიოტიზმი და მოქალაქეობრივი შეგნება მუდამ სამაგალითო, მიმზიდველი და ახლობელი იქნება ჩვენი ხალხის მომავალი თაობებისთვის, მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხებისთვის.

**ზ. მებზევიშვილი**

# მათ პირველად გამოაქვეყნეს

ნიკოლოზ ბარათაშვილი ისე გარდაიცვალა, რომ თავისი ლექსი დაბეჭდილი არ უნახავს.

მისი ლექსების პირველი გამომქვეყნებელი იყო ცნობილი პოეტი და დრამატურგი გიორგი ერისთავი, რომელმაც ახლად დაარსებულ ჟურნალ „ცისკარში“, 1852 წლის აპრილში გამოაქვეყნა ნ. ბარათაშვილის ოთხი ლექსი: „ბულბული ვარდზე“, „ჩემი ლოცვა“, „ქალი“ („რად მჯვედრი კაცხა“) და „სული ბოროტი“.

გ. ერისთავი მარტო ამით არ დაკმაყოფილებულა; მან თვითონ უძღვნა ლექსი ბარათაშვილის ხსოვნას, რომელიც იქვე, ზემოხსენებული ოთხი ლექსის შემდეგ დაიბეჭდა სათაურით: „თ. ნიკოლოზ მელიტონის-ძის ბარათაშვილის გარდაცვალებაზე“.

> ჰეი, ჭაბუკო, ახალ სოფელს კნინ გადაშლილო,
> ყოველ კეთილით აღსავსეო, მამულის შვილო!
> რა სოფელს შეხველ, სათნოება ისხივ-ცისკარე,
> შენ მშობელ მამულს რად შემოსწყერ, ობლად
> დაგვყარე?
> იქნებ სოფლისა მღელვარება ვერ შეიწყნარე?
> ანუ, ანგელოზთ შეიშურეს და აღგაფრინეს,
> თვისთა გუნდ შიგან დაგამკვიდრეს, ფრთენი
> შეგასხეს?
> რაც მიგვეფარე, ცას შევცქერი და
> დღე ბნელდების,
> უყურებ ტატო რომელ ვარსკვლავად
> გამობრწყინდების.

ასე დაიტირა გიორგი ერისთავმა უდროოდ გარდაცვალებული თავისი სიყრმის მეგობარი.

დიდი ილია ჭავჭავაძე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს სტუდენტობის დროს, პეტერბურგში გაეცნო.

კოხტა აფხაზის გადმოცემით, ვიცით, რომ ილია ცარსკოე სელოში ხწვევია ეკატერინე ჭავჭავაძეს, რომელსაც გადაუცია მისთვის ნ. ბარათაშვილის ლექსები და პოემა „ბედი ქართლისა“. ვერ წარმოიდგენთ, — ამბობს კ. აფხაზი, — რანაირად მოხიბლა ილია ამ ორმა, მართლაც შესანიშნავმა თხზულებამ. თითქმის მთელი ერთი კვირა სულ მოუსვენრად გაატარა და ცხადად თუ სიზმრად ბარათაშვილი ელანდებოდაო (ამ დროს, 1860 წლის 19 ივლისს დაუწერია ილიას ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი — „რომ წავიკითხე მისი ლექსები, ვერარა ვთქვი-რა განცვიფრებულმა“).

როდესაც ილია პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნდა და ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ დააარსა, პირველ ნომერშივე ნ. ბარათაშვილის ლექსებიდან გამოაქვეყნა „შემოღამება მთაწმინდაზე“, ხოლო ჟურნალის მეორე ნომერში მოათავსა პოეტის ლირიკული ლექსი: „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო“. ასევე შემდეგაც სისტემატურად ბეჭდავდა პოეტის ლექსებს ჟურნ. „ივერიაში“; აქ გამოქვეყნდა „ძია გრიგოლთან“, „ღამე ყაბახზე“, „როს ბედნიერ ვარ“, „ცისა ფერს“ და სხვ.

ივანე კერესელიძემ 1860 წლის ჟურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნა ბარათაშვილის ხუთი ლექსი: „მირბის, მიმაფრენს“ (№ 6), „საფლავი მეფის ირაკლისა“ (№ 7), „თ. ჭ...ის ასულს ეკ..,ნას“ (№ 9), „სული ობოლი“ (№ 11) და „სატრფოვ, მახსოვს“ (№ 12); ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ კერესელიძეს ეს ლექსები სწორედ ილიამ გამოუგზავნა პეტერბურგიდან (ამას გვაფიქრებინებს ინტიმური ლექსის — „თავად ჭავჭავაძის ასულს, ეკატერინას“ გამოქვეყნება, იგი მხოლოდ ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისეულ ნ. ბარათაშვილის იმ ლექსების კრებულში იყო შეტანილი, რომელსაც ილია პეტერბურგში ყოფნისას გაეცნო).

ი. კერესელიძემ „ცისკარში“ სულ გამოაქვეყნა ნ. ბარათაშვილის 18 ლექსი და პოემა „ბედი ქართლისა“.

დავით ჩუბინაშვილმა კი თავის სახელმძღვანელო „ქრესტომათიაში“ 1868 წელს შეიტანა ნ. ბარათაშვილის გამოუქვეყნებელი ლექსები: „ჩემი ლოცვა“, „მერანი“, „სული ბოროტი“ და „არაგვი“ (ნაწყვეტი პოემიდან — „ბედი ქართლისა“).

ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ კირილე ლორთქიფანიძემ პეტერბურგში 1868 წელს გამოსცა ქართველი პოეტების ლექსთა კრებული „ჩონგურის“ სახელწოდებით; მასში შეტანილი იყო: „ფიქრნი მტკვრის პირას“, „საყურე“ და „ფანტაზია“ („ვპოვე ტაძარი“). შემდეგში, 1872 წლის 9 დეკემბერს ილია ჭავჭავაძე კ. ლორთქიფანიძეს სწერდა: „ძმაო კირილე! გიგზავნი ბარათაშვილის წიგნებს, შენ იცი და შენმა რიგიანობამ როგორც კარგად, შეუშლელად და შეუმცდარად დაბეჭდავ. მართლწერა და ნიშნების ხმარება სრულად და შეუმცდარად დედნისა არის და აგრეთვე უნდა დაიბეჭდოს. ეს ოთხი წიგნი გადმოგვცა ჩვენ ერთმა პატივცემულმა პირმა;“ ილია წერილში არ ასახელებს, მაგრამ ეს პატივცემული პირი იყო მისი სიძე — ალექსანდრე დიმიტრის-ძე საგინაშვილი — ილიას დის ელისაბედის ქმარი, — ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილი, რომელსაც შემოუნახავს ნ. ბარათაშვილის წერილები და ილიასთვის გადაუცია; ეს ოთხი წიგნი გახლავთ ნ. ბარათაშვილის წერილები მაიკო ორბელიანთან, რომლებიც გამოქვეყნდა ჟურნ. „კრებულში“ 1878 წელს.

„კრებულის“ ფაქტიურ რედაქტორს ნიკო ნიკოლაძეს ეს წერილები მაშინვე დაუბეჭდავს და ილიასათვის უთხოვნია ეგებ კიდევ გაქვს რამეო. ილიას უპასუხია: „ძმაო ნიკო, უკანასკნელად შენი წიგნის პასუხად გაუწყებ შემდეგსა: ბარათაშვილის ოთხი წიგნის მეტი ჩემს დას და სიძეს არა ჰქონიათ, ოთხივე მანდ გამოგიგზავნეთ“. ალ. საგინაშვილისათვის ილიას და ელისაბედი მეორე ცოლი იყო, პირველ ცოლად ჰყავდა ბაბალე ორბელიანი, რომელიც ახლო მეგობარი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ნათესავი მაიკო ორბელიანისა.

მართალია, ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებები ქართულ ჟურნალებში და კრებულებში იბეჭდებოდა, მაგრამ მისი ლექსები ცალკე წიგნად პირველად მხოლოდ 1876 წელს გამოვიდა.

ვინ იყო ამ პირველი წიგნის შემდგენელი და გამომცემელი?

ილია ჭავჭავაძე 1878 წლის 29 იანვარს თავის დას ელისაბედ საგინაშვილს სწერდა: „ლიზო! ხვალ დილის თერთმეტ საათზე გრიგოლ ორბელიანთან შეიყრებიან ლევან მელიქოვი (მელიქიშვილი, ნ. ბარათაშვილის სკოლის ამხანაგი), გიორგი ერისთავი, ატამანი-ივანე მუხრანსკი და ბევრი სხვანი ერთ დიდ საქმის თაობაზედ. დღეს ამ საქმის დამწყები ჩემთან შემოვიდა და მთხოვა, რომ სიძე ალექსანდრეს (ალ. დიმიტრის-ძე საგინაშვილი, ნ. ბარათაშვილის მამიდაშვილი — დ. შ.) ვთხოვო, რომ უსათუოდ ისიც დაესწროს და მიბრძანდეს დანიშნულ საათს“ (იხ. ილ. ჭავჭავაძის თხზ., ტ. 10, გვ. 62-68).

ილია ჭავჭავაძე თავის დას არა სწერს, მაგრამ ეს „ერთი დიდი საქმე“ ნ. ბარათაშვილის ლექსების სრული კრებულის გამოცემა იყო. ილია ძალზე მოწადინებული იყო ბარათაშვილის თხზულებების ერთ წიგნად გამოცემისა, რომლის მომზადება პოეტის ბიძამ გრ. ორბელიანმა იკისრა, ილია ჭავჭავაძის დახმარებითა და უშუალო ხელშეწყობით.

ნ. ბარათაშვილის პირველი ნაბეჭდი წიგნი სათაურით „ლექსნი, თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან“ 1874 წელს მომზადდა, ხოლო ცენზორის მიერ დაბეჭდვის ნებართვა მიცემული იქნა 1875 წლის 8 დეკემბერს. გავრცელების ნება კი მიცემულია 1876 წლას 16 იანვარს.

როგორც ამ პირველი გამოცემის წინასიტყვაობიდან ჩანს, ტექსტი გადმოუბეჭდავთ „თვით პოეტის საკუთარი ხელნაწერიდან“, რომელიც კუთვნილება ყოფილა გრ. ორბელიანისა.

ამრიგად, ნ. ბარათაშვილის თხზულებათა პირველი გამოცემის მომზადების საქმის მოთავენი იყვნენ გრ. ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე.

**დავით შულღიაშვილი,**
ლიტერატურული მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.



ბარათაშვილის ავტოგრაფი

# მეგობართა და ნაცნობთა შორის

ნიკოლოზ ბარათაშვილი, გენიოსი პოეტი და მოაზროვნე, იმავე დროს იყო უაღრესად ცოცხალი ბუნების ადამიანი, მახვილი სიტყვის და ხუმრობის მოყვარული; როგორც კი ის მეგობართა წრეში გამოჩნდებოდა, იწყებოდა მხიარული ბაასი, გულიანი სიცილ-ხარხარი. ამ უბრწყინვალესი გონებამახვილობისა და ხუმრობის ნიმუშები შემონახულია მის პირად წერილებსა და ნაცნობ-მეგობართა მოგონებებში. ქვემოთ მოგვყავს ორი ეპიზოდი ამ მოგონებებიდან.

## ბიძა და დისწული ხუმრობენ

„ხახვის ფრანტები“ — ეს გამოთქმა ნ. ბარათაშვილს ეკუთვნის. ახლა ძნელია მთელი სიზუსტით განსაზღვრა, თუ რას ნიშნავდა იგი, მაგრამ საერთო აზრი გასაგებია; პოეტი აქ გულისხმობს იმ დროის ახალგაზრდობის ერთ ნაწილს, მოდას რომ აჰყოლია („ფრანტები“), და თანაც ჰკუას დიდად ძალას არ ატანს („ხახვის ფრანტები“). ისიც ჩანს, რომ ეს უბოროტო გაკენწვლაა.

ნ. ბარათაშვილი სწერს თავის ბიძას — გრ. ორბელიანს, რომელიც იმ დროს დაღესტანში იბრძოდა:

„ჩვენი ყმაწვილები და ხახვის ფრანტები სულ შამილის დასაჭერად წამოვიდნენ. ქალაქი მე დამრჩა, მოუსვი ბიჭო! ამისთანა ფართო ოკეანე არც ერთს ხომალდს არ შეხვედრია“...

ხოლო მეორე ბიძას, ზაქარია ორბელიანს ბარათაშვილი სწერს: „ჩვენი ყმაწვილკაცები ილია, ლევან, დავით, ბაკლანა (მითომ ესეც ყმაწვილებშია), ზაქარია და ალექსანდრე ერისთავი სულ წამოვიდნენ შამილის დასაჭერად; ესენი სულ სარდლები არიან ქართველთა ჯარისა, ყაფლან ხომ ასე ამბობს, რომ ესენი სულ ჩამომავლობით გიჟები არიანო“.

გრიგოლ ორბელიანიც მხარს უბამდა ტატოს და იუმორით იხსენიებდა დაღესტანში წასულ ნაცნობ-მეგობრებს. აი რას წერდა იგი: „ჩემო ძმაო ზაქარიავ, რომელიც რომ ამ ნიშნით, ზაქარია ერისთავიც აქ მიზის და ამას მაწერინებს შენთან, თავმოპარსული და ნემენცურის სიგარით ხელში. ასე რომ, საქართველოში რაც ოხერი, სასიკვდილო, გასაფუჭებელი, თირონჯი, ჯაინ-ჯუის ქვეყნიდამ, ასე გაშინჯე თორამ თარხნისშვილი და ზარაფოვიც აქ არიან შამილის დასაჭერად. ჩვენი ილია ამათი ნაჩალნიკია, ბაკლანა, გეუა ოპანაშვილი იმის პომოშნიკი, აქ არიან“.

ასე ხუმრობდნენ ბიძა და დისწული, თორემ მათ კარგად იცოდნენ, როგორ მამაცურად იბრძოდა ქართული მილიცია კავკასიის მთებში. ნ. ბარათაშვილი სწერდა ბიძას: „საყვარელო ძმაო გრიგოლ! შენი წიგნი მომიტანა დიმიტრი ჯორჯაძემ. დიდად მაამა ამ წიგნმა, მეტადრე ქართველების ქებამ. მილიციამ, როგორც იტყვიან, ასახელა თავისი სახელი და ზღაპრული გმირობის ხმა დაიგდო მთელ მხედრობაში... მითომ როდის და რაში არა ვყოფილვართ კარგნი, მაგრამ ჩი მიქუნიმ“.

„ჩი მიქუნიმ“ — სპარსულია, ნიშნავს „რა ვქნათ“. ფიქრობენ, რომ ბარათაშვილმა, გარდა რუსული და გერმანული ენებისა, სპარსული ენაც იცოდა.

## ისფლათუნი წყრება

ცნობილი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი, შვილისადმი მიწერილ ბარათში, იხსენებს ასეთ ამბავს: ერთხელ ნაცნობ-მეგობრები შეკრებილან მის ბინაზე საბაასოდ და დროს გასატარებლად. დიმიტრი ყიფიანი აღნიშნავს, რომ დამსწრეთა შორის ყოფილა „სახელოვანი ისფლათუნი“ (ასე ეძახდნენ ხუმრობით ფილოსოფოსსა და ღვთისმეტყველს პლატონ იოსელიანს. ისფლათუნი ანუ იფლათუნი სპარსულ-არაბული გამოთქმაა ძველი ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის სახელისა).

როგორც ყიფიანი აღნიშნავს, ჩამოვარდნილა ჩვეულებრივი საუბარი. ერთ დამსწრეთაგანს, ანდრია ხერხეულიძეს ასეთი შეკითხვა მიუცია გამხიარულებული საზოგადოებისათვის: „ამბობენ, ძველ საბერძნეთში ყველაფერს თავთავისი ღმერთი ჰყავდა და ერთი მითხარით, გირების ღმერთი ვიდა იყოო!“. ტატოს სიცილი წასკდა ამ მწვავე მახვილი სიტყვის გამო, რომელმაც თავში გაქელვა, მაგრამ უმალვე სერიოზული სახე მიიღო და, მიუთითა რა პლატონზე, მშვიდად თქვა — ამაზე მას უნდა ვკითხოთ, ჩვენში ხომ ეგ არის ბოგოსლოვი (ე. ი. ბოგ ოსლოვ!). ახლა კი მთელმა კამპანიამ იგრიალა ჰომერული სიცილით. პლატონი გაჯავრდა და ყველას სულელები გვიწოდა“. „ეგ კიდევ მადლობა ღმერთს, — მაშინვე მიაგება თურმე სიტყვა ენამოსწრებულმა ტატომ, — რაც უნდა იყოს, ის ხომ არ ითქმის, რომ ჩვენ შენი გავლენის ქვეშ ვიყვნეთ!“

დიმიტრი ყიფიანის თქმით, ამის შემდეგ პლატონ იოსელიანს კარგა ხანს ყველანი მხოლოდ „ბოგ ოსლოვის“ სახელით იხსენიებდნენ.

თბილისიდან დაღესტანში მიწერილ ბარათში ნ. ბარათაშვილი სწერდა გრ. ორბელიანს:

„ჩვენს დიდ პლატონს ძილში კატა დასწოლოდა ბაკენბარდზე და ისე გაეთელა, რომ ველარას გზით ველარ გაუსწორებია. ეს ერთი ბაკენბარდი ასე გათელილი დარჩა. ვურჩევთ, რომ მოიპარსოს, მაგრამ არ გვიჯერებს, ეს აკლდა ამის ფილოსოფოსურს სახეს!“

ცხადია, ყველაფერი ეს მეგობრული ხუმრობა იყო.



თბილისი. ამ სახლებში ცხოვრობდა ნ. ბარათაშვილი. ჯერ სამების ეკლესიის გვერდით (ფოტო მარცხნივ), შემდეგ კი ჩახრუხაძის ქუჩაზე (ფოტო მარჯვნივ).

ფოტო რ. აკოფოვისა



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

გიორგი კაჭახიძე

## მშვენიერება დადის ქალაქში

ვიცი, რა გხიბლავთ, რა გიხარიათ,
ვინ ვის აგინთებთ ვარსკვლავს ამაღამ, —
მშვენიერება დიდი ხანია
ჩვენს ქალაქშიაც დადის ამაყად.

დადის საქვეყნო ღვაწლით განთქმული,
არ ეძნელება მთების ალება.
დაადუღაბა სართულს სართული,
შეკრა ხიდები მაღალ თაღებად.

უხვად ამრავლა ხე და ყვავილი,
დაამშობილა შრომას დიდება,
სადაც ფეხს ადგამს, სადაც გაივლის,
ჭერი მაღლდება,
მიწა ბრწყინდება.

კაცის ღიმილშიც მისი შუქია,
ყველა სიკეთის კარის გამღები.
ის ხან ცხოვრების მზეჭაბუკია,
ხან უხილავი ხელი განგების.

სიცოცხლესავით დასალოცია
ხალხის მეგობრად მისი გაჩენა.
რა გორმახები მისწი-მოსწია,
რა სილამაზის ძალა გვაჩვენა!

გზა შეამოკლა ყველა წყარომდე,
დღეებს უმრავლა მზე და ბადახში...
ო, გიხაროდეთ,
ო, გიხაროდეთ, —
მშვენიერება დადის ქალაქში!



## სიზმრის გახსენება

ერთხელ მომხსნა ბედმა შენგან ნაჭრილი,
ღირს ერთ ლექსად ის დღეს მისი მოქცევა:
დამესიზმრე, ჩიტი იყავ ფრთაჭრელი,
ბლის ფოთლებში მოცქრიალე ოცნება.

ფრთებით შხეფი ქვეყნიური სიკეთის
აგეტანა ჭეირნების წყაროდან.
სტვენდი ტოტზე,
და ხმა გქონდა ისეთი,
თითქოს ცაში ანგელოზი გალობდა.

განაბული ყურს გიგდებდი მგალობელს,
დამავიწყე გამოვლილი ქარბუქი.
— მეც ვიფრენდი, რომ იღბალი მწყალობდეს!
ვთქვი თუ არა, ჩიტად ვიქეც ჭაბუკი.

აღარ მახსოვს, როგორ გავჩნდი შენს გვერდით,
როგორ დადგა სანეტარო ამინდი.
წალკოტისკენ გვეძახოდა სვე-ბედი
და ჩვენც იქით სალაღობოდ გავფრინდით.

ძირს გედები ვარდის წყალში ცურავდნენ,
ტბა გაეთბო სახოების ნაღვერდალს.
მზედ ხატავდა ჩვენი ბედის სურათებს
ერთი გუნდი, ჩვენი ლხენის მნახველთა...
ო, ეს იყო მხოლოდ ძილში, სულ ადრე,
სიყვარული როცა თვალებს ახელდა.

გიორგი გიგაური

## ფიქრი არაგვის პირას

1.

მიჭქრის, მიფრინავს რაში უბელო
ყალყზე შემდგარი ტატოს მხედრობით,
შორს მოიტოვა მთათა უბენი
და ვარსკვლავებსაც გასცდა თეთრონი.
ბარათაშვილის შუქის კვალია,
აელვებული ირმის ნახტომად,
მზე და პოეტი ერთად არიან,
აი, რას ჰქვია ფიქრის ახდომა!
ბარათაშვილის ლექსი მარადის,
ლექსი კი არა, ხმა სიმართლისა,
გულში გუგუნებს, როგორც არაგვი
და სხივდაღვრილი მიწა ქართლისა.

2.

მთები არაგვში ილბობენ ფესვებს,
მიირწევიან ცისკენ ღრუბლებად,
მთებმა სიცოცხლის ნექტარი შესვეს!
და სურთ მგოსანთან გასაუბრება.
მთები ლოცავენ ცაურს, მიწიერს,
ღირსეულს ღირსთა ქება შეშვენის,
მუხამ განჯაში რტო დაილეწა,
საქართველოში ჩარგო ფესვები...
და მიჰყვებოდნენ ბავშვები კუბოს,
და იმაგრებდნენ პატარა მუხლებს,
მიწას ნერგებით აუვსო უბე,
ასე სჩვევია ბუმბერაზ მუხას.

3.

არაგვთან ისევ მაღლდება ფიქრი —
ეჟვანთა ჟღერა,
ნალთა წკრიალი,
ფშაურ ღამეში მერანი მიჭქრის,
მორბის არაგვი არაგვიანი.
ფშაურ სანახებს უყივის კაცი,
გოლიათ მთებში თავის ტოლს ეძებს,
არ შეეშლება გზაწვრილი არწივს,
ყველაფერს შესძლებს სიკეთის შემძლ.

4.

...და უკვდავებას მასპინძლობს ვაჟა,
მხრებდაფარული ჯიხვის ტყავითა,
ჯერ გასინჯავენ მიზანში მაჟარს,
მერე იწყებენ ლექსებს თავიდან.
მერე მზისაკენ დასძრავენ მერნებს,
იალა მათმა მზისკენ ნახტომმა,
ძმად გაიფიცნენ დიდიხნის მერე,
აი, რას ჰქვია ფიქრის ახდომა!



# ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც დრო გადის, უფრო ნათელი ხდება, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა სრულყოფილად გამომზეურებული არ არის, დროდადრო პრესაში კვლავ ჩნდება ცნობები ილიას გამოუქვეყნებელ და უცნობ ნაშრომებზე. ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ათტომიანი კრებულის გამოცემის დასრულების შემდეგ რესპუბლიკის დამსახურებულმა ბიბლიოთეკარმა თ. მაჭავარიანმა მიუთითა მთელი რიგ პუბლიცისტურ წერილებზე, რომლებიც თუმცა ხელმოუწერლად არის დაბეჭდილი გაზეთ „ივერიაში", მაგრამ დღეისათვის მათი ილიასეულობა ეჭვს არ იწვევს. ილიასეული წერილები აღმოჩნდა ჟურნალ „საქართველოს მოამბეში" და მე-19 საუკუნის სხვა პერიოდულ გამოცემებშიც. ამ მასალებმა უკვე მიიპყრო ქართველ მკვლევართა ყურადღება და ბოლო ხანში გამოქვეყნებულ შრომებში ნახა კიდეც გამოხატულება; აქ უნდა დავასახელოთ აკად. გ. ჯიბლაძის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორების — შ. გოზალიშვილის და ა. კალანდაძის შრომები, პროფ. ს. ხუციშვილის წერილები და თ. ნაკაშიძისა და ნ. კორძაიას მიერ გამოცემული ი. ჭავჭავაძის ბიბლიოგრაფია. მიუხედავად ამისა, მაინც ჯერ კიდევ ბევრი მუშაობაა ჩასატარებელი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რუსულ პერიოდულ პრესას, სადაც ილიას არა ერთი წერილი აქვს დაბეჭდილი, ეს წერილები თავის დროზეც არ იყო ცნობილი ქართველი საზოგადოების ფართო წრისათვის.

გავრცელებულია აზრი, თითქოსდა ილია ადგილობრივ რუსულ პრესაში მონაწილეობისათვის ვერ იცლიდა; ეს სწორი არ არის. ახლად გამოვლინებულ წერილებში არის ისეთებიც, რომლებიც ადგილობრივი რუსული პერიოდული პრესის გამოცემებში დაიბეჭდა; ერთი წერილი კი, რომელიც კავკასიის იურიდიული საზოგადოების ყოველკვირეულ ჟურნალ „იურიდიჩესკოე ობოზრენიეში" იყო გამოქვეყნებული 1884 წელს, გამოვლინებულია ჩვენს მიერ (იხ. ჟურნ. „იურიდიჩესკოე ობოზრენიე", 1884 წლის № 164, სათაურით **«Хизанский вопрос»**. ეს წერილი 1968 წელს გამოცემულ ილიას შრომების ბიბლიოგრაფიაში დასახელებული არ არის. წერილი ხიზნობის საკითხს ეხება, მაგრამ იგი არ წარმოადგენს ილიას მიერ ამ საკითხზე ქართულ პრესაში გამოთქმული მოსაზრებების უბრალო განმეორებას და საჭიროდ ვთვლით მოკლედ გავარკვიოთ, რით იპყრობს იგი ყურადღებას.

აქამდე ცნობილი იყო, რომ ხიზნობის საკითხზე ილიას გამოქვეყნებული ჰქონდა ორი ნარკვევი, პირველი — „დროებაში", 1880 წელს; მეორე — გაზეთ „ივერიაში", 1886 წელს. როგორც ხედავთ, გამოქვეყნების ვადის მიხედვით ეს ნარკვევები ერთმანეთისაგან დაშორებულნი არიან ექვსი წლით.

ილია ხიზნების საკითხს გამოეხმაურა იმის გამო, რომ მისი აზრით ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ხიზნების მიწათსარგებლობის საკითხის გადაწყვეტა ერთ-ერთი გადაუდებელი საკითხი იყო; მთავრობა კი მას მეტად აჭიანურებდა; საქმე ლაპარაკისა და მსჯელობის ფარგლებს არ სცილდებოდა. პირველი წერილი ამ თემაზე ილიამ დაწერა 1880 წლის 17 მარტს, როდესაც კომისიამ თბილისის გუბერნატორის მეთაურობით განაახლა ამ საკითხზე მუშაობა; ილია თავის წერილში შეეცადა გაერკვია ხიზნობის არსი და მეცნიერულად დაესაბუთებინა, რომ ხიზნობა, „თავისუფალი მუშის" (ხიზნის) მიერ სხვისი მიწის გამოყენება არ წარმოადგენდა მხოლოდ საქართველოსათვის დამახასიათებელ, რაღაც განსაკუთრებულ ფორმას. მიწათსარგებლობის ასეთი წესი ცნობილი იყო ევროპის ქვეყნებში და მას აწესრიგებდნენ საკანონმდებლო ან მტკიცედ მოქმედი ადათობრივი სამართლის ნორმებით, რომელთა კარგად ცოდნა და გათვალისწინება ხელს შეუწყობდა ჩვენში წამოჭრილი ამ საკითხის გადაწყვეტას. ილიას აწუხებდა ის გარემოება, რომ მთავრობის კომისიას, რომელსაც დავალებული ჰქონდა საკითხის შესწავლა და გარკვეული პროექტის შემუშავება, არ ესმოდა ხიზნობის ინსტიტუტის არსი და აქედან გამომდინარე ვერ ერკვეოდა მის პოლიტიკურ და ეკონომიურ მხარეებში, ეს კი იმის მომასწავებელი იყო, რომ საკითხის გადაწყვეტა თავიდანვე არასწორად მიიმართებოდა.

პირველ ნარკვევში ილიას რაიმე კონკრეტული საკანონმდებლო წინადადებები არ აქვს წამოყენებული და წერილი დაუმთავრებლის შთაბეჭდილებას სტოვებს. სამაგიეროდ სრულყოფილი და ღრმად დამუშავებულია 1886 წელს გამოქვეყნებული ნარკვევი, რომელშიც მოცემულია ხიზნობის დამახასიათებელი ყველა ნიშანი, განზოგადებული ევროპის ქვეყნების მაგალითებზე; ამავე დროს ამ ნარკვევში დასახულია კონკრეტული წინადადებები, თუ როგორ უნდა იქნეს გადაწყვეტილი საკანონმდებლო აქტებით მიწათსარგებლობის ის წესი, რომელსაც ხიზნობის ინსტიტუტი ითვალისწინებდა.

როგორც ირკვევა, „იურიდიჩესკოე ობოზრენიეში" დაბეჭდილი წერილი არის ნაწილი იმ მოხსენებითი ბარათისა, რომელიც ილიას წარუდგენია თბილისის გუბერნიის საგლეხო საკრებულოში; ეს მოხსენებითი ბარათი რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ა. იოვიძემ „საისტორიო მოამბის" მესამე წიგნში, 1947 წელს.

„იურიდიჩესკოე ობოზრენიეში" ილიას გამოსვლის მიზეზი იყო ის, რომ რამდენიმე წლით ხიზნობის საკითხი ერთდაგვარად მიჩუმდა, ხოლო 1884 წლის დასაწყისში იგი კვლავ აღძრეს. ჩვენ აქ არ შევუდგებით ილიას ამ წერილის დეტალურ განხილვას, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ხიზნობის საკითხზე გამოქვეყნებულ პირველ ნარკვევისაგან განსხვავებით, ამ წერილში ჩამოყალიბებულია ხიზნობის დამახასიათებელი ყველა ნიშანი და წამოყენებული კონკრეტული წინადადებები, რომლებიც, ავტორის აზრით, საკანონმდებლო ნორმებად უნდა ქცეულიყვნენ. ილია აღნიშნავს, რომ ცხოვრებაში ხიზნობის საკითხის რეგულირება ხდება ადათობრივი სამართლის ნორმებით, რომლებიც მიწათმფლობელმა და მიწათმოქმედმა შეისისხლხორცეს და ამ ნორმებს უნდა მიეცეს კანონის ფორმა, ისევე, როგორც ეს მოხდა ინგლისში; ილიას განსაზღვრით „ხიზნობა არის თავისუფალი მიწათმოქმედის მიერ სხვისი მიწით სარგებლობის განსაკუთრებული სახე, რომელიც, ჯერ ერთი, ემყარება და ეყრდნობა მხოლოდ ადათობრივ სამართალს და, მეორეც — ითვალისწინებს მიწის უვადო სარგებლობას და რენტის მუდმივობას, მაგრამ სარგებლობის ვადის ეს ხანგრძლივობა გაპირობებულია არა უფლების მარადიულობით, არამედ ეკონომიური ინტერესით, და მესამე — იცავს საქმეში მონაწილე პირთა ზნეობრივ და ქონებრივ ინტერესებს და, ამავე დროს, ზღუდავს თვითნებობას. ე. ი. თუ რომელიმე მათგანი შეწყვეტს, მეორის სურვილის წინააღმდეგ, ვალდებულებით ურთიერთობას, გამომდინარეს სხვისი მიწით სარგებლობის ამ წესიდან, იხდის საზღაურს".

1886 წელს ილიას მიერ გამოქვეყნებული ნარკვევი არის ერთგვარი შევსება და მეცნიერული გაღრმავება იმ დებულებისა, რომლებიც წამოყენებულია „იურიდიჩესკოე ობოზრენიეში" გამოქვეყნებულ წერილში. 1886 წლის ნარკვევში განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას ის გარემოება, რომ კონკრეტული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ილია სრულ სურათს იძლევა, თუ რა მდგომარეობაშია საქართველოში ხიზნობის ინსტიტუტი და რამდენად გადაუდებელია ხიზანსა და მიწის მესაკუთრეს შორის საკანონმდებლო წესით საკითხის მოგვარება.

როგორც ცნობილია, ხიზნობის საკითხმა, ისე როგორც ეს ილიას ესმოდა, საბოლოო გადაწყვეტა ვერ პოვა; ილიას გამოსვლა ამ საკითხზე მარტო დასახელებული ნარკვევებით და წერილით არ დამთავრებულა. ამ საკითხებზე იგი ამახვილებდა ყურადღებას უფრო გვიანაც, გამოკვლევაში „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა" და წერილებში, რომლებიც სოფლის მეურნეობის საკითხებს ეხებოდნენ.

**ვახტანგ ჟვანია,**
სახალხო მოსამართლე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.
















# თავგანწირული, გმირული...

ოცდაშვიდი წელი მიიწურა მას შემდეგ, რაც პირსისხლიანი გერმანელი ფაშისტები ჩვენს ქვეყანაში შემოიჭრნენ. ოცდაშვიდი წელი მიიწურა მას შემდეგ, რაც დიდი და სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გაჩაღდა. გაბოროტებული მტრის წინააღმდეგ აღსდგა მთელი ჩვენი ქვეყანა, დიდმა და პატარამ იარაღს მოჰკიდა ხელი. გავიმარჯვეთ. მტერი მოვსპეთ, მაგრამ ამ ომში დავკარგეთ ბევრი შესანიშნავი ადამიანი. დღეს ომით მიყენებული ჭრილობები მოიშუშა ქვეყანამ, მაგრამ ადამიანთა გულში ჩარჩენილი ტკივილი ჯერ კიდევ არ განელებულა. ბევრმა ახლობელი ადამიანი დაჰკარგა. ზოგმა ოჯახმა ორი, სამი და უფრო მეტი ვაჟკაციც შესწირა ქვეყანას. ჩვენი რესპუბლიკიდან ექვსასი ათასზე მეტი კაცი იყო წასული სამშობლოს დასაცავად. სად არ იბრძოდნენ ქართველები! იბრძოდნენ მედგრად და მრავალმა ათასმა კაცმა ასახელა სამშობლო, დიდებით შემოსა და უკვდავყო თავისი სახელი.

მრავალი რამ დაწერილა მამაც ქართველ მეომრებზე, მრავალი იწერება და კვლავაც დაიწერება. თანდათან ნათელი ხდება ზოგიერთი დღემდე უცნობი ვაჟკაცის გმირული ბრძოლების ამბავი.

ომის ვეტერანთა საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თბილისის სექციამ, რომელშიც ჩვენი ომგადახდილი მხედრები არიან გაერთიანებულნი, მეტად სასიხარულო და საშვილიშვილო საქმე წამოიწყო: იგი ამზეურებს ქართველი საბჭოთა მეომრების სიბრძოლო ამბებს, რათა შთამომავლობას დაანახოს ჩვენი ადამიანების შემართება, მათი თავგანწირული, გმირული ბრძოლის ამბები.

ვეტერანთა წამოწყებას მაშინვე დაუჭირა მხარი გამომცემლობა „ნაკადულის" დირექტორმა, ომის მონაწილე მწერალმა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ. მანვე აქტიური მონაწილეობა მიიღო საერთო გეგმის შედგენაში. გადაწყდა, გამოიცეს კრებულები ფრონტების ცალკეულ უბნებზე ქართველების მონაწილეობის შესახებ. და აი, ჩვენს წინ დღეისათვის უკვე ხუთი წიგნი დევს: ვახტანგ სიხარულიძის „ყირიმი, 1941-1943", დიმიტრი შანშაშვილის „ისინი იცავდნენ ლენინის ქალაქს", ზურაბ ლომიძის „ზღვათა მპყრობელნი", დავით ბაქრაძის „ლეგენდარული რეიდი" და პეტრე შამათავას „გვარდიის ჯარისკაცი ნიკოლოზ მოსიაშვილი".

ამ საინტერესო სერიის სახელწოდებაა „ქართველები დიდ სამამულო ომში"; რედაქტორებად გამოყოფილი არიან მწერლები და ჟურნალისტები — ა. კოკილაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, გ. ნატროშვილი, ვ. სიხარულიძე და დ. შანშაშვილი.

ვახტანგ სიხარულიძე ყირიმის ბრძოლების აქტიური მონაწილეა; თავის წიგნში იგი აღწერს იმ მძიმე დღეებს, როცა ყირიმში ჩვენი 51-ე არმია მძიმე და უთანასწორო ბრძოლას ეწეოდა ფაშისტების წინააღმდეგ.

სევასტოპოლის დაცვის გმირული ამბავი ამ წიგნის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. ყირიმისათვის ბრძოლებში არსად ისეთი ძალით არ გამოჩენილა ჩვენი მეომრების შემართება, როგორც სევასტოპოლში. აქ ნამდვილად საზღაპრო ამბები ხდებოდა. ყირიმში მტრის ჯარებთან ბრძოლებში თავი გამოიჩინა ათეულ ათასობით ქართველმა. ა. გეგეშიძეს, ა. წურწუმიას, ი. იოსელიანს, ნ. ადამიას, გ. გახოკიძეს, გ. სხულუხიას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ.

ვახტანგ სიხარულიძე უდიდესი სიყვარულით აღწერს ამ გმირთა ღვაწლს, მოგვითხრობს მათ ვაჟკაცურ შემართებაზე. წიგნში ვეცნობით იმ გმირებსაც, ვისზეც დღემდე არაფერი დაწერილა. ყირიმის ბრძოლის ამბები მარტო ამ წიგნით როდი შემოიფარგლება; მალე გამოვა მომდევნო წიგნიც, სადაც აღწერილი იქნება ჩვენი ძლევამოსილი არმიის შეტევა. აქ უკვე სხვა გმირები ჩანან. ძალზე ძნელია პატარა მოცულობის წიგნში ჩასტიო ათასობით ადამიანის ამბავი, აღწერო მოვლენათა მრავალფეროვნება, ომისდროინდელი რთული ცხოვრება, მაგრამ ხსენებულ კრებულში, და ამ სერიის სხვა ავტორთა კრებულებშიც, მიზანი მაინც მიღწეულია. ამ პირველმა წამოწყებამ ძალიან კარგი შედეგი გამოიღო.

დიმიტრი შანშაშვილი თადარიგის გენერალია. იგი ლენინგრადის დაცვის აქტიური მონაწილეა და აბა ვის, თუ არა მას უტყუარად, ნათლად შეეძლო მოეთხრო ლენინგრადის დამცველთა სწორუპოვარი ამბები.

გარდა იმისა, რომ დიმიტრი შანშაშვილი შეულამაზებლად აღწერს იმას, რაც ნახა და განიცადა, იგი შემოქმედებითად მისდგომია მასალას და მოუძებნია საინტერესო ამბებიც. წიგნი ხატოვანადაა დაწერილი და სასიამოვნოდ იკითხება.

ფასდაუდებელია საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ქართველ მეომართა წვლილი დიად გამარჯვებაში.

ჟურნალისტ ზურაბ ლომიძის წიგნში მეზღვაურთა გმირულ თავგადასავალს ამოიკითხავთ. პარტიზანების სახიფათო ცხოვრებას ეძღვნება დავით ბაქრაძის წიგნი „ლეგენდარული რეიდი". პარტიზანთა სახელოვანი მეთაურის კოვპაკის შენაერთში ბევრი ქართველი იბრძოდა. დავით ბაქრაძის წიგნისადმი ინტერესს კიდევ უფრო მეტად აღვიძებს ის, რომ ეს არის ავტობიოგრაფიული ნაწარმოები, ცოცხალი დოკუმენტი.

პეტრე შამათავას „გვარდიის ჯარისკაცი ნიკოლოზ მოსიაშვილი" მეტად საინტერესო ნარკვევია. ავტორს მოუძებნია მოსიაშვილის თანამებრძოლნი, მათი ნაამბობის მიხედვით იგი აცოცხლებს „პავლოვის სახლის" მცირერიცხოვანი გარნიზონის გმირული ბრძოლის ამბებს, ამ გარნიზონში იყო მოსიაშვილიც, მამაცი ქართველი ვაჟკაცი.

ვინ მოსთვლის გმირთა სახელებს!

ამჟამად სერიიდან „ქართველები დიდ სამამულო ომში" კიდევ რამდენიმე წიგნი მზადდება გამოსაცემად. ყველა ეს კრებული ძვირფასი მატიანე იქნება ყველა იმათთვის, ვისთვისაც ძვირფასია და მარად დაუვიწყარი სამამულო ომში ჩვენი ვაჟკაცების მიერ გაწეული ამაგი, მათი თავდადება და შემართება.

**თენგიზ გოგოლაძე**

# ვინ არიან ჰიპიზები?

ამერიკის ცხოვრებაზე ბევრი თქმულა, უამრავი დაწერილა: სტატიები და ნარკვევები, გამოკვლევანი და პამფლეტები, ლექსები და ფელეტონები. ურიცხვია მოგზაურთა ჩანაწერებიც. ჩვენ უკვე საკმაოდ ნათელი წარმოდგენა გვაქვს ამ კონტრასტებით აღსავსე ქვეყნის შესახებ; ვიცნობთ მრავალსართულიან და ერთსართულიან ამერიკას, მის სიმდიდრეს ერთ პოლუსზე და სიღატაკეს — მეორეზე; თითქოს რაღა შეიძლება თქვას ახალი თუნდაც ამერიკაში ნამყოფმა კაცმა?

ცათამბჯენები, რეკლამა, თავისუფლების ძეგლი, ავტოსტრადები და საყოველთაოდ ცნობილი ამერიკული სერვისი — ყველაფერი ეს მეც მინახავს, მაგრამ როგორც მომეჩვენა, საოცარი და გასაკვირი სულ სხვაგან უნდა ვეძიოთ.

ეს იყო ამ წლის დასაწყისში. მაშინ რობერტ კენედი (შემომრჩა მისი ხელმოწერა საშვზე კაპიტოლიუმში) და მარტინ ლუთერ კინგი ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, საარჩევნო კამპანიის ვნებანი ჯერ არ მძვინვარებდნენ, მაგრამ სიმშვიდე მაინც მოჩვენებითი იყო. ყველაფერი გარშემო დუღდა: თითქმის ყოველ უნივერსიტეტში, სადაც მივედით, მიმდინარეობდა სტუდენტთა დემონსტრაციები, მიტინგები; პოლიციასთან აშკარა ხელჩართული ბრძოლა გაიმართა ბერკლის უნივერსიტეტში. მაგრამ იქაც, სადაც ასეთი შეტაკებები არ მომხდარა, თავს საავადმყოფოს უზარმაზარ პალატაში იგრძნობდით. ერთ დროს ამტკიცებდნენ, ამერიკელები აპოლიტიკური ხალხია, მათ არაფერი არ აინტერესებთ, გარდა დოლარებისაო. მართალი არ არის, ყოველ შემთხვევაში, დღეს, როდესაც მათი საზოგადოება ღრმად დაავადებულ ორგანიზმს წარმოადგენს, ამერიკელებს აწუხებთ საკუთარი ქვეყნის აწმყოსა და მომავლის პრობლემა. ვიეტნამის ომი, რასობრივი უთანასწორობა, მახინჯი ურბანიზაცია, — ყველაფერი ეს აღელვებს „საშუალო ამერიკელს".

...უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკაში ცოტა რამ იციან საქართველოს შესახებ, მაგრამ ვინც კი ყოფილა ჩვენთან, მაგალითად, პროფ. გუდმენი ჯორჯ-ტაუნის (ვაშინგტონი) და პროფ. ასონსონი ილინოისის (ჩიკაგო) უნივერსიტეტებიდან, სადაც იგი, სხვათა შორის, ქართულსაც ასწავლის, აღფრთოვანებით იგონებდნენ ჩვენს ქვეყანას და მისი ხალხის სტუმართმოყვარეობას. რა თქმა უნდა, ეს მეტად სასიამოვნო მოსასმენი იყო, განსაკუთრებით, როდესაც იგონებდნენ ჩვენს გამოჩენილ მეცნიერებს, მაგალითად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებს — თამაზ გამყრელიძესა და ვაჟა ოკუჯავას. მაგრამ მაინც, ვიმეორებ, ჯერ კიდევ ნაკლებად გვიცნობენ. მით უფრო საკვირველი იყო ჩემთვის, როდესაც ბერკლის (სან-ფრანცისკო) უნივერსიტეტის ნათელ შენობაში ვიღაცამ იკითხა: ხომ არავინ არის საქართველოდანო? მომიახლოვდა ახალგაზრდა, მაღალი, სანდომიანი სახის სტუდენტი ქალიშვილი. მან ღიმილით ჩამომართვა ხელი და მითხრა:

— ლაურა მური, თქვენებურად ლარისა, საქართველოში ნამყოფი ვარ. ძალზე მომეწონა იქაურობა.

იგი საკმაოდ ამტვრევდა რუსულს, მე — უარესად ინგლისურს, მაგრამ მაინც გავუგეთ ერთმანეთს. მას აინტერესებდა საქართველო, საერთოდ, და საქართველოს ეთნოგრაფია, კერძოდ; მე კი — ამერიკელი ახალგაზრდობის ცხოვრება, განსაკუთრებით მათი, ვისაც დღეს ამერიკაში ჰიპიზებს უწოდებენ. საბჭოთა ადამიანისათვის ეს სრულიად წარმოუდგენელი მიმდინარეობა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ლაურას, სხვათა შორის, ვკითხე:

— როგორ უყურებთ ჰიპიზების მოძრაობას?

— მე ნახევრად ჰიპი ვარ, — მიპასუხა მან.

გაოცებით შევხედე:

— როგორ გავიგო ეს?

— განა თქვენ წინააღმდეგი ხართ იმისა, რომ ჩვენს პლანეტაზე მშვიდობა და ადამიანთა შორის სიყვარული სუფევდეს?

— კი მაგრამ ნარკოტიკები? სქესობრივი თავაშვებულობა?

— დიახ, არ ვარგა... იმიტომაც ვარ მხოლოდ ნახევრად ჰიპი.

მისმა სახემ სრულიად სერიოზული გამომეტყველება მიიღო:

— მე გავწყვიტე კავშირი ოჯახთან, რადგანაც მამაჩემი საავიაციო ბომბების ქარხნის მმართველია. მე ვიცი, რომ მის მიერ დამზადებული იარაღი ვიეტნამში მიდის, სადაც ბავშვებსა და ქალებს ჰკლავენ. ასეთ მამასთან არაფერი საერთო არ შეიძლება მქონდეს.

ლაურამ მხოლოდ ნაწილობრივ ახადა ფარდა ჰიპიზების „საიდუმლოებას". მაშ ვინ არიან ისინი? რა სურთ ამ ახალგაზრდებს, რომელთა უმრავლესობა უმაღლესი განათლების მქონეა?

თუ თქვენ გსურთ „ესტუმროთ" (აქ ბევრი ჩვეულებრივი ცნება ბრჭყალებში უნდა ჩაისვას) ჰიპიზებს, მიბრძანდით ჰეიტ-აშბერიში (სან-ფრანცისკოს ერთ-ერთი რაიონი). აქ დაიბადა ეს მოძრაობა და დღესაც აქვეა მისი ცენტრი.

...სხვა ქუჩებთან შედარებით საკმაოდ გრძელი და ნაკლებად განათებული ქუჩა პერსპექტივაში იკარგება. სახლების გასწვრივ პირდაპირ მიწაზე ზის ან წევს ასობით ახალგაზრდა, ზოგი მათგანი მოძრაობს, მაგრამ ისე აუჩქარებლად და ზანტად, რომ აჩრდილი გეგონებათ. ასეთ შთაბეჭდილებას ხელს უწყობს ჰიპის „ჩაცმულობაც". მისთვის არ არსებობს არავითარი მოდა და ჩვეულებრივი ტანსაცმელი: მას შეუძლია აილოს ტომარა, გახვრიტოს, გაუყაროს თავი და გამოვიდეს ქუჩაში. ამავე დროს იგი, როგორც წესი, ფეხშიშველი, გაუპარსავი და თმამოშვებულია. ჰიპი მთელი თავისი გარეგნობით უნდა გამოხატავდეს პროტესტს არსებული საზოგადოების წინააღმდეგ, იმ საზოგადოებისა, სადაც, როგორც თვითონ აცხადებენ, ბატონობს ძალადობა, სიძულვილი და ჩაგვრა. ამიტომ ჰიპის არ სურს რაიმე საერთო ჰქონდეს არსებულ სამყაროსთან. მაგრამ ჰიპიზებს არავითარი პროგრამა არ გააჩნიათ. ამიტომ მათ მოქმედებაში და აზროვნებაში დადებითი და უარყოფითი არეულია: ჰიპი ვიეტნამში ომის წინააღმდეგ გამოდის და, ამავე დროს. მას შეუძლია გამოესარჩლოს აშკარა მკვლელს, თუ კი ის ციხეში აღმოჩნდა (ე. ი. „გაუჭირდა"); იგი აცხადებს, რომ ადამიანებმა ერთმანეთი უნდა უყვარდეთ, და მხოლოდ ეს სიყვარული და არა ძალადობა გარდაქმნის სამყაროს (ისინი გატაცებული არიან ინდური ფილოსოფიით და განდიზმით); ამავე დროს, სქესობრივ ურთიერთობაში ჰიპი სრულიად თავშეუკავებელია და მოითხოვს, რომ ბავშვებსაც (რვა წლის შემდეგ) ამ მხრივ დაბრკოლებას არ უქმნიდნენ; მათ პატარ-პატარა მაღაზიებში ხშირად ნახავთ კედელზე გაკრულ მოწოდებას შეისპოს აკრძალვა ნარკოტიკებით ვაჭრობაზე.

სხვათა შორის, ნარკოტიკებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჰიპიზები. ეს არის მათთვის ერთადერთი საშუალება მოწყდნენ არსებულ სინამდვილეს, გადავიდნენ სხვა ზღაპრულ, ჰალუცინაციებით აღსავსე სამყაროში, სადაც „არავითარი ბოროტება არ არსებობს". ჰიპიზების ერთ-ერთი ლიდერი გრიდლი რაიტი ყოველკვირეულის „ორაკლის" ფურცლებზე (ჰიპიზების საკუთარი გამოცემა გახლავთ) წერს: „მარიხუანა (მექსიკური ნარკოტიკია -- ე. მ.) ჩემი რელიგიის სიმბოლოს წარმოადგენს". იგივე გრიდლი რაიტი მოკლედ აყალიბებს საკუთარ „ფილოსოფიას": „თუ მე წმინდა ვარ, მე გექცევი შენ, როგორც ღმერთი. მე — ღმერთი ვარ, და მე, როგორც ღმერთი, შენთან ვარ, და შენ, როგორც ღმერთი, ჩემთან ხარ. და ეს არის სწორედ ის, რასაც ღმერთი ეწოდება. ღმერთი — ეს არის ყოველივე, რაც არის აქ, ყველაფერი ცნობილი და უცნობი, მაგრამ, როდესაც შენ წმინდა ხარ, იგი შეიძლება ცნობილი გახდეს".

თვით სიტყვა „ჰიპი" (hippie) — ჟარგონია და აღნიშნავს ადამიანს, რომელიც ეზიარა ამ ახალ შერეულ ქრისტიანულ-ინდუისტურ სარწმუნოებას და, ამავე დროს, ნარკოტიკების დახმარებით „გადასახლდა" უკეთეს, სინამდვილეს მოწყვეტილ სამყაროში. თვით სინამდვილეს ჰიპიზები განიხილავენ, როგორც მოჩვენებას, არარაობას.

ჰიპიზები მიმდევართა აღრიცხვას არ აწარმოებენ, მაგრამ, როგორც ჩვენ გვითხრეს, მათი რიცხვი ამერიკაში, შესაძლოა, ერთ მილიონსაც აღწევდეს. ცნობილია, რომ ეს მოძრაობა მოედო აგრეთვე დასავლეთ ევროპასაც, სადაც მათ „ფლაუერს-ჩილდრენს" („ყვავილები-ბავშვები") უწოდებენ. ყვავილი ჰიპისათვის არის სიყვარულის, მისი რელიგიის სიმბოლო.

ჰიპიზები კი არ ებრძვიან ბოროტებას, არამედ ზურგს აქცევენ მას, დარწმუნებულნი იმაში, რომ ქრისტიანული სიყვარული თავისთავად მოსპობს ყოველგვარ ბოროტებას. ეს მოძრაობა თანამედროვე ამერიკის ცხოვრების სრულიად ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს. მთელი ეს ქვეყანა შეშფოთებულია, ღელავს და ავადმყოფური აჩქარებით ეძებს გამოსავალს იმ ღრმა სოციალურ-პოლიტიკური ჩიხიდან, რომელშიც იგი მოექცა.

მთავრობა, როგორც წესი, არ დევნის ჰიპიზებს და არც კი უშლის ფორმალურად აკრძალული ნარკოტიკების ხმარებას. ამით ამერიკის მმართველი წრეები ორი კურდღლის დაჭერას ცდილობენ: ერთი მხრივ, გაჰყვირიან: აი ჩვენი თავისუფლება და დემოკრატია, ვისაც როგორც უნდა, ისე იქცევა და აზროვნებს; ხოლო, მეორე მხრივ, მათ ხელს აძლევთ ისიც, რომ პროტესტი არსებული წესწყობილების წინააღმდეგ მხოლოდ ნეგატიურ ხასიათს ატარებდეს და არ გადაიზრდეს აშკარა დემონსტრაციებსა და აქტიურ ბრძოლაში.

ერთი სიტყვით, ჰიპიზების მოძრაობა თანამედროვე ამერიკის მძიმე დაავადების ერთ-ერთ დამახასიათებელ სიმპტომს წარმოადგენს.

**ედ. მენაბდე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საკვირველი იუტას გამო



ვუნდერკინდი ჭადრაკში ახალი ამბავი არ არის. კარგადაა ცნობილი პატარა კაპაბლანკას „საჭადრაკო დებიუტი", როდესაც მან თამაში მამისა და „ვინმე უცნობი სენიორის" პაექრობის ყურებისას ისწავლა და იმავე საღამოს პირველი გამარჯვებაც იზეიმა... მამასთან შეხვედრაში.

უკვე ერთი წელია, რაც პრესაში გაჩნდა ცნობები გერმანელ გოგონა იუტა ჰემპელის შესახებ. მის ირგვლივ ნამდვილი აყალმაყალი ატყდა. სატელევიზიო გადაცემები, კინოქრონიკა, წერილები პრესაში და, მეორე მხრივ, ჩივილი სასამართლოში; მედიცინის ავტორიტეტული პროფესორის დასკვნა ბავშვის განსაკუთრებული ნიჭიერების შესახებ, ამის საწინააღმდეგოდ კი საჭადრაკო კლუბის ოფიციალური განცხადება „თვალთმაქცობაზე". ეს ყველაფერი, ცხადია, ახსნას საჭიროებს.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ქ. ფლენსბურგში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, დანიის საზღვართან) ადგილობრივ მოჭადრაკეს, სამრეწველო საქონლით მოვაჭრე გერმან ჰემპელს ერთ-ერთ ტურნირში გამოსვლა მოელოდა. მოჭადრაკეთ ამ დროს ათასი საქმე აქვთ: საჭიროა სადებიუტო რეპერტუარის განახლება, მეტოქისათვის სიურპრიზის მომზადება, პოზიციების ანალიზი და ა. შ. ყოველივე ეს შეუპოვარ მუშაობას მოითხოვს, მაგრამ სწორედ ამის საშუალებას არ აძლევდა გერმან ჰემპელს 4 წლის გოგონა. ეს მეტისმეტად ცელქი ბავშვი ფიგურებს ურევდა, ხმაურობდა, ერთი სიტყვით, იქცეოდა ისე, როგორც მისი ასაკის სხვა ბავშვები იქცევიან. მაშინ მამას აზრად მოუვიდა გოგონასათვის ჭადრაკი ეჩუქებინა. ამან მოულოდნელი ეფექტი გამოიღო. იუტამ თავი დაანება მამას, რომელსაც ტურნირისათვის მომზადების საშუალება მიეცა (იგი ერთხელ უკვე იყო ქალაქის ჩემპიონი); ბავშვი ძალიან მალე შეეჩვია ფიგურებს. მან თამაში ისწავლა და სულ მალე რამდენიმე სტუმარს მოუგო კიდეც.

1966 წლის ივნისში, როდესაც ბავშვი 5 წლისა იყო, იუტამ პირველად ითამაშა ნამდვილ საჭადრაკო ტურნირში. ფლენსბურგში ორი საჭადრაკო კლუბია: გერმანელებისა და დანიელთათვის; და აი, იუტამ ითამაშა ოფიციალურ შეჯიბრებაში, სადაც ამ ორი კლუბის უძლიერესი მოჭადრაკეები გამოდიოდნენ.

იუტას თამაშმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. იგი უსწორდებოდა ბევრად უფრო გამოცდილ მოჭადრაკეებს. ფლენსბურგი მოდური ქალაქი გახდა. გოგონას სანახავად თითქმის ყოველდღე ჩამოდიოდნენ ჟურნალისტები სხვადასხვა ქვეყნებიდან. არ დარჩენილა არც ერთი საჭადრაკო ჟურნალი, წერილი რომ არ მიეძღვნას პატარა იუტასათვის. „აი, როგორ დაამარცხა 5 წლის ბავშვმა კაცი, რომელიც უკვე 20 წელია თამაშობს!" „საჭადრაკო საოცრება ფლენსბურგში!" „გოგონას გენიალური ნიჭი უდავოა!" — აი ზოგიერთი წერილის სათაური.

განსაკუთრებით ბევრი მოიგო გერმანულმა საჭადრაკო კლუბმა, სადაც გოგონა ერთდროული თამაშის სეანსებს მართავდა. კლუბის შემოსავალი დიდად გაიზარდა. იუტას ოთხჯერ გადაუღეს კინოქრონიკისათვის. კლუბის ხელმძღვანელობა შემოსავლის პროცენტებს იღებდა და ბედის კმაყოფილი იყო. კლუბის წევრების რიცხვი ყოველდღიურად მატულობდა.

იუტათი ძალზე დაინტერესდა ფსიქოლოგიის პროფესორი ჰაინც-როლფ ლიუკერტი. მან ბავშვი გასინჯა და კატეგორიულად განაცხადა, რომ იუტა განსაკუთრებული ნიჭისა იყო. ფრიად გაამაყებულმა გერმან ჰემპელმა აზრი ახლა ცნობილ ოსტატებს ჰკითხა. ზოგი მათგანი გოგონას ეთამაშა კიდეც და განაცხადა, ბავშვი განსაცვიფრებელი ნიჭისააო.

მაგრამ მალე „ფრენსბურგული იდილია" დამთავრდა. იუტას მამას მოეწყინა გაუთავებელი ტელეგადაცემები, ბავშვის განუწყვეტელი ქება. „რა ყრია მათში, — თქვა გერმან ჰემპელმა, — მხოლოდ მიფუჭებენ ბავშვს! ასეთმა ქებამ არ შეიძლება კარგი ნაყოფი გამოიღოს!" მამამ ბავშვს აუკრძალა კლუბში სიარული და იქ ერთდროული თამაშის სეანსების გამართვა.

კლუბი „კენიგი" („მეფე"), რომელიც მთელ მსოფლიოში ავრცელებდა ცნობებს გენიალური გოგონას შესახებ, მშრალზე დარჩა. მისი შემოსავლის წყარო ამოიწურა. „კენიგი" შეეცადა მოლაპარაკებოდა გაჯიუტებულ მამას, მაგრამ ამაოდ.

მაშინ გერმანულმა კლუბმა გადაწყვიტა შური ეძია. მისმა ხელმძღვანელობამ დაიწყო მტკიცება, რომ ადრე ადგილი ჰქონდა თვალთმაქცობას: ერთდროული თამაშის სეანსების დროს ბავშვს ეხმარებოდნენ. სად შეეძლო მას. „საშუალო ძალის მოჭადრაკეს" ისეთი ბრწყინვალე სვლების გაკეთება, რომელსაც ოსტატებიც კი ალტაცებაში მოჰყავდა. „ცხადია, გოგონა წინასწარ იყო შეთანხმებული პარტნიორებთან!"

აღშფოთებულმა მამამ კლუბის ხელმძღვანელებს სასამართლოში უჩივლა. „იგივე ადამიანები, რომლებიც გუშინ ჩემს პატარა გოგონას გენიოსს ეძახდნენ, დღეს აშკარად ცილს სწამებენ მას!"

ახლა იუტა 7 წლისაა და უკვე სკოლაში დადის. მან კითხვა ერთი წლის წინ ისწავლა და ადევნებს თვალყურს პრესაში გაჩაღებულ პოლემიკას. აი, რა თქვა მან: „რადგან ჭადრაკს მხოლოდ უსიამოვნება მოაქვს, მე მას თავს დავანებებ და ჩემს თოჯინებს მივხედავ".

ამასობაში კი აყალმაყალი გრძელდება. მამა ამტყუნებს კლუბ „კენიგის" ხელმძღვანელებს და ცილისმწამებლებს უწოდებს მათ, „კენიგი" კი აცხადებს, რომ ბოლოს და ბოლოს ყველაფერს ფარდა აეხადა.

გ. ბამრეკელი

# ვისი ფსევდონიმი იყო „ალაგიოზი"

ჯერ კიდევ გაუხსნელია მრავალი ფსევდონიმი, რომლებიც მოწერილი აქვს ძველი ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე დაბეჭდილ ამა თუ იმ ლიტერატურულ ნაწარმოებს. ამჯერად მკითხველის ყურადღება გვინდა მივაქციოთ ჟურნალ „ნიშადურის" 1908 წლის 17 თებერვლის № 27-ში მოთავსებულ ალეგორიულ-იუმორისტული შინაარსის ლექსს „ანი" და „დონი", რომელსაც ხელს აწერს „ალაგიოზ".

ვინ არიან „ანი", „დონი" და თვით ავტორი, რომელიც ფსევდონიმს ამოფარებია? ლექსის შინაარსის ანალიზმა ნათლად დაგვარწმუნა, რომ აქ ალეგორიულად გადმოცემულია მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე ატეხილი კამათი მენშევიკების ლიდერ ნ. ჟორდანიასა და იმდროინდელ პუბლიცისტ ლადო დარჩიაშვილს შორის. როგორც ცნობილია, „ანი" ნ. ჟორდანიას ფსევდონიმი იყო, „დონი" კი ლადო დარჩიაშვილისა, ზემოხსენებულ ლექსში ვკითხულობთ:

„დონი" გამწარდა, მოგვერდი უჭირა საბყირანსა,
„აზრი" უცვალა თავშია, დაუშვა, დასცა ყირასა.

აქ ნახსენები „აზრი" მენშევიკური გაზეთი იყო, გამოდიოდა 1908 წელს; აქ ქვეყნდებოდა ნ. ჟორდანიას წერილები. აღსანიშნავია, რომ გამწვავებული კამათის შეფასებისას ლექსის ავტორი მხარს უჭერს არა ჟორდანიას, არამედ დარჩიაშვილს.

ორიოდე სიტყვა ავტორზე. ლექსი ეკუთვნის ცნობილი ქართველი პოეტის ირ. ევდოშვილის კალამს. ამას ადასტურებს შემდეგი გარემოება: საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ირ. ევდოშვილის ხელნაწერთა ფონდში აღმოჩნდა ამ ლექსის ავტოგრაფი. ლექსი ჩაწერილია საერთო რვეულში (ფონდი 15559-6, ფურცელი 10), ავტორის ხელით, თარიღი არა აქვს. როგორც დაბეჭდილ ტექსტში, ისე ხელნაწერში სტრიქონთა რაოდენობა თანაბარია (24), არის უმნიშვნელო ლექსიკური თუ პუნქტუაციური განსხვავებანი, მაგრამ მთლიანად ხელნაწერი ემთხვევა „ნიშადურში" დაბეჭდილ ტექსტს.

ამავე რვეულში პოეტის ხელით ჩაწერილია 1904-1914 წლებში შექმნილი ნაწარმოებები: „ანი" და „სპერანძა", „ქიზიყური შაირი"; ორივე ეს ლექსი დაბეჭდილი იყო „ნიშადურში"; აქვეა პოეტის ცნობილი ლექსები და მოთხრობები, რომლებიც გამოცემულია პროფ. შ. რადიანის რედაქციით. უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალის იმავე ნომერში ირ. ევდოშვილის ხელმოწერით დაბეჭდილია ლექსი „გოლგოთა"; ამის შემდეგ გასაგები ხდება, თუ რატომ დასჭირდა ფსევდონიმი პოეტს.

შოთა ბარამიძე

# ფეხბურთელი N?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ განსაკუთრებული ხაზგასმით დაიწყეს კამათი ფეხბურთელის უნივერსალიზაციის თაობაზე, თუმცა ეს საკითხი ჯერ კიდევ მანამდე მოექცა საფეხბურთო პრობლემათა შუაგულში. ინგლისის მოედნებზე კი მაყურებელმა ნახა ბევრი ფეხბურთელი, რომლებიც თითქმის თანაბარი ძალით თამაშობდნენ თავდასხმასა თუ ნახევარდაცვაში, ფრთებზე თუ ცენტრში, და, რაც ამ ჩემპიონატამდე ასე თუ ისე საკამათო იყო, ჩემპიონატს შემდეგ თითქმის უკვე დაკანონდა კიდეც. ყოველ შემთხვევაში, დღეს მსოფლიო მნიშვნელობის საფეხბურთო ვარსკვლავი ვერც კი წარმოგვიდგენია, თუ მას მარტო ერთი „ვიწრო სპეციალობა“ ექნება.

მსოფლიო ფეხბურთს ახსოვს ბევრი მცველი, რომლებიც კედლებივით იყვნენ აღმართული საკუთარი კარის მისადგომებთან, მაგრამ ხშირად მოწინააღმდეგის კარსაც მრისხანედ უტევდნენ ხოლმე; მოწინააღმდეგეთა მეკარეები არაერთხელ იძულებული გამხდარან მათ მიერ გატანილი ბურთი ბადიდან გამოეტანათ.

როცა ასეთ მცველებზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში, აუცილებლად მოგვაგონდება ბრაზილიელთა სახელგანთქმული მარცხენა მცველი, ყველა დროის საუკეთესო მცველად აღიარებული ნილტონ სანტოსი და შესანიშნავი იტალიელი მცველი ფაკეტი. ფაკეტი ერთ სეზონში ჩემპიონატის ერთ-ერთი ბომბარდირიც კი იყო.

ერთი ბრაზილიელი ჟურნალისტი იგონებს ნილტონ სანტოსის მიერ პარაგვაელთა კარში გატანილ გოლს 1962 წელს „მარაკანას“ სტადიონზე: „იგი თავის ადგილზე იდგა, მარცხენა მცველის ზონაში. პარაგვაელ თავდამსხმელს ბურთი ოსტატურად წაართვა, მერე თავი მაღლა ასწია, ძველი მეზღვაურის გამჭრიახი თვალით მოედანს გადახედა. პირველად თავისუფალ ადგილზე გასული დიდი დაინახა. ცოტა მოშორებით ხელაწვდილი პელე ბურთს ითხოვდა. მალე პელემაც მონახა მოხერხებული ადგილი, მაგრამ ნილტონ სანტოსი გადაცემას აგვიანებდა. უეცრად წინისკენ გაიჭრა. „მარაკანა“ თვალს არ აცილებდა ბრაზილიელთა მარცხენა მცველს. აი, მან უკვე გადაჭრა მოედნის შუა ხაზი. მხრებგაშლილი ვაჟკაცი თავაწეული მიჰქროდა. ბურთი თითქოს ფეხებზე ჰქონდა მიბმული. მას სირბილის დროსაც ემჩნეოდა ელეგანტურობა და სიამაყე. ვიღაცამ ბურთის წართმევა სცადა, მაგრამ ლამაზი დრიბლინგით მოწინააღმდეგე ზურგსუკან მოიტოვა. პარაგვაელი მცველები არ ჩქარობდნენ, ისინი ფიქრობდნენ, რომ ბრაზილიელი მცველი ბურთს რომელიმე თავდამსხმელს მიაწოდებდა. ის კი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანს. მაშინ კი იკადრა პარაგვაელმა სტოპერმა და ბრაზილიელს გზა გადაუღობა. ნილტონ სანტოსმა გააკეთა ოსტატური ფინტი, პარაგვაელი მარჯვნივ წაბარბაცდა, თვითონ კი მარცხნივ აიღო გეზი. მცველი ჩამოშორდა, მაგრამ თვითონ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა: კარში დასარტყმელად კუთხე ძალზე მცირე იყო და მეკარესაც ხელსაყრელი პოზიცია ეჭირა. მაშინ მოხუცმა მელამ ეშმაკობა მოიშველია: თავი მარჯვნივ შემოაბრუნა და საჯარიმო მოედანზე კარის პირდაპირ ჩამწკრივებულ ვავას, პელეს და გარინჩას შეავლო თვალი. ისინი დაჭიმულები იყვნენ და ბურთის ჩამოწოდებას მშიერი მგლებივით ელოდნენ. პარაგვაელთა მეკარე ანკესზე წამოეგო, მზერა მოხუცის თვალებს გააყოლა და როდესაც კამარაშეკრული ბრაზილიელი თავდამსხმელები დაინახა, კუთხე გახსნა და კარის შუაგულისაკენ გადაინაცვლა. ნილტონ სანტოსი სწორედ ამას ელოდა და კარში მოჭრილად დაარტყა. ბურთმა სწორედ იქ გადაკვეთა კარის ხაზი, სადაც წამის წინ მეკარე იდგა. პარაგვაელს ისღა დარჩენოდა, ბადეში აფართხალებული ბურთი გამოეტანა“.

რამდენი ასეთი ბურთი გაუტანია მურთაზ ხურცილავას? ის, რაც ნილტონ სანტოსის ან ფაკეტის თამაშში ხშირ, მაგრამ მაინც ეპიზოდებად რჩებოდა და რჩება, მურთაზ ხურცილავამ თითქმის კანონზომიერი გახადა. რაც მან წელს ევროპის ჩემპიონატში, ოლიმპიურ შესარჩევ თამაშებსა და საბჭოთა კავშირის პირველობაზე ბურთები გაიტანა, კარგ თავდამსხმელს შეშურდებოდა.

ყველამ კარგად იცის, როგორი ცენტრალური მცველია მურთაზ ხურცილავა. ახლა ჩვენ იმ საკითხს გვინდა დავუბრუნდეთ, რითაც ეს სტატია დავიწყეთ—ესაა ფეხბურთელის უნივერსალიზაციის საკითხი. რასაკვირველია, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ მაღალი კლასის მცველი ისეთივე კლასის თავდამსხმელი ან ნახევარმცველი იქნება, როგორიც მცველია. ან პირიქით, თავდამსხმელი ისეთივე კლასის ნახევარმცველი ან მცველი იქნება, როგორიც თავდამსხმელია, მაგრამ როცა ფეხბურთელის უნივერსალიზაციაზე ვლაპარაკობთ, ეს იმასაც როდი ნიშნავს, რომ დამცველი, ასე თუ ისე, არ იბნეოდეს და ახერხებდეს თავდასხმაში თამაშს, ან პირიქით. დღეს დამცველს უნდა შეეძლოს სრულფასოვანი ნახევარდაცვა ითამაშოს, ხოლო თავდასხმაშიც კი მისი გამოჩენა ეფექტური და შედეგიანი უნდა იყოს.

საბჭოთა ფეხბურთში შეიძლება უნივერსალური ტიპის ფეხბურთელების ჩამოთვლა, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მურთაზ ხურცილავა.

ჩვენს მაყურებელს, და არამც თუ მარტო ჩვენსას, აღარ უკვირს, როცა ხურცილავას ნახევარდაცვაში ხედავს და, თქვენ წარმოიდგინეთ, თავდასხმაშიც კი; დიახ, მწვრთნელმა რამდენჯერმე თავდამსხმელის ფუნქცია მიანდო მურთაზს და მანაც შესანიშნავად გაართვა თავი მისთვის ახალ, მაგრამ სასიამოვნო ამპლუას.

არასერიოზულობა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ხურცილავა ისეთივე თავდამსხმელია, როგორც ცენტრალური მცველი; მე ისიც კი მგონია, რომ მურთაზ ხურცილავა მაშინ უფროა მეკარეთა რისხვა, როცა დაცვაში თამაშობს. იგი ადვილად უსწორდება მეტოქეს, თრგუნავს მას და შემდეგ, როცა ეპიზოდურად კონტრშეტევაში ჩაერთვება ხოლმე, მაშინ არის სახიფათო მისი გარღვევები და უძლიერესი დარტყმები. მურთაზ ხურცილავა უფრო დამწყებია შეტევისა, ვიდრე გამგრძელებელი. მას სივრცე სჭირდება სიჩქარის „ასაღებად“ და ამიტომაცაა, რომ მის მიერ გატანილი გოლების უმრავლესობა ინდივიდუალური ხასიათისაა.

არც იმაში დავეთანხმები მწვრთნელებს, თუ მურთაზს მარტო ვიწრო დავალებას მისცემენ და მხოლოდ ერთი რომელიმე ფეხბურთელის თამაშიდან გამოთიშვას დაავალებენ. გავიხსენოთ წლევანდელი სეზონის ულამაზესი მატჩი მოსკოვის ტორპედოსთან ლუჟნიკებში. პირველი წუთებიდანვე აშკარა გახდა, რომ მწვრთნელმა მხოლოდ ერთი დავალება მისცა მურთაზს — სტრელცოვის ნეიტრალიზება. ნათქვამია, გამარჯვებულს არ ასამართლებენო, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ ეს იყო თბილისელთა ცენტრალური მცველის მრავალმხრივი ნიჭის შეზღუდვა. გარდა ამისა, როდესაც ასეთ დავალებას რიგით ფეხბურთელს აძლევენ, კიდევ არაფერი, მაგრამ როცა მხოლოდ პერსონალურ მეურვეობას ავალებ საბჭოთა ფეხბურთის ვარსკვლავს, მთელი დაცვის და, უფრო მეტიც, მთელი გუნდის ხელმძღვანელს, მას ფრთებს უკვეცავ, ხოლო მოწინააღმდეგეს ფსიქოლოგიურ უპირატესობასაც ანიჭებ.

მიუხედავად ამისა, მაინც საინტერესო იყო მათი ორთაბრძოლა; ამ დუელს ერთგვარი სიმბოლური მნიშვნელობაც ჰქონდა. შარშან ხომ ამ ორ ფეხბურთელს შორის გაიმართა ბრძოლა, თუ ვინ იქნებოდა ქვეყნის № 1 ფეხბურთელი 1967 წელს. შარშან სტრელცოვმა გაიმარჯვა. მურთაზ ხურცილავა მეორე ადგილით დაკმაყოფილდა.

წელს კი ყველაფერი მურთაზ ხურცილავას სასარგებლოდ წარიმართა, მაგრამ ამ უშუალო ორთაბრძოლას მწვანე მოედანზე თავისებური ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა როგორც თვითონ ფეხბურთელების, ასევე მაყურებლებისა და სპეციალისტების თვალში. ეს ორთაბრძოლა მურთაზ ხურცილავას გამარჯვებით დამთავრდა. წელსაც, ალბათ, ისევ ეს ორი შესანიშნავი ფეხბურთელი იბრძოლებს უძლიერესის სახელის მოპოვებისათვის. მაგრამ დიდ რისკს არ გავწევ თუ ვიტყვი, რომ გამარჯვება ამჯერად მურთაზ ხურცილავას დარჩება.

იოლი როდი იყო მურთაზ ხურცილავას სპორტული გზა. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მას სპორტული ბედიც ყოველთვის უღიმოდა. განსხვავებით ბევრი შესანიშნავი ფეხბურთელისაგან (ჩოხელი, ბარქაია და სხვანი), მისი ტალანტი ერთბაშად აღიარეს. შემდეგ კი ენერგიული, თავდაუზოგავი წვრთნა ყოველგვარი ყოყოჩობისა და ქედმაღლობის გარეშე, პირველი წარმატებები მწვანე მოედანზე და პირველი სიხარული. ფეხბურთელის ადრეულ წლებში ყოველთვის იგრძნობა ტალანტი, შემართება, ტემპერამენტი, მაგრამ თამაში მაინც არ არის სრულფასოვანი. ხურცილავაც ასე იყო: ყველა გრძნობდა მის ნიჭს, შესაძლებლობებს, გაელვებებს, მაგრამ მურთაზის თამაშს მაინც აკლდა ის აკადემიურობა, რაც ფეხბურთელს ვარსკვლავების დონეზე დააყენებდა. გამოცდილება და აკადემიურობა წლებს, მატჩებს მოაქვს და შემდეგ, როცა ფეხბურთელის ცხოვრებაში დგება შუადღე, მისი ყველაზე საუკეთესო წლები, აქაა ხოლმე თავმოყრილი და შერწყმული ყველა ის თვისება, რაც ბუნებამ მას მიამადლა და რაც თავდაუზოგავმა შრომამ ჩამოაყალიბა.

ერთხელ დი. სტეფანომ თქვა, დიდი ფეხბურთელი ვერ გახდები დიდი ჩემპიონატების გარეშეო. სრული ჭეშმარიტებაა. ფეხბურთელისათვის არ უნდა არსებობდეს უცნობი, სხვა ფეხბურთი, ათასგვარი ლეგენდებით შემკული და რაღაც გამოუცნობ ბურუსში გახვეული. ფეხბურთელისათვის არ უნდა არსებობდეს უცნობი, დიდებით მოსილი ვარსკვლავები. მან ყველაფერი უნდა ნახოს, გემო გაუსინჯოს, რომ თავისი თავიც იწამოს და სხვისი ძალაც.

მურთაზს ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატამდე ბევრ მატჩში მიუღია მონაწილეობა უმაღლეს დონეზე, მაგრამ ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატი მისთვის ნამდვილი სკოლა იყო.

(გაგრძელება იქნება)

**გურამ ფანჯიკიძე**

# იუმორი

# ჩვენი ინტერვიუ

უკანასკნელ ხანებში უცხოეთის გაზეთებში ხშირად წერენ ადამიანის ცოცხლად გაყინვის შესახებ; ცალკეულ ამერიკელ ბიზნესმენებს დაუძლეველი სურვილი აქვთ ნახონ, თუ როგორი იქნება სამყარო 50, 100, 300 წლის შემდეგ და რა მდგომარეობა იქნება ბირჟაზე. ამ მიზნით ამერიკელი მეცნიერები აწყობენ ექსპერიმენტებს და ცდილობენ გადაჭრან ეს პრობლემა; ჩვენმა კორესპონდენტმა შეიტყო, რომ თბილისში ტურისტული საგზურით იმყოფება გამოჩენილი ამერიკელი მეცნიერი, პროფესორი ჯონ გუია კასტელლა.



ბ-ნი პროფესორი მიემგზავრება ჰონოლულუს კუნძულებიდან წმინდა ელენეს კუნძულზე, ხოლო იქიდან ამერიკაში აპირებს დაბრუნებას. ჩვენი კორესპონდენტი სასტუმროში ეწვია ბ-ნ პროფესორს და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან. საუბარს ესწრებოდა პროფესორის მეუღლე, ქ-ნი კასტელლა.

კ ო რ ე ს პ. — პატივცემულო სერ ჯონ გუია! გთხოვთ მოგვითხროთ თქვენს სამეცნიერო მოღვაწეობაზე და კერძოდ იმაზე, თუ რა წარმატებებს მიაღწიეთ ადამიანის ცოცხლად გაყინვის დარგში.

ჯ ო ნ კ ა ს ტ ე ლ ლ ა — უნდა მოგახსენოთ, რომ ლოს-ანჯელესის კოლეჯის დამთავრებისთანავე, მე და ჩემი ექიმი მეუღლე წლების მანძილზე ვმუშაობდით ცოცხალი ორგანიზმის გაყინვის პრობლემების გადაჭრაზე; მოგვიხდა უამრავი ექსპერიმენტის ჩატარება, სხვადასხვა ვა-



დით გავყინეთ 14 მაიმუნი, შემდგომში თვითეულ მათგანს დავუბრუნეთ სიცოცხლე. ისინი დღეს ჩინებულად გრძნობენ თავს. ამ გაბედული ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, მედიცინის სამყაროს ბევრი სიახლე შევძინეთ. დაისვა საკითხი, შეიძლება თუ არა გავყინოთ ცოცხალი ადამიანი 10-15 წლის ვადით, გაყინულ სხეულს კვლავ დავუბრუნოთ სიცოცხლე, შრომისუნარიანობა და შევუნარჩუნოთ მისი პირვანდელი სახე? ექსპერიმენტებმა ცხადყვეს, რომ შეიძლება და აი, პირველად მსოფლიო მედიცინის ისტორიაში, მივიღე გადაწყვეტილება საკუთარ თავზე ჩამეტარებინა ასეთი ექსპერიმენტი. რა მამოძრავებდა ამ დროს? მე კარგად ვიცოდი, რომ თუ დავიღუპებოდი, მე ვიქნებოდი პირველი მეცნიერი, რომელმაც თავი შესწირა ამ ახალ წამოწყებას (პროფ. კასტელლა ღელავს, ჯიბიდან რაღაც ტაბლეტს იღებს, ერთ ცალს თითონ ყლაპავს, მეორეს ცოლს აწვდის, ვინაიდან ქ-ნი კასტელლაც ღელავს). გარდა ამისა, მე კარგად მესმოდა, რომ ყოველი დიდი საქმე მსხვერპლს მოითხოვს. მიუხედავად ჩემი მეუღლის სასტიკი წინააღმდეგობისა, ჩავწექი ჩემ მიერ სპეციალურად დამონტაჟებულ მაცივარში და ღილაკი ჩავრთე.

ქ-ნი კ ა ს ტ ე ლ ლ ა (ცრემლს იწმენდს) — ოხ, ჯონ! ეს იყო უმძიმესი წუთები, გზა გოლგოთისაკენ...

ჯ ო ნ კ ა ს ტ ე ლ ლ ა — თხუთმეტი წლის შემდეგ ღილაკი ავტომატურად გამოირთო და მე კვლავ დავუბრუნდი სიცოცხლეს, შევინარჩუნე პირვანდელი სახე და ცოლზე თხუთმეტი წლით ახალგაზრდა აღმოვჩნდი. როგორც ხედავთ, სრულიად ჯანმრთელი ვარ და ჭაბუკური შემართებით კვლავ ვემსახურები საყვარელ საქმეს.

კ ო რ ე ს პ. — როგორ წარიმართა თქვენი შემდგომი ოჯახური ცხოვრება?

ჯ ო ნ კ ა ს ტ ე ლ ლ ა — მე ტრაგედიის წინაშე აღმოვჩნდი! მოგეხსენებათ, ორმოცდაათ წელს გადაცილებული ქალი ველარ დააკმაყოფილებდა მშვენიერების ყველა პრინციპს, გარდა მაგისა, ჩემს მეუღლეს საშინელი ეჭვიანობა დასჩემდა. ვგრძნობდი, ადრე თუ გვიან ოჯახში დაიწყებოდა განხეთქილება, და აი დადგა ცოლთან განშორების ჟამი. ძვირფასო ჯონ! — მითხრა მაშინ თვალცრემლიანმა მეუღლემ, პატივი ეცი ჩემს ჭაღარას, კარგად იცი, რომ მე ახალგაზრდობა მეცნიერებას შევწირე და თუ დღეს ახალგაზრდა ქმარი მყავხარ, ეს ხომ ჩვენი ერთობლივი შრომის ნაყოფია! ნება მომეცი თხუთმეტი წლით მეც ჩავესვენო მაცივარში, და როდესაც კვლავ დავუბრუნდები სიცოცხლეს, ჩვენი ასაკობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი გათანაბრდება და, ვინ



იცის, ეგებ მაშინ მოგიბრუნდეს ჩემსკენ გული.

ქ-ნი კ ა ს ტ ე ლ ლ ა — დიახ, ეს ასე იყო. მე მუხლმოყრილი ვევედრებოდი!

ჯ ო ნ კ ა ს ტ ე ლ ლ ა — მე მაინც უარი ვუთხარი. შეუწყნარებელი



ვიყავი ეჭვიანი მეუღლის მიმართ და სამუდამოდ დავცილდით ერთმანეთს. ხუთი წლის შემდეგ, უცნობი ახალგაზრდა, ლამაზი ქალი გამომეცხადა, რომელმაც ცოლის გარდაცვალების ამბავი მაუწყა (ჯონ კასტელლა ქვითინებს).

კ ო რ ე ს პ. — მიირთვით გრილი ბორჯომი.

ჯ ო ნ კ ა ს ტ ე ლ ლ ა (წყალს დალევს და განაგრძობს) — ცოლის დაღუპვის გამო სინდისი მქენჯნიდა, ვნანობდი, რომ საბრალო ქალს არ შევუსრულე უკანასკნელი თხოვნა. დანაღვლიანებული ხშირად ვხვდებოდი იმ უცნობ ახალგაზრდა ქალს. იგი მამხნევებდა და სულიერ ტანჯვას მინახევრებდა. ბოლოს იგი შევირთე ცოლად, და პირველსავე ღამეს გამომიტყდა, რომ ჩემი პირველი ცოლი იყო. თურმე იგი ჩქაროსნული მეთოდით გაეყინა ჩემს მეტოქეს, პროფ. ჰაროლდ უაიტს, რომელსაც პორტ-ო-პრენსში გახსნილი აქვს საიდუმლო ლაბორატორია; ამჟამად თეთრი სახლი და სახელმწიფო დეპარტამენტი აწარმოებენ მოლაპარაკებას ჰაიტის პრეზიდენტთან, ბ-ნ დიუვალიესთან, რათა ღილაკიანი მაცივრების გამოშვების სფეროში მიღწეულ იქნას კოორდინაცია და თავიდან აცილებულ იქნას პროდუქციის ჭარბი ზედნადები ხარჯები. ნება მომეცით ამით დავამთავროთ ჩვენი ინტერვიუ.

კ ო რ ე ს პ. — გმადლობთ (ეთხოვებიან ერთიმეორეს).

თენგიზ I

გარეკანის პირველ გვერდზე: ნიკოლოზ ბარათაშვილი. ნახატი ლადო გუდიაშვილისა. მეოთხე გვერდზე: ნ. ბარათაშვილის ალმართი ზამთარში. ფოტო ოთარ თურქიასი.

რედაქტორი გ. ნატროშვილი.
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.

სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/VIII-68 წ. გამომც. № 64. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 40.400. შეკვ. № 2966. უე 01022

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ტრიო



ფოტო ს. კილაძისა

დედა გარეთ არ გვიშვებს

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76056